ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამ. 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- შვეციის პარლამენტმა დაამტკიცა შეთანხმება საბჭ. კავშირთან.
- ინგლისის მრეწველობის მძიმე მდგომარეობა.
- საფრანგეთ-ესპანეთის შეთანხმება ტანჟერის შესახებ.
- გლეხთა პარტიზანული მოძრაობის გაძლიერება ჩინეთში.
- ზალესკი პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის შესახებ.
- კონფლიქტი გერმანიის ხის დამმუშავებელ მრეწველობაში.
- უმუშევართა დემონსტრაცია რიგაში.
- გაფიცვა ნიუ-იორკის მიწის ქვეშა რკინის გზაზე გადაიდვა.

სამშაბათი, 6 მარტი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 54 (2097)

ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესიის მოწვევის ვადა გადატანილია ა. წ. 12 მარტისათვის

მოწვევის ადგილად რჩება ქალაქი ბაქო.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ა. შავერდოვი

დირექტივა სავსებით უნდა გავატაროთ

ჩვენ ვლაპარაკობთ საკავშირო მთავრობის ცნობილ დირექტივაზე ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ 1927—28 სამეურნეო წლისათვის. ამ ღონისძიების გატარებით ჩვენ მივიღებთ მეტად საგრძნობ დამატებით საშუალებებს სამეურნეო-კულტურულ მშენებლობის გასაფართოვებლად.

აქედან აშკარაა, თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს ხსენებულ დირექტივის შესრულებას. საერთო მიღწევები ამ დარგში უეჭველად დიდია, მაგრამ ამასთან ერთად ფაქტია, რომ მრავალ დაწესებულებას და ორგანიზაციას 20 პროცენტიანი შემცირება ჯერ არ გაუტარებია მთლიანად, ზოგი კიდევ ამ მხრივ მუშაობას სერიოზულად არც შესდგომია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის ანგარიშიდან დღეს მკითხველი გაეცნობა ციფრობრივ მასალას, რომელიც ამ საკითხს ეხება, და ჩვენ მას აქ განვიმეორებთ.

საგულისხმოა, რომ დირექტივის განხორციელება ბევრ შემთხვევაში მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა აპარატის მხრით. საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება ამ წინააღმდეგობის დასაძლევად. აპარატი ხშირად დგომარეობას ისე სახავდა, რომ ხარჯების შემცირება ამა თუ იმ დაწესებულებას მთლად თუ არ დაღუპავდა, ყოველ შემთხვევაში თითქო მის ნაყოფიერ საქმიანობას ძალზე შეკვეცავდა და შეაფერხებდა. საქმის გაცნობის შემდეგ კი უმეტესად ირკვეოდა, რომ შემცირება სავსებით შესაძლებელია ისე, რომ დაწესებულების მუშაობა ოდნავადაც არ შეფერხდეს. მაშასადამე, აქ ადგილი ჰქონდა შტატების შემოკლების შიშს, ჩვეულებრივ კონსერვატიზმს, რომელიც ყოველგვარ ცვლილებას გაურბის, უუნარიანობას და დირექტივის შესრულების მნიშვნელობის შეუგნებლობას.

ყველაფერი ეს მეტ-ნაკლებობით ითქმის ეხლაც ზოგიერთ ორგანიზაცია-დაწესებულებებზე, რომელნიც მოიკოჭლებენ ხარჯების 20 პროცენტიან შემცირების მხრივ. მათი მდგომარეობის საფუძვლიანი გამოკვლევა და ენერგიულ ღონისძიებათა მიღება მათ მიერ დირექტივების გასატარებლად ობიექტიურ შესაძლებლობის ფარგლებში—ასეთია ამოცანა.

არსებობს მრავალი საშუალება ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შესამცირებლად, რომლებიც ბევრგან სათანადოთ არ არის გამოყენებული. ზოგან აპარატის შემადგენლობა კვლავ დიდია. პარალელურად არსებობენ დაახლოვებით ერთნაირ ფუნქციების მატარებელი დაწესებულებები. თვით დაწესებულების შიგნით ზოგან შესაძლებელია განყოფილებათა გაერთიანება.

დიდძალი ფული იხარჯება გაბერილ ანგარიშწარმოებაზე, შენობების „კომფორტაბელურად" მოწყობაზე, მივლინებებზე, მიმოსვლაზე, საქონლის უთავბოლოდ გადაზიდვა-გადმოზიდვაზე და სხ.

ზედმეტ ხარჯებს იწვევს დაწესებულება-წარმოების მუშაობის საერთო მოუგვარებლობა; მაგალითად, საწარმოო პროცესის შეფერხება ნედლი მასალის დროზე მიუწოდებლობის, შრომის დისციპლინის დარღვევის, გაცდენების, მუშაობის მიზანშეუწონელი შინაგანი წესრიგის და სხვა მიზეზების გამო.

ყველაფერი ეს აძვირებს ნაწარმოების თვითღირებას, რომლის დაკლების შესახებ არსებული დირექტივა ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. თვითღირებულების გაიაფება კი, გარდა იმისა, რომ მას თავის თავად უაღრესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, დიდად შეუწყობს ხელს ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებას.

ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯებს ზრდის აგრეთვე ის ხშირი ყრილობები, კონფერენციები, თათბირები, რომლებზე საშუალებებიც ბევრი მიდის და რომლებიც მუშაკებს საგრძნობლად სწყვეტენ უშუალო სამუშაოს. აქაც საჭიროა მიზანშეწონილობის და ზომიერების დაცვა. ამ მხრივ კიდეც არსებობს გარკვეული მითითება, რომელიც მტკიცედ უნდა დავიცვათ.

ყველა ამ ნაკლულევანებათა აცილება უეჭველად გაგვიადვილებს ადმინისტრატიულ ხარჯების 20-პროცენტიან შემცირებას. მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი: ამ შემცირებას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს მექანიკური ხასიათი. დირექტივის გატარება გულისხმობს არა მარტო საშუალებათა ეკონომიის მიღწევას, არამედ დაწესებულება-წარმოებათა რაციონალიზაციას, მათი მუშაობის გაუმჯობესებას. ხარჯების შემცირება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს რაციონალიზაციის გატარებას, რომ ამ შემცირებამ მართლა არ შეანელოს აპარატის საქმიანობა. ამიტომ, როცა ჩვენ ვიკვლევთ, თუ რამდენად შესრულა ამა თუ იმ ორგანიზაციამ დირექტივა ხარჯების შემცირების შესახებ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ როგორ გატარდა შემცირება მუშაობის რაციონალიზაციის თვალსაზრისით.

მიღწევები და გამოცდილება ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირების დარგში უკვე საკმაო გვაქვს. ამის ნიადაგზე ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა მოკლე დროში დირექტივის მთელი ასი პროცენტით განხორციელებისათვის. თავის თავად ცხადია, რომ ამ მუშაობაში, როგორც დღემდეც, ფართოდ უნდა მივიზიდოთ მშრომელი მასსები, რომელთა აქტივობა დასახულ ამოცანის წარმატებით გადაჭრის უტყუარი საწინდარი იქნება.

სახელმწიფო დახმარება სასოფლო მეურნეობას

მეხუთმეტე ყრილობის გადაწყვეტილებებმა უაღრესად გარკვევით და მკაფიოთ დასვა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის ამოცანა.

ჩვენს ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონებს, რომლებსაც აქვთ მეტად ხელსაყრელი კლიმატიური და ბუნებრივი პირობები და უმდიდრესი შავ ნიადაგიანი მიწა, შეუძლიათ პურისა და ნედლეულის გაცილებით უფრო მეტი პროდუქციის მოცემა, თუ მეურნეობის ორგანიზაცია უფრო მაღალ ტეხნიკურ საფუძველზე იქნება აგებული. ოქტომბრის რევოლიუციამ ძირ-ფესვიანად ამოფხვრა ბატონყმურ წყობილებიდან დარჩენილი ყველა ნაშთები, რომლებსაც ხელუხლებლად ინახავდა ცარიზმი თავისი არსებობის უკანასკნელ დღემდე. ამასთანავე ჩვენმა სასოფლო-მეურნეობამ ძლიერი რევოლიუციონური იმპულსი მიიღო მიწათმოწყობის და მიწათ-სარგებლობის თვით საფუძვლების გარდაქმნისათვის და აგრეთვე თავისი ტეხნიკის და ორგანიზაციის სოციალისტურ საფუძველზე მოსაწყობად.

მიუხედავად ამისა, ამ პროცესის განვითარების ტემპი სრულებით არ არის საკმარისი. სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის ზრდა კოლექტიურ ფორმებში უმთავრესად სტიქიურად მიმდინარეობს, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასსების მოძრაობას მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობის შექმნისაკენ არ ეძლევა საკმაო ორგანიზაციული და სამეურნეო დახმარება. ამიტომ საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს სასოფლო მეურნეობის რეორგანიზაციას ახალ საფუძვლებზე.

სავსებით ნათელია, რომ ეს ამოცანა თავისი სიდიდისა და საჭირო ფინანსიურ ხარჯების მიხედვით იმდენად გრანდიოზულია (ჩვენს კავშირში არის 25 მილიონი საგლეხო მეურნეობა), რომ მისი წარმატებით გადაჭრა შესაძლოა მხოლოდ თვით გლეხობის თავისუფალ საშუალებათა მაქსიმალური მობილიზაციის გზით მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობისაკენ აღებულ კურსის მტკიცედ გატარებისათვის.

ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა საშუალებათა მაქსიმალური კონცენტრაცია სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების ხელში, რომლებმაც რაც შეიძლება დიდ ეფექტი უნდა მიაღწიონ მათი გამოყენების დროს. ის, რაც მიუწვდომელია ცალკე გლეხურ მეურნეობისათვის მაშინიზაციის, მეთესლეობის და ახალ ტეხნიკურ კულტურების განვითარების საქმეში, რომ არაფერი ვსთქვათ ისეთ მნიშვნელოვან წამოწყებებზე, როგორიცაა მელიორაცია და ირიგაცია,— ყველაფერი ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს ცალკე გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებით. სასოფლო მეურნეობის განვითარების გზა მიდის კოლექტივიზაციის ხაზით, ცალკე გლეხურ მეურნეობათა კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანების ხაზით. სწორედ ასევე მხოლოდ ამ ფორმებში იქნება ყველაზე უფრო მიზანშეწონილად და ეფექტიურად გამოყენებული ის საბიუჯეტო და საკრედიტო საშუალებანი, რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფო წლიდან წლამდე ხარჯავს სასოფლო მეურნეობაზე ბიუჯეტისა და სასოფლო კრედიტის გზით.

საბჭოთა მთავრობა მიმდინარე წელს სასოფლო მეურნეობისათვის სდებს 717.400.000 მანეთს, ხოლო თუ ამას მივუმატებთ იმ საშუალებებს, რომლებიც გადადებულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატისათვის და სატყეო მეურნეობისათვის, მივიღებთ 757.000.000 მან., რაც წარსულ წელს გადადებულ თანხას 14 პროცენტით აღემატება. ამ თანხიდან ნახევარზე მეტი — 335.200.000 მან.—მოდის სახელმწიფო ბიუჯეტზე და თითქმის ამდენივე — 304.000.000 მანეთი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაზე. გარდა ამისა, სამეურნეო ორგანოებს ეძლევა 95.000.000 მანეთი ხოლო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ქვედა ქსელს—200.000.000 მანეთი, ამ ასიგნობების შემადგენლობაში განსაკუთრებით გაძლიერებულია საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების, ე. ი. სასოფლო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის წილი, რაც სავსებით ეთანხმება მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობისაკენ აღებულ კურსს. ეს ასიგნობები წარსულ წელთან შედარებით ერთი ორად გაიზარდა. აღნიშნული საშუალებები უმთავრესად უნდა მოხმარდეს შემდეგ მიზნებს: მარცვლეულ და ტეხ. კულ-თა ნათესების კონცენტრაციას, ღონისძიებებს, მცენარეების და საქონლის მოშენების დარგში, გვალვის წინააღმდეგ ბრძოლას. სოფლის ღარიბ მოსახლეობისათვის დახმარების მიწოდებას, მეთესლეობას, მელიორაციას, ირიგაციას რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა ძირითადი კაპიტალების გადიდებას, და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ძირითად და სპეციალურ თანხების გაძლიერებას.

სასოფლო მეურნეობისათვის გადადებულ თანხების ასეთი ზრდა, რომელიც უკვე მილიარდ მანეთს უახლოვდება, მნიშვნელოვან სიძნელეებს წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, ისე სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემისათვის, რომელიც ეყრდნობა მთელს ჩვენ საკრედიტო სისტემას. სახელმწიფოს მიერ სასოფლო მეურნეობისათვის თანხების გაღება ასეთი რაოდენობით წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც მთელი ეს საქმე კერძო ინიციატივის ხელშია, რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ მოგების გადიდებით. ჩვენში სახელმწიფო გლეხობის მონაზოგ საშუალებებს გეგმიანი წესით უმატებს თავის ძირითად თანხებს, რომლებიც ერთგვარ მიმართულებას აძლევენ კოლექ. გლეხ. ორგანიზაციებში კოლმეურნეობებში და კოოპერაციაში დაგროვილ თანხების და საშუალებების გამოყენებას. ის კაპიტალური თანხები, რომლებსაც სახელმწიფო ხარჯავს სასოფლო მეურნეობაზე, აერთიანებს ყველა ამ ცალკე კერძო და კოოპერატიულ ხარჯებს, აძლევს მათ საერთო მიმართულებას, კოლექტივიზაციისაკენ, რაც გიგანტურად ადიდებს მათ ეფექტიურობას.

მთავრობას, რომელიც ასეთ საშუალებებს აძლევს სახალხო მეურნეობას, ამავე დროს უფლება აქვს მოითხოვოს ადგილობრივ ორგანოებისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობისაგან, რათა ეს საშუალებები გამოყენებულ იქნეს უაღრესად ეკონომიურად და ეფექტიურად და, რაც მთავარია, მათი გამოყენების დროს სავსებით გატარდეს საშუალებათა დანიშნულების და განაწილების ის კლასობრივი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მთელს ჩვენს პოლიტიკას სოფლად.

იმ ღონისძიებათა საერთო გეგმა, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გაატაროს სასოფლო მეურნეობაში, და აგრეთვე ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის გეგმა ხდება უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის აქტად, რომელიც გეგმიანი წესით განსაზღვრავს სასოფლო მეურნეობის შემდგომ განვითარებას არა მარტო ერთი წლით, არამედ რამოდენიმე წლით, რამდენადაც სასოფლო მეურნეობისათვის გაღებულ საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი დაბანდებულია ძირითად კაპიტალებში, ახალ აღმშენებლობაში და სხვა, რომლებსაც ჩვენი სასოფლო მეურნეობა გადაჰყავს სოციალიზმის გზაზე.

„პრავდა" 4 მარტი.

ხმები ნანკინისა და პეკინის შეთანხმების შესახებ

პოლონეთში დაიწყო არჩევნები.-მთელი პოლიცია ფეხზეა დაყენებული.-ციხეები ვერ იტევს პატიმრებს

აჯანყება ინგლისის წინააღმდეგ არაბეთში.-ლონდონში მდგომარეობას სერიოზულად თვლიან

ეგვიპტის მთავრობამ უარჰყო ინგლისთან შეთანხმების პირობები.-ეგვიპტის პრემიერი გადადგა

მდგომარეობა ჩინეთში

პარტიზანები ხუნანში.

შანხაი, 4 მარტი. ჩანშადან იუწყებიან რომ ხუნანის პროვინციის მეამბოხეთა რაზმებმა დასწვეს ქალაქი ლილინი. გარდა ამისა მეამბოხეებმა განსაზღვრულ მანძილზე ააფეთქეს ლილინ-ჩაჯუს რკინის გზა (ადს).

„დიდი დანების" მოძრაობა

პეკინი, 4 მარტი. იაპონიის სააგენტო „ნიპპონ დემპოს" ცნობით, მეამბოხეთა მოძრაობა, რომელსაც გლეხური ორგანიზაცია „დიდი დანები"—ხელმძღვანელობს კვლავ გაძლიერდა დუნხუას რაიონში მუკდენის პროვინციის აღმოსავლეთით, კორეის საზღვრის მახლობლად. ფიქრობენ, რომ „დიდი დანების" რაზმები დუნხუას დაიკავებენ (ადს).

კომუნისტური მოძრაობის ჩაქრობა?

შანხაი, 4 მარტი. კანტონიდან იუწყებიან, რომ თითქოს ხაიფინში გაგზავნილმა დამსჯელმა ექსპედიციამ საბოლოოდ „აღმოფხვრა კომუნისტური რეჟიმი". 6 მარტს ექსპედიცია გაემგზავრება მეამბოხე რაზმების წინააღმდეგ ბაჩაკუჯუს რაიონში (ადს).

პეკინის ვაჭრები გადასახადს არ იხდიან

პეკინი, 4 მარტი. ფუფუნების საგნებზე გადასახადის ამკრეფმა ბიურომ უმნიშვნელო თანხის შეგროვებაც კი ვერ შესძლო, რადგან პეკინის ვაჭრები კატეგორიულად უარს აცხადებენ გადასახადის გადახდაზე.

მილიტარისტები შეთანხმდნენ?

პეკინი, 4 მარტი. ჰოვენის სააგენტო ამტკიცებს, რომ ნანკინსა და პეკინს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს სიუი ჩოუს რაიონის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებას და ტიან-ცზინ-პუკოუს რკინის გზაზე მოძრაობის აღდგენას.

სააგენტოს სიტყვებით, ფინ-იუისიანმა დეპეშით განაცხადა, რომ ის მზად არის შეუთანხმდეს ჩრდილოეთს.

ჩჟან-ცზუ-ჩანის მახლობელი გაზეთი „ხუან ბაო" ამტკიცებს, რომ უკანასკნელ დროს ბევრმა ისეთმა ნიშნებმა იჩინა თავი, რომლებიც მოწმობს შეთანხმების მოახლოვებას ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის: „მას შემდეგ, რაც ნანკინმა გასწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან,—სწერს გაზეთი—ჩრდილოეთმა ხელი აიღო სამხრეთის დაპყრობის გეგმაზე, ყველაზე უფრო რთული ამოცანაც კი—ზავის დადება ფინ-იუი-სიანთან—შეიძლება გადაიჭრას".

რეიტერის სააგენტო აცხადებს, რომ ფინ-იუი-სიანის დეპეშა უნდა განხილულ იქნას, როგორც მოწოდება ზოგიერთ ჩრდილოეთ გენერლებისადმი სამხრეთის მხარეზე გადასვლის შესახებ, და არა როგორც წინადადება საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ (ადს).

აჯანყება ინგლისის წინააღმდეგ

ლონდონი, 4 მარტი. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ირაქისა და არაბეთის საზღვარზე მდგომარეობა თანდათან უფრო სერიოზული ხდება.

„ტაიმსის" კორესპონდენტი ბასრიდან იუწყება, რომ ნეჯას სულთანმა, გეჯაზის მეფემ, იბნსაუდმა ირაქის მთავრობას პროტესტი განუცხადა. იმის გამო, რომ ირაქიდან გაფრენილმა ინგლისის აეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს მუტაირების ტომის ნეჯდის ტერიტორიაზე.

ამავ გაზეთის ცნობით, ატაიბახის ტომი ამზადებს თავდასხმას ირაქის და კოვეიტის სამხრეთ ნაწილზე. შეკრებილ სამხედრო რაზმების საერთო რიცხვი 20.000 კაცამდე აღწევს. კოვეიტაში მოეწყო ინგლისის ახალი საავიაციო ბაზა. კოვეიტაში ჩავიდა ინგლისის ორი კანონერკა. კანონერკები შეუერთდენ იქ მყოფ კრეისერ „ემერალდს".

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ კოვეიტი (არაბთა სახელმწიფო, რომელიც მდებარეობს სპარსეთის ყურეს ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაპირზე) ამჟამად სავსებით ინგლისის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. ამ წრეების აზრით ინგლისის ახალი საზღვარი და საჰაერო ძალების თავმოყრა კოვეიტში ნიშნავს ინგლისის მიერ კოვეიტის ტერიტორიის ანექსიას ირაქის ტერიტორიის გაფართოების მიზნით, ამავე დროს მთელ რიგ ფაქტებიდან სჩანს, რომ ინგლისი ცდილობს გააფართოოს ირაქის ტერიტორია აგრეთვე აღმოსავლეთით სპარსეთის ხარჯზე მახამერის ხელში ჩაგდების გზით.

შენიშვნა: არაბთა ტომების თავდასხმა ირაქზე დაიწყო იმის შემდეგ, რაც ირაქის მთავრობა ინგლისის კარნახით შეუდგა სიმაგრეების აგებას ოაზისებში, რომლებიც მდებარეობენ ირაქის დასავლეთით იბნ-საუდის ხელქვეით არაბთა ტომის ტერიტორიაზე. არაბთა ტომებმა ასეთ სიმაგრეების აგებაში დაინახეს ირაქის—ე. ი. ფაქტიურად ინგლისის მზადება მათ ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად, ხოლო არაბთა ტომების თავდასხმა კოვეიტზე დაიწყო იმის შემდეგ, რაც კოვეიტში ინგლისელებმა თავი მოუყარეს სამხედრო ძალებს. არაბებში გავრცელებულ აზრის მიხედვით ამ ძალების მიზანია ან იბნ-საუდისათვის მუქარის შექმნა, ან კიდევ კოვეიტის სავსებით დაპყრობა. ინგლისის მთავრობამ იბნ-საუდისაგან მოითხოვა, რათა მას ინგლის-ირაქის ჯარებისათვის ნება დაერთო მოეწყოთ დამსჯელი ექსპედიცია მუტაირების წინააღმდეგ ნეჯდის ტერიტორიაზე, მაგრამ იბნ-საუდმა გადაჭრით უარყო ეს მოთხოვნილობა და პროტესტი განაცხადა ოაზისებში სიმაგრეების აგების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ინგლისის აეროპლანები თავს დაესხნენ მუტაირებს ნეჯდის ტერიტორიაზე. (ადს)

ეგვიპტის პასუხი ინგლისის მთავრობას

ეგვიპტის პრემიერი გადადგა

ლონდონი, 4 მარტი. 3 მარტს შესდგა ეგვიპტის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელსაც არ დასწრებია პრემიერი სარვატ-ფაშა.

მინისტრთა საბჭომ მიიღო ტექსტი ეგვიპტის მთავრობის წერილობითი პასუხისა ინგლისის მთავრობისადმი ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების დადების შესახებ.

პოლიტიკური წრეების ცნობით, ამ პასუხში ნათქვამია, რომ ინგლისის მიერ წამოყენებული პირობები მიუღებელია ეგვიპტისათვის და არ შეეფერება ეგვიპტის დამოუკიდებლობას, რამდენადაც ეს პრობები ინგლისს ანიჭებს ეგვიპტის ოკუპაციის უფლებას.

მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების გამო პრემიერი სარვატ-ფაშა გადადგა (ადს).

ლონდონი, 5 მარტი. მიუხედავად ეგვიპტის მეფის მოთხოვნისა, პრემიერმა სარვატ-ფაშამ უკან არ წაიღო თხოვნა გადადგომის შესახებ. მან განაცხადა, რომ ექიმებმა, დიდი ხანია ურჩიეს მას დასვენება და იგი ვალდებულია დაუჯეროს მათ. ნაციონალისტების ბელადმა ფახას-ფაშამ განაცხადა, რომ ასეთი პირობებში იგი უარს იტყვის მთავრობის შედგენაზე. (ადს).

არჩევნები პოლონეთში

ყველა საპყრობილეები აივსო დაპატიმრებულებით.

ვარშავა, 5 მარტი. 4 მარტს დილიდან იწყება არჩევნები. საარჩევნო ბრძოლა მეტად გამწვავებულია. ფეხზე დგას მთელი პოლიცია, პოლიციელების სამსახური დრო ამ უკანასკნელ დღეებში გაგრძელებულია 24 საათამდე. საპოლიციო სამსახურისათვის მობილიზაცია უყვეს საპოლიციო სკოლას და პოლიციის ყველა მოხელეებს. მომზადებულია სასწრაფო დახმარების განსაკუთრებული რაზმი, ვინაიდან გახშირდა „უბედური შემთხვევები". მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს დაპატიმრებულებით ავსილია ვარშავის ყველა საპყრობილეები. ასეთი მასსიური დაპატიმრება ვარშავაში არ ყოფილა 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ. დაპატიმრებულთა შორის დიდი უმრავლესობა კომუნისტებია (ადს).

არჩევნები მუშათა რაიონში

ვარშავა, 4 მარტი. არჩევნების დღეს ვარშავაში პოლიციამ დააპატიმრა მთელი რიგი აგიტატორები, რომელნიც პროპაგანდას ეწეოდნენ მუშურ-გლეხური მთლიანობის სიის სასარგებლოდ. განწყობილება მუშათა რაიონებში იყო აშკარად მუშურ-გლეხური მთლიანობის სიის სასარგებლოდ, რომლის საარჩევნო ბარათებს ყველა ქუჩებში არიგებდნენ ახალგაზრდა მუშები და ბავშვებიც კი. პილსუდსკის რაზმელებმა გააჩერეს და გააფუჭეს სამი ავტომობილი, რომლებიც მუშათა რაიონში დადიოდნენ მუშურ-გლეხური მთლიანობის პლაკატებით, ზოგიერთ სახლებში მუშათა რაიონებში გამოკრული იყო წითელი დროშები, რომლებიც დაუყოვნებლივ მოხსნა პოლიციამ.

კომუნისტები აირჩიეს

ვარშავა, 4 მარტი. სიით № 18 (მუშურ-გლეხური მთლიანობის სია), რომელმაც ვარშავაში მიიღო 2 მანდატი, სეიმში გავიდა წინანდელი სეიმის ორი კომუნისტი დეპუტატი ვარსკი და სოხაცკი. (ადს).

ვარშავაში

ვარშავა, 5 მარტი. ვარშავაში დამთავრდა სეიმის არჩევნებში ხმების დათვლა. პირველი ადგილი ვარშავაში უჭირავს მთავრობის სიას, რომელმაც მიიღო 165.961 ხმა. მემარჯვენეთა ბლოკის სიამ მიიღო 97.365 ხმა, მუშურ-გლეხური მთლიანობის სიამ—55.030, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ (პეპესოვცები)—42.504, ეროვნულ უმცირესობათა ბლოკის სიამ—48.128 ხმა. მთავრობის სიამ ვარშავაში მიღებული ხმებით გაიყვანა 6 დეპუტატი, მემარჯვენეებმა—4, მუშურ-გლეხური მთლიანობის სიამ—2, ეროვნულ უმცირესობათა ბლოკი—1 და პოლონეთის სოციალისტური პარტია—1.

ამას წინად მომხდარ კომუნალურ არჩევნებთან შედარებით პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ დაჰკარგა 22.000 ხმა, კომუნისტებმა შეინარჩუნეს ხმების მაშინდელი რაოდენობა, მემარჯვენეებმა დაჰკარგეს 22.000 ხმა.

ლოძში

ვარშავა, 4 მარტი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის სიამ ლოძში მიიღო 78.788 ხმა (სამი მანდატი), მუშათა გაერთიანებამ, რომლის პლატფორმა იგივეა, რაც მუშურ-გლეხური მთლიანობის პლატფორმა - 46.993 ხმა (ორი მანდატი), პილსუდსკის მომხრეებმა—44.914 ხმა (ერთი მანდატი), ეროვნულ უმცირესობათა ბლოკმა—31.600 ხმა (ერთი მანდატი), მემარჯვენეები უმანდატოდ დარჩნენ. (ადს).

დეპუტატები ბელორუსის გრომადიდან

ვარშავა, 4 მარტი. შეუმოწმებელი ცნობებით, ნოვოგრუდკაში და ლიდში სეიმში არჩეულ იქნა ბელორუსის გრომადის სიის 5 კანდიდატი. (ადს).

დომბროვის რაიონში

ვარშავა, 4 მარტი. ბენდინში (დომბროვის რაიონის სამრეწველო ქალაქი) ხმების უმრავლესობა მიიღო მუშურ-გლეხური მთლიანობის სიამ, რომელიც მიღებული ხმებით გაიყვანს 3 ან 4 დეპუტატს. პოლონეთის სოციალისტური პარტია (პეპესოველები) უმანდატოდ დარჩა, პილსუდსკის მომხრეებმა მიიღეს 2 მანდატი.

ცნობები არჩევნების შესახებ დომბროვის რაიონის სხვა ქალაქებიდან ჯერ კიდევ არ არის მიღებული. (ადს).

შვეცია-საბჭოთა შეთანხმება დამტკიცებულია

სტოკჰოლმი, 4 მარტი. პარლამენტმა მიიღო მთავრობის წინადადება შვეცია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების დამტკიცების შესახებ. შეთანხმება ეხება საბ. კავშ. სავაჭრო დელეგაციის უფლებებს და მოვალეობებს სტოკჰოლმში (ადს).

ინგლისის მრეწველობის მძიმე მდგომარეობა

ბერლინი, 4 მარტი. გერმანიის და ინგლისის მრეწველობის შეთანხმების საკითხთან დაკავშირებით „ფოსიშე ცაიტუნგის" ლონდონელი კორესპონდენტი ედვარსი ათავსებს წერილს ინგლისის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

ედვარსის აზრით, ინგლისის მრეწველობის გაჯანსაღება „აღარ შეიძლება მუშების ხელფასის და სამუშაო დროის ხარჯზე, ვინაიდან მუშების მდგომარეობა რევოლიუციას უქადის ინგლისს". ის ფიქრობს, რომ ინგლისის მრეწველობის შეთანხმება გერმანიის, საფრანგეთის და ბელგიის მრეწველობასთან მისცემს ინგლისს ბაზრებს და იხსნის მას სამრეწველო სიძნელეთაგან (ადს).

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა

ზალესკი ლიტვის ნოტის შესახებ

ვარშავა, 5 მარტი. ჟენევაში გამგზავრების წინ ზალესკიმ ოფიციოზურ გაზეთ „ეპოქას" წარმომადგენელს განუცხადა:

„პოლონეთის მთავრობას ჯერ-ჯერობით არ გაუცია პასუხი ლიტვის წინადადებაზე, მაგრამ უსათუოდ მიიღებს მას. ლიტვის ნოტა, მიუხედავათ მისი არასასიამოვნო ტონისა, (ნოტაში ბევრია ისეთი პუნქტები, რომელიც უთანხმოების გამომწვევ შთაბეჭდილებას სტოვებს), შეიცავს კონკრეტულ წინადადებებს მოლაპარაკების ადგილისა და დროის შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისათვის". (ადს).

ზასენბახის „გასტროლები" რუმინეთში

ვენა, 4 მარტი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ რეფორმისტულ პროფკავშირებთან ერთად მოაწყო ბუქარესტში კრება, რომელზედაც გამოვიდა ამსტერდამის ინტერნაციონალის დროებითი გენერალური მდივანი ზასენბახი.

ზასენბახი თავის სიტყვაში იმეორებდა სოციალ-დემოკრატების ჩვეულებრივ ცილისწამებას კომინტერნზე, საკავშირო კომპარტიაზე (ბ) და საბჭოთა კავშირზე და მოუწოდებდა რუმინეთის მუშათა კლასს „არ გაჰყვენ კომუნისტებს და მხარი არ დაუჭირონ რუმინეთის უნიტარულ (რევოლიუციონურ) პროფკავშირების კამპანიას მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის სასარგებლოდ რუმინეთში".

კრებაზე გამოვიდა აგრეთვე რუმინეთის კომპარტიის ყოფილი წევრი ქრისტესკუ, რომელიც მხარს უჭერდა ზასენბახს. კრებას დაესწრო ბევრი მუშები, რომლებმაც სასტიკი პროტესტი განაცხადეს ზასენბახის და ქრისტესკუს ანტი-კომუნისტურ გამოსვლების წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატები თავს დაესხნენ ამ ჯგუფს, მოხდა შეტაკება, სოციალ-დემოკრატებმა ოხრანკის აგენტების დახმარებით მოახერხეს პროტესტის განმცხადებელთა გაძევება დარბაზიდან (ადს).

მუშათა ბრძოლა

კონფლიქტი გერმანიის ხის დამმუშავებელ მრეწველობაში

ბერლინი, 4 მარტი. ხის დამმუშავებელთა პროფკავშირის სრულიად გერმანიის კონფერენციამ უარყო სამედიატორო გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია ხის დამმუშავებელთა და მწარმოებელთა შორის მომხდარ კონფლიქტის გამო. სამედიატორო გადაწყვეტილება ეხებოდა 18 ოლქს და 120.000 მუშას და ითვალისწინებდა ხელფასის დაუყოვნებლივ გადიდებას 6 პფენიგით საათში. მუშები მოითხოვენ ხელფასის 15 პფენიგით მომატებას საათში. (ადს).

ნიუ-იორკის მეტროპოლიტენში გაფიცვა გადადებულია

ნიუ-იორკი, 4 მარტი. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუშა-მოსამსახურეთა კავშირმა, რომელიც ემხრობა ამერიკის შრომის ფედერაციას, გადასდო გაფიცვის გამოცხადება და დასთანხმდა იმაზე, რომ საკითხი კავშირის დათხოვნილ წევრების შესახებ გადაჭრილ იქნეს სამედიატორო სასამართლოს წესით. (ადს).

უმუშევართა დემონსტრაცია

რიგა, 4 მარტი. 3 მარტს შესდგა უმუშევართა დემონსტრაცია, დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 3.000 კაცმა, რომლებიც დადიოდნენ ქუჩებში რევოლიუციონურ სიმღერების და ინტერნაციონალის სიმღერით. დემონსტრანტებს ჰქონდათ პლაკატები წარწერებით: მოგვეცით სამუშაო და პური, ჩვენი ბავშვები შიმშილით კვდებიან.

უმუშევრებმა გამოჰყვეს დელეგაციები მთელ რიგ მოთხოვნილებათა წარსადგენად მთავრობისათვის და ქალაქის საბჭოსთვის (ადს).

მასლოვ-რუტ-ფიშერის მორიგი მარცხი

ბერლინი, 5 მარტი. 4 მარტს მოხდა მელითონეთა პროფკავშირის ადგილკომის არჩევნები ზულში (ზული პატარა ქალაქია ტიურინგიაში), აქ მასლოვ—რუტ-ფიშერის ჯგუფს აქვს ერთგვარი გავლენა) რუტ-ფიშერის—მასლოვის მომხრეებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ გამოეცვალათ არსებული ადგილკომი, რომელიც შესდგება კომპარტიის ერთგულ წევრებისაგან და რომელნიც დარჩნენ კომპარტიის ადგილობრივ ზულის ორგანიზაციაში „ულტრა მემარცხენეების" გამოყოფის შემდეგ. რუტ-ფიშერ—მასლოვის მომხრეებს მოლაპარაკებასაც კი აწარმოებდნენ სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანებული სიით გამოსვლის შესახებ. ვინაიდან შეთანხმება ვერ მოხდა, არჩევნებში წამოყენებული იყო სამი სია. გაიმარჯვა ადგილკომის არსებულმა შემადგენლობამ, რომელმაც მიიღო 616 ხმა, რუტ-ფიშერ—მასლოვის სიამ მიიღო 309 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა 144. (ადს).

გადაფრენა

ნიუიორკი—მოსკოვი

მოსკოვი, 4 მარტი. „დობროლიოტმა" ნიუ-იორკიდან მიიღო ცნობა, რომ ლევინე, მეტად ცნობილი ფირმა აგებს სამ დიდ ჰიდროპლანს, რომლებზედაც დადგმული იქნება ფირმანის 7.50 ცხენის ძალიანი მოტორები ან პაკარდის სისტემის 1600 ცხენის ძალიანი მოტორები. ამ ჰიდროპლანებმა უნდა დაამყარონ ნიუ-იორკიდან საბჭოთა კავშირამდე გადაფრენის მსოფლიო რეკორდი. გადაფრენა განზრახულია მოეწყოს ციმბირის ხაზით; აეროპლანები დაეშვება მოსკოვში.

კომპანიამ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სააქციო საზოგადოების საშუალებით მიმართა „დობროლიოტს" აღმოუჩინოს მას დახმარება. გადაფრენა განზრახულია მოხდეს ნიუ-იორკიდან მიმდინარე წლის გაზაფხულზე. „დობროლიოტი" ფიქრობს უპასუხოს ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სააქციო საზოგადოებას, რომ მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო დახმარება გაუწიოს გადაფრენას და უფრო შესაფერისად მიაჩნია, რომ გადაფრენის დრო ციმბირის კლიმატიური პირობების გამო გადატანილ იქნეს ივლისში. (ადს).

„ზინოვიევის წერილის" გარშემო

ტომას მარლოუ ამართლებს გრეგორის

ლონდონი, 4 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ „ობსერვერმა" გამოაქვეყნა „დეილი მეილის" ყოფილ რედაქტორი ტომას მარლოუს წერილი, რომლიდგანაც სჩანს, თუ რა გზით მიიღო „დეილ-მეილმა" ზინოვიევის წერილის ასლი, სანამ გარეშე საქმეთა სამინისტრო გამოაქვეყნებდა მას. მარლოუ აცხადებს, რომ პირველად მან ამ წერილის შესახებ გაიგონა 1924 წ. 23 ოქტომბერს. ამ დღეს მას დაურეკა ერთმა ნაცნობმა და გადასცა, რომ მთავრობის დაწესებულებებში არის დოკუმენტი, „რომელიც ადასტურებს" ბოლშევიკების და ინგლისის მუშათა ბელადების კავშირს. და რომ პრემიერმა ეს იცის, მაგრამ ის ცდილობს თავიდან აიცილოს ამ დოკუმენტის გამოქვეყნება. შემდეგ მარლოუ ამბობს, რომ მან თავისი „ნაცნობების" საშუალებით იშოვნა ამ წერილის ორი ასლი. ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ მეორე. შემდეგ მარლოუ აცხადებს, რომ აურ კროუმ, რომელსაც მაშინ გარეშე საქმეთა მინისტრის მუდმივი ამხანაგის თანამდებობა ეჭირა, გაიგო, რომ წერილი გამოქვეყნდება გაზეთებში და ამიტომ გადასწყვიტა, რომ უმჯობესია მისი გამოქვეყნება ოფიციალურად. მარლოუ ამბობს, რომ გრეგორის (რომელიც სამსახურიდან დათხოვნილ იქნა საფრანგეთის ვალიუტით სპეკულიაციასთან დაკავშირებით), არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია „დეილ მეილის" რედაქციის მიერ წერილის მიღებასთან.

მარლოუ აცხადებს, რომ ის არასოდეს არ შეხვედრია გრეგორის და არასოდეს არ ჰქონია მასთან რაიმე ურთიერთობა და რომ მას „ზინოვიევის წერილისათვის" არც ერთი პენი არ მიუცია არც გრეგორისათვის და არც სხვა რომელიმე პირისათვის (ადს).

მაკდონალდი პოლიტიკური კაპიტალის შექმნას აპირებს.

ლონდონი, 4 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ბრიტტონ ფერრიში სიტყვით გამოვიდა მაკდონალდი, რომელმაც ზინოვიევის წერილს უწოდა ყალთაბანდობა".

შემდეგ მაკდონალდმა ილაპარაკა ზინოვიევის წერილის „თაღლითურ გამოყენებაზე" და განაცხადა, რომ სანამ ეს საბოლოოდ არ გამოირკვევა, მუშათა პარტია ვერ მოისვენებს. „ჩვენ მივცემთ მთავრობას შესაძლებლობას,—სთქვა მაკდონალდმა,—გამოარკვიოს ეს საქმე. თუ ის ასე არ მოიქცა, ჩვენ ამ საკითხს არ მოვეშვებით მანამ, სანამ მოტყუება არ გამოაშკარავდება და ინგლისის საზოგადოებრივი აზრი და ინგლისის ხალხი არ გაიგებენ თუ რა პირობებში სწარმოებდა 1926 წ. არჩევნები და როგორი გავლენის ქვეშ მოექცა ამომრჩეველი მისდა შეუგნებლად.

დასასრულ მაკდონალდმა განაცხადა, რომ მას არასოდეს არ უთქვამს—დარწმუნებულია ის თუ არა, რომ ზინოვიევის წერილი ყალბია, რადგან მას ეს არ აინტერესებს. მას აინტერესებს მხოლოდ წერილის თაღლითურად გამოყენების საკითხი" (ადს).

მაკდონალდის პასუხი მარლოუს

ლონდონი, 4 მარტი. მაკდონალდმა პასუხში „დეილი მეილის" ყოფილ რედაქტორის მარლოუს წერილზე განაცხადა, რომ ეს წერილი საბოლოოდ ამტკიცებს, რომ „ზინოვიევის ცნობილი წერილის" გამოქვეყნება იყო შეთქმულების შედეგი. სწორედ ზინოვიევის წერილის „დეილი მეილში" გამოქვეყნების საფრთხემ აიძულა, მაკდონალდის სიტყვით, გარეშე საქმეთა სამინისტრო, მისი (მაკდონალდის) არ ყოფნის დროს გაეგზავნა რაკოვსკისათვის წერილი და გამოექვეყნებინა იგი პრესაში.

მაკდონალდმა დასძინა, რომ ზინოვიევის წერილის გამოქვეყნებამდე მას არასოდეს არ უფიქრია, რომ ამ წერილს აქვს რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა. მას ყოველთვის ეპარებოდა ეჭვი „ზინოვიევის წერილის" სინამდვილეში, მაგრამ არ ჰქონდა საშუალება დარწმუნებულიყო მის სიყალბეში. პრაქტიკულად იგი ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ ძირითად როლს ამ საქმეში თამაშობდა არა დოკუმენტის სინამდვილე, არამედ მისი გამოყენება იმ სახით, როგორც ეს მოხდა (ადს).

ტომას მარლოუს წერილის შესახებ.

ლონდონი, 4 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მუშათა პარტიის ლიდერი ტომასი დარლინგტონში წარმოთქმულ სიტყვაში შეეხო მარლოუს წერილს „ობსერვერი"-ს რედაქციისადმი და განაცხადა, რომ მუშათა მთავრობის დამარცხებაში 1924 წლის შემოდგომაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა „ზინოვიევის წერილის" გამოქვეყნებამ. ტომასმა განაცხადა, რომ დღემდე არც მას, არც მუშათა პარტიის მთავრობის რომელიმე სხვა წევრს, მაკდონალდის გამოკლებით, „ზინოვიევის წერილის" გამოქვეყნებამდე არაფერი არ გაუგონია ამ წერილის შესახებ.

თემთა პალატაში შევეკითხებით,—სთქვა დასასრულ ტომასმა,—როგორ მოხდა, რომ ზოგიერთმა პირებმა ეს წერილი გაგზავნეს „დეილი მეილი"-ს რედაქციაში? როგორც არ უნდა იყოს პოლიტიკური უთანხმოება, ხელისუფლების სათავეში მდგომ ყოველ პარტიას უნდა ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ ბრძოლა მის წინააღმდეგ სინდისიერად სწარმოებს. თუ გამოირკვევა, რომ არსებობს რაიმე შეთქმულება იმ მიზნით, რომ ხელისუფლების სათავეში მდგომი პარტია დამარცხებულ იქნას არასინდისიერი საშუალებებით, მაშინ საფრთხეში ჩავარდება თვით დემოკრატიული მმართველობის პრინციპი". (ადს).

სასკანდალო ამბავი

ლონდონი, 5 მარტი. „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ მაკდონალდმა თავიდანვე ნამდვილად აღიარა „ზინოვიევის წერილი". „მარლოუს განცხადება,—სწერს გაზეთი,—იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთმა პირებმა განზრახ შექმნეს პირობები „ზინოვიევის წერილის" გამოქვეყნებისათვის, რომ ამით ზეგავლენა მოეხდინათ არჩევნების შედეგებზე. ამ საქმეში ჩარეულ პირებს,—როგორც ეს სჩანს მარლოუს წერილიდან,—მეტად მაღალი თანამდებობანი ეჭირათ და საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ საიდუმლო დოკუმენტებით. საქმეს აქვს არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა, რადგან, რაც ერთხელ მოხდა, შესაძლებელია მომავალშიც განმეორდეს".

„მანჩესტერ გარდიან" სწერს, რომ მარლოუს წერილმა ბომბის აფეთქების შთაბეჭდილება მოახდინა. გაზეთი აღადგენს რა 1924 წ. არჩევნების სურათს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ პასუხისმგებლობა იმ კატასტროფიული შედეგებისათვის, რომელიც „ზინოვიევის წერილის" გამოქვეყნებას მოჰყვა, ეკისრება მაკდონალდს.

„დეილი ჰერალდი" მიუთითებს, რომ გრეგორის გამართლებით მარლოუმ ეჭვს ქვეშ დააყენა ოთხი დაწესებულება. „მარლოუმ იმდენად გააფართოვა ეჭვების წრე, რომ იგი ეხება სახელმწიფო, სამოქალაქო და სამხედრო უწყების ადმინისტრატიული აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს".

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 5 მარტი. 2 მარტს ახ. კომ. ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმმა მოისმინა ამხ. იანსის მოხსენება ახ. კომ. ინტერნაციონალის ეკონომიური მუშაობის შესახებ. კამათის შემდეგ პლენუმმა რეზოლიუციის შემუშავება მიანდო კომისიას.

5 მარტს გაიმართა პლენუმის საბოლოო სხდომა. პლენუმმა დაადგინა: 1928 წლის ზაფხულში მოიწვიოს ახალგაზრდობის კომ. ინტერნაციონალის კონგრესი.

დასასრულ, პლენუმმა ცვლილებები შეიტანა ახ. კომუნისტ. ინტერნაციონალის აღმასკომისა და აღმასკომის პრეზიდიუმის შემადგენლობაში და შეავსო იგი. პრეზიდიუმი დამტკიცებულია 25 კაცის შემადგენლობით. ახ. კომ. ინტერნაციონალის აღმასკომის მდივნის ამხ. შაცკინის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმი დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

მოსკოვი, 5 მარტი. ახ. კომ. ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმმა მიიღო შემდეგი პროგრამა 1928 წლის ზაფხულში მოსაწვევ ახ. კომ. ინტერნაციონალის კონგრესისათვის: კომინტერნის მე-6 კონგრესის შედეგები; ახ. კომუნისტ. ინტერნაციონალის აღმასკომის ანგარიში; ახ. კომ. ინტერნაციონალის აგიტაციის და პროპაგანდის მეთოდები; ახალგაზრდობა და სოციალიზმის მშენებლობა; საბჭოთა კავშირის მუშა-ახალგაზრდობის მდგომარეობა და კომკავშირის მუშაობა; ახ. კომუნისტ. ინტერნაციონალის მუშაობა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში; არჩევნები.

პლენუმმა დაადგინა, მოაწყოს 19 მაისიდან 27 მაისამდე ბავშვთა საერთაშორისო კვირა. (ადს).

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ

მოსკოვი, 5 მარტი. გამოქვეყნებულია საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას საერთოდ, და განსაკუთრებით ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობათა გაერთიანებას საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობათა გაძლიერებას და გაფართოებას, მიწათმოწყობის სწრაფ გატარებას, სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის განვითარებას და სხ. საკავშირო მთავრობამ აგრეთვე საჭიროდ სცნო ღონისძიებათა მიღება საბაზრო ხორბლეულის და ტეხნიკურ კულტურების ნათესების ხვედრის გასაფართოებლად და მათი მოსავლიანობის გასადიდებლად საკავშირო მთავრობამ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ მთავრობებს ხელი შეუწყონ მიწათსარგებლობის ისეთ ფორმებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობის კოოპერატიულ ფორმებზე გადასვლას და მაშინიზაციას. მოკავშირე რესპუბლიკების სამიწათმოქმედო ორგანოებმა 1928 წლის განმავლობაში უნდა დაამთავრონ მიწათმოწყობა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობებში და საერთოდ გააძლიერონ მიწათმოწყობის საქმე.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაევალა დაამუშაოს საკითხი თანხების უფრო გეგმიანად გამოყენების შესახებ სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის საქმეზე. გლეხთა მეურნეობებისათვის და კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობებისათვის მანქანების მიწოდების საქმისათვის მიმდინარე წელში გადადებულია 98.400.000 მანეთი. ტრაქტორების მიწოდების საქმისათვის 7.760.000 მანეთი.

მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს წინადადება მიეცა დაამუშაონ გლეხობისათვის სამუშაო საქონლის გეგმიან მიწოდების საკითხი.

მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა უნდა უზრუნველყონ მოსახლეობისათვის სათესლე მასალის მიწოდება 1928 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვის კამპანიებში.

ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკს წინადადება მიეცა მიიღოს ზომები, რომ მიმდინარე წელში ქვედა საფეხურის საკრედიტო კოოპერაციამ მიიღოს არა ნაკლებ 60 პროცენტისა იმ თანხებიდან, რომლებიც გადადებულია სოფლის მეურნეობის საწარმოო მიზნებისათვის, მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს დაევალა მიიღონ ზომები ცრუ-კოოპერატივების ლიკვიდაციისათვის.

ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების გასაძლიერებლად ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს და აგრეთვე რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს დაევალა 1926—27 წლის მოგებიდან გადასდონ 3 მილიონი მანეთი ღარიბ გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირების ფონდში. ამას გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში სამეურნეო წლის ბოლოს შეიქმნება ღარიბ გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირების სპეციალური ფონდი 2 მილიონი მანეთის რაოდენობით.

საკავშირო მთავრობამ დაუსახა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ამოცანა მიმდინარე წელში მთლიანად აკრიფოს თავის წევრებიდან საპაიო გადასახადი არანაკლებ 10 მანეთისა თვითეულ წევრზე. გლეხობის ხელმოკლე ფენებს უნდა მიეცეს შეღავათები პაების გადახდაში.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომი განვითარების მიზნით საკავშირო მთავრობამ საჭიროდ სცნო კოლექტიური მეურნეობათა განვითარების სისტემაში ჩარიცხოს სამანქანო, სამანქანო-სატრაქტორო და სამელიორაციო ამხანაგობები და გააძლიეროს მათთვის დახმარების გაწევა, რისთვისაც გადადებულია 1 მილიონი მანეთი.

საკავშირო მთავრობის მიერ დასახულ ყველა ღონისძიებათა გატარებისათვის საჭირო ფინანსიური მარაგი საერთოდ განსაზღვრულია 289 მილიონ მანეთით სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტიდან, 274 მილიონ მანეთით სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საბრუნავ თანხებიდან, 95 მილიონი მანეთით სამეურნეო ორგანოების საშუალებებიდან, 30 მილიონი მანეთით სახელმწიფო ბანკის საშუალებებიდან, სულ კი 717 მილიონი მანეთით.

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი, 5 მარტი. კომუნალური მეურნეობის მუშაკთა საკავშირო ყრილობამ დაადგინა, რომ კომუნალური მეურნეობის მთელი შემოსავალი მოხმარდეს კომუნალურ საწარმოო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას, უმთავრესად, სამრეწველო ცენტრისა და მუშათა უბნების კეთილმოწყობას. ყრილობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მთელ საბჭოთა კავშირში კომუნალური საწარმოო დაწესებულებანი გადაყვანილ იქნან სამეურნეო ანგარიშზე და აგრეთვე მოეწყოს კავშირის შიგნით სოფლის მუშებისა და მოსამსახურეების, ქალაქის სახანძრო რაზმისა და სამრეცხაოების მუშების საწარმოო სექციები. (ადს).

ღამის ცნობები

„ზინოვიევის წერილის" გამოქვეყნების ისტორია

ლონდონი, 5 მარტი. „დეილი-მეილის" დღევანდელ ნომერში მოთხრობილია, თუ როგორ იშოვა ამ გაზეთის რედაქციამ „ზინოვიევის წერილის" ასლი და გადასცა დანარჩენ გაზეთებს.—1924 წლის 10 და 23 ოქტომბრის რიცხვებს შუა,—ნათქვამია წერილში,—ზოგიერთმა პირებმა გაიგეს, რომ წერილის ასლები სხვადასხვა წყაროდან ხელში ჩაუვარდა საგარეო საქმეთა სამინისტროს. ოფიციალური ცნობების უქონლობამ ამის შესახებ გამოიწვია მითქმა-მოთქმა. მაშინ რედაქციამ გადასწყვიტა გაეგო საქმის ვითარება. 24 ოქტომბერს რედაქციის განკარგულებაში იყო უკვე წერილის ორი ასლი. იმ მოსაზრებით, რომ საჭიროა ასეთი სახიფათო წერილის დაუყოვნებლივ გამოქვეყნება, რედაქციამ დაუგზავნა იგი ყველა მთავარ გაზეთებს და წინადადება მისცა მათ, რომ ამ წერილის სინამდვილის შესახებ ცნობებისათვის მიემართათ საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის. „ტაიმს"-ის რედაქციამ კიდევ შეეკითხა ამის შესახებ სამინისტროს, და მას შემდეგ იქნა მიღებული გადაწყვეტილება წერილის დაუყოვნებლივ ოფიციალური სახით გამოქვეყნების შესახებ. შემდეგ გამოირკვა, რომ მაკდონალდმა წერილი ნახა ერთი კვირით ადრე გამოქვეყნებამდე, მაშინ როცა იგი მანჩესტერში იყო და საარჩევნო მიტინგზე გამოდიოდა. (ადს).

მაკდონალდის პასუხი

ლონდონი, 5 მარტი. თავის პასუხში მარლოუს წერილზე მაკდონალდი სხვათაშორის აცხადებს: „მე კატეგორიულად უარვყოფ მარლოუს მტკიცებას, თითქოს მას საშუალება ჰქონდა მთავრობის დაწესებულებებიდან მიეღო საიდუმლო დოკუმენტები პოლიტიკური მიზნებისათვის გამოსაყენებლად".

ინციდენტი თემთა პალატაში „ზინოვიევის წერილის" გამო

ლონდონი, 5 მარტი. ინგლისის ოფიციალური რადიო იუწყება: გრეგორის საქმესთან დაკავშირებით კომისიის მოხსენებაში აღძრული საკითხები განხილული იქნება თემთა პალატაში ჟენევიდან ჩემბერლენის დაბრუნების შემდეგ. გაზეთები ფიქრობენ, რომ ბოლდუინი უარჰყოფს მოთხოვნას იმ გარემოებათა ხელმეორეთ გამოკვლევის შესახებ, რომელსაც კავშირი აქვთ წერილთან და ამ წერილის გამოქვეყნებასთან მაკდონალდის მიერ რაკოვსკის სახელზე გაგზავნილ საპროტესტო ნოტასთან ერთად. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ჟენევა, 5 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს სესია გაიხსნა. დღეს შესდგა დახურული სხდომა. ხვალ საბჭოს პლენუმზე გაირჩევა სენ-გოტარდის საკითხი. მომხსენებელი, ალბად, იქნება ჩემბერლენი. (ადს).

ამხ. რუტენბერგის გარდაცვალების წლისთავი

ნიუ-იორკი, 4 მარტი. ამხ. რუტენბერგის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად „უორკერს პარტი"-მ ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების ბევრ ქალაქში მოაწყო მიტინგები. ამავე დროს სწარმოებს პარტიაში ახალი წევრების მიღების კამპანია. (ადს).

შეთანხმება ტანჟერის შესახებ

პარიზი, 4 მარტი. ხელი მოაწერეს საფრანგეთ-ესპანეთის შეთანხმებას ტანჟერის შესახებ.

7 საათის სამუშაო დღე

ლითონის მრეწველობაში

მოსკოვი, 5 მარტი. „გლავმეტალმა" და მეტალისტთა კავშირის ცეკამ მიმართეს ლითონის მრეწველობის ყველა წარმოებებს სადირექტივო წერილით ღონისძიებათა მომზადების შესახებ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად.

„შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა—ნათქვამია წერილში, საჭიროა განხორციელებულ იქნას უაღრესად ფრთხილად და იმ წარმოებების მიხედვით, რომლებიც მიღწეულია რაციონალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის და თვითღირებულების შემცირების დარგში. ლითონის ყველა ახლად აგებული ქარხნები თავიდანვე უნდა იქნან გადაყვანილი შვიდსაათის სამუშაო დღეზე. შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა პირველ რიგში უნდა გატარდეს იმ დარგებში, სადაც დაყენებულია მასიური წარმოება და სადაც წარმოებათა ორგანიზაცია უფრო მარტივია. სამუშაო დროის შემოკლებამ არ უნდა გამოიწვიოს ხელფასის შემცირება. სამეურნეო ორგანოებმა ინტენსიური მუშაობა უნდა აწარმოონ, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა მოხერხდეს 1928—1929 წლის დასაწყისში. საკითხის დამუშავებაში ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა მასებმა, პროფორგანიზაციებმა და ტეხნიკურმა პერსონალმა. სამეურნეო ორგანოებმა თავისდროზე უნდა მოამზადონ კვალიფიკაციური მუშათა დამატებითი წყებები, უზრუნველჰყონ საბინაო აღმშენებლობა და ღონისძიებები შრომის დაცვისათვის" (ადს).

ბამბის კამპანიის შედეგები

მოსკოვი, 5 მარტი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატში გაიმართა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს, ფინსახკომის, საკავშირო პროფსაბჭოს და უზბეკისტანის რესპუბლიკის მებამბეობის კოოპერაციის წარმომადგენლებმა. თათბირზე მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის ნედლეულის სამმართველოს მოხსენება პურის დამზადების შედეგებისა და აგრეთვე ბამბის კამპანიის შესახებ 1927-28 წელში.

მომხსენებელმა ამხ. ვოძეკოვსკიმ განაცხადა, რომ ბამბის კამპანია 1927-28 წელში საკმაოდ წარმატებით ჩატარდა. გეგმით დასახული ამოცანები სავსებით იქნა შესრულებული. კოოპერაციის ჩაბმა ბამბის დამზადებაში მეტად წარმატებით მიმდინარეობდა. მომხსენებელი შემდეგ შეეხო ბამბის მომავალ კამპანიას და აღნიშნა, რომ 1928-29 წლის კამპანიის ეკონომიური პირობები ხელსაყრელია. ატმოსფერის ნალექები მებამბეობის რაიონებში შემოდგომის და ზამთრის პერიოდში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და დიდად აღემატება ჩვეულებრივ ნორმას. პურის ბაზრის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა წარსულ კამპანიასთან შედარებით. გაუმჯობესდა აგრეთვე მდგომარეობა სამრეწველო საქონლის ბაზარზე შუა აზიაში და ამიერ-კავკასიაში. გარდა ამისა ბამბის მეურნეობა წელს უფრო უზრუნველყოფილია მუშა-ხელით და ინვენტარით, ვიდრე შარშან. ბამბის მეურნეობის გაუმჯობესება საშუალებას გვაძლევს ბამბის ნათესები 1928-29 წელში ავიყვანოთ 980.700 ჰექტარის რაოდენობით, ნაცვლად 802.798 ჰექტარისა 1927-28 წელში, რაიც შეადგენს ზრდას 22 პროცენტით.

ნედლეულის სამმართველოს მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს მებამბეობის მთავარი კომიტეტის, ს. მ. უ. საბჭოს, უზბეკისტანის და სხ. წარმომადგენლებმა. კამათის ჯამი გაუკეთა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. ჩუდაკოვმა, რომელმაც აღნიშნა ღონისძიებანი ბამბის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. (ადს).

15 აეროპლანი

წითელ არმიას

მოსკოვი, 5 მარტი. 4 მარტს მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებს გადაეცა 15 აეროპლანი. აეროპლანები აგებულია იმ თანხებით, რომელიც შეგროვდა ფონდისათვის: „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს".

საავიაციო ნაწილების აღლუმის შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ ავიაქიმის ხელშემწყობი საზოგადოების, საკავშირო პროფსაბჭოს და სხვათა წარმომადგენლები.

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსმა ამხ. ბარანოვმა საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს სახელით მადლობა განაცხადა ახალი აეროპლანების გადაცემისათვის.

დასასრულ, მოსკოვის საბჭოს მდივანმა ამხ. გორდეევმა მოსკოვის მუშებისაგან გადასცა დროშა მოსკოვის საჰაერო ესკადრილიას „წითელ მოსკოვს", რის შემდეგ გაიმართა ფრენა. (ადს).

ბანდიტები მატარებელში

იზიუმი, 5 მარტი. დონის რკინისგზაზე სადგურ ილოვაისკაიას და ზავოდსკაიას შორის სამგზავრო მატარებელში საგზაო პირების დოკუმენტების გასინჯვის დროს, მოხდა სროლა ბანდიტებსა და მატარებლის კომენდანტ სლიუსარევს შორის. სროლის დროს მოკლულ იქმნა კომენდანტი სლიუსარევი და ერთი ბანდიტი, მსუბუქად დაიჭრა ორი მგზავრი. გადარჩენილმა ბანდიტებმა გაძარცვეს მატარებელი და მიიმალნენ. დაჭრილი მგზავრები სასწრაფო დახმარების მიღების შემდეგ გაემგზავრნენ იმავე მატარებლით (ადს).

საქ. ლენინურ კომკავშირის მეცხრე ყრილობა

მეათე სხდომა

ამხ. ქ. ბუჯიაშვილის თანამოხსენება

ბავშთა შორის მუშაობის შესახებ

ამხანაგებო! ბავშთა შორის მუშაობის საკითხი მთავარ ამოცანას წარმოადგენს, ვინაიდან უმთავრესად ბავშთა აღზრდას კლასობრივი, პროლეტარული სულისკვეთებით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ჩვენი ყრილობის მიზანს შეადგენს განვლილ მუშაობის ჯამის გაკეთება და აღნუსხვა ბავშთა კომუნისტური განვითარებაში ზოგიერთი მიღწევების.

ცხადია, რომ პიონერთა მოძრაობა არის მთავარი, ძირითადი ფაქტორი ბავშთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. პარტია ბავშთა შორის მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში პიონერთა მოძრაობა განიცდიდა ზოგიერთ კრიზისს თავის განვითარებაში. ამის მიზეზი კი იყო მუშაობის შინაარსის ერთგვარი შეუფარდებლობა ბავშთა მოთხოვნილებებთან. ამან კი თავი იჩინა განსაკუთრებით ქ. კ. მეორე კონფერენციის წინა პერიოდში. მართალია, ქ. კ. მე-8 ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ პიონერთა ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებს ბავშთა მოთხოვნილებებს, მათ კონკრეტიულ მისწრაფებებს; პიონერთა კოლექტივები გატაცებული იყვნენ დოლის რახუნით და „მზად—ვართ" ლოზუნგის გამოძახებით.

ბავშის ასაკი და მისი თვისება მეტად რთული არის. აღნუსხვა ყველა ამ მოთხოვნილებების თვისებისა და ასაკის მიხედვით, ძნელი შეიქმნა. ამიტომ საჭირო იყო გზების, ფორმების და მეთოდების გამონახვა, მათი დამუშავება, რომელიც პიონერ ორგანიზაციას და საერთოდ ბავშთა მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა. ჯერ კიდევ ქ. კ. მე-7 ყრილობამ აღნიშნა ეს გზები, რაც მე-15 საკავშირო კონფერენციამ კონკრეტიულად დაამუშავა, მე-7 ყრილობის მიერ აღნიშნული ფორმები და მეთოდები.

საქართველოში პიონერ ორგანიზაციას წინ ეღობებოდა ერთგვარი სიძნელეები. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ წარსულ მუშაობას შეიძლება ითქვას, რომ ეს სიძნელეები ნაწილობრივ დაძლეულია.

სიძნელეები უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ ზრდის ტემპი პიონერ-ორგანიზაციაში შეჩერდა და მოხდა ორგანიზაციიდან ნებაყოფლობითი ნაწილობრივ გასვლა. ამ გარემოებამ ერთგვარი დაღი დაასვა საერთო განვითარებას.

როგორც ვსთქვი მე-15 კონფერენციამ ჩვენ მოგვცა პირველი სახე ახალი ფორმებით და მეთოდებით მუშაობის. წამოყენებული იყო ეგრეთ წოდებული კონკრეტიულ დავალებათა მეთოდი, რომელმაც დააკმაყოფილა ბავშთა მოთხოვნილება.

ამ მეთოდის შემოღებამდე პიონერ კოლექტივის მუშაობა იყო დაშაბლონებული, არ ხდებოდა დაჯგუფება ასაკის მიხედვით.

კონკრეტიულ მეთოდის შემოღების შემდეგ ბავშვთა თავისუფალი დრო მიზანშეწონილად იყო გამოყენებული, მაგრამ, რომ ბავშვებს დრო ცუდად არ დაეკარგათ, საჭირო იყო განსაზღვრული ფორმების გამონახვა. ამას შემდეგ, როდესაც დავიწყეთ მასიური თამაშობების შემოღება, კოლექტივებში საღამოების მოწყობა, სიმღერები, ცეკვა და სხვა, შესაძლებელი შეიქნა თავისუფალი დროს მიზანშეწონილად ჩამოყალიბება. და ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს პიონერ კოლექტივებში, თითქმის ყველგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სოფლების კოლექტივებს, ამ მუშაობამ ფართე ადგილი დაიჭირა.

ბავშვები მასიურად ჩაებენ საწრეო მუშაობაში. ჩვენ გვაქვს სხვადასხვა წრეები: რადიოს, ავიაქიმის, ფოტოგრაფიის, სიგნალიზაციის და სხვა.

მიმდინარე მე-9 ყრილობამ, საკავშირო მე-5 და საქ. მე-2 კონფერენციის დადგენილება უნდა გააგრძელოს მომავალში. მუშაობის ის ფორმები და მეთოდები, რომელნიც მიღებული იყო მეორე კონფერენციაზე უნდა დარჩეს. საწრეო მუშაობა უნდა იქნას გაფართოვებული. გარდა ამისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშთა ყოფა-ცხოვრებას.

ექიმის მიერ შედგენილი იყო ანკეტა, რომელშიაც აღნიშნული იყო შემდეგი კითხვები: რა უნდა გავხდე მე, ვის უნდა დავემგზავსო, რა უნდა მქონდეს, რითი ვარ უკმაყოფილო, რა არ მაკმაყოფილებს და სხვა.

აი რას უპასუხებს ბავშები: მე მინდა ლენინს დავემგზავსო, იმიტომ რომ ლენინი სწორ ხაზს ატარებდა, მე მინდა ვგავდე ლენინს, მაგრამ რადგან ეს არ შეიძლება, მინდა ვიყო ლენინელი. მსურს ვგავდე მიასნიკოვს, მარიამ ორახელაშვილს და სხვას. დამახასიათებელი ის არის, რომ მარქსზე და ენგელსზე მარტო ორი პიონერი გვიპასუხებს. თითქმის 70 პროცენტს უნდათ, რომ გახდნენ ინჟინრები, პოეტები, პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები.

თბილისში არსებობს ბავშთა ბიბლიოთეკა, რომელშიაც ჩაწერილია 200-300 ბავში. ბავშები შემოგვჩივიან, რომ ბიბლიოთეკაში არ არის კარგი წიგნი, რაც არის ძველი და ნაკლებ საინტერესოა. ეს მოწმობს იმას, რომ ბავშებს არ აკმაყოფილებს ძველი ლიტერატურა, ისინი დაინტერესებულნი არიან რევოლიუციონური წიგნებით. ჩვენ ვსცემთ ჟურნალს, ამ ჟურნალში სწერენ ბავშები. ბავშები აქედანვე უნდა აღვზარდოთ და შევაჩვიოთ წერას და საერთოდ შევაყვაროთ მწერლობა.

პიონერთა ორგანიზაცია ქ. კ. მე-8 ყრილობიდან დღემდე საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ზრდა საკმარისი არ არის, ბავშთა შორის მუშაობა უნდა წარიმართოს სამუშაო მოედნების, საბავშო კინოების, თეატრების და სხვა ჩამოყალიბების მიმართულებით.

მეორე საკითხი არის პიონერ-აქტივთან მუშაობა და კომკავშირის ბირთვის გაზრდა პიონერთა ორგანიზაციაში.

მართალია, კომკავშირის ბირთვი მე-8 ყრილობიდან დღემდე გავზარდეთ, მაგრამ ეს ზრდა უნდა ჩაითვალოს უმნიშვნელოდ. მაგალითად 26 წელში ჩვენ გვყავდა 6,7 პროც., დღეს კი 9,7 პროცენტი. გარდა ამისა, პიონერ-კომკავშირელები უნდა ჩაებან კოლექტიურ ხელმძღვანელობაში. ისინი უნდა ჩაებან ბიუროს მუშაობაში, მასთან არსებულ კომისიის მუშაობაში და სხვა.

როგორც პარტიის, ისე კომკავშირის და პიონერ ორგანიზაციის ამოცანა უნდა იყოს ბავშების ჩაბმა სასოფლო-მეურნეობის განვითარებაში. ჩვენ აქედანვე უნდა შევაჩვიოთ პიონერები სასოფლო მეურნეობის კულტურულ საფუძვლებზე წარმართვას.

შემდეგი საკითხი არის ბავშთა გაჯანსაღება. მართალია, დიდი შედეგი მივიღეთ ჩვენ, როდესაც 1.500 ბანაკი მოვაწყვეთ, მაგრამ მომავალში საჭიროა ამ ბანაკების მასიურად მოწყობა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოედნების, ბინების მოწყობას, ვინაიდან ჯანმრთელობისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სოფლად ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა. კოლექტივებს არა აქვთ ბინები, უნდა დაისვას საკითხი ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე ბინების გამონახვის აუცილებლობის შესახებ.

გარდა ამისა, პიონერ ხელმძღვანელები ცუდათ არიან მომზადებულნი, მეორე ის, რომ კოლექტივის საბჭო დახმარებაზე არ ზრუნავს. კოლექტივთა საბჭოს ინსტრუქტორები გამოცდილნი უნდა იქნენ ხელმძღვანელთა მომზადების საქმეში. გარდა ამისა, სოფლად უნდა მოვაწყოთ თვიური კურსები ხელმძღვანელთა მოსამზადებლათ, რაც წასწევს წინ ჩვენს მუშაობას.

სამხედრო მუშაობისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ბავშები. ჩვენში ადგილი ჰქონდა პიონერთა მთელ რიგ სამხედრო ლაშქრობის მოწყობას.

ამით დაინტერესებულია არა მარტო პიონერები, არამედ მთელი ბავშვები. ბავშვთა შორის სამხედრო მუშაობას ყურადღება უნდა მიექცეს.

სკოლებში ჩვენ გვაქვს ფორ-ფოსტები, ზოგიერთ ადგილებში პედაგოგიური პერსონალი წინააღმდეგია ამ მუშაობის. პიონერთა ორგანიზაცია, არა მარტო სკოლებში უნდა ატარებდეს თავის ტენდენციას, არამედ ისინი უნდა ეხმარებოდეს ჩამორჩენილ ბავშვებსაც. მასწავლებელი პიონერებს უნდა დაეხმაროს აკადემიურ მუშაობაში.

სკოლებში შემოღებული გვაქვს მოწაფეთა თვითმართველობები. პიონერები უნდა შედიოდნენ ამ თვითმართველობებში. პიონერმა უნდა დაიმსახუროს ერთგვარი ავტორიტეტი, უნდა მიიპყროს მთელი მოწაფეთა ყურადღება და უყოყმანოდ დაიმსახუროს ბავშვთა სიმპატია.

ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს „სკოლის ბავშვების მასიურად ჩაბმა პიონერ ორგანიზაციაში".

ჩვენი მიზანია, საბავშო სახლების პიონერთა სახლებად გადაკეთება. კოჯორში, ერთი საბავშვო სახლი უკვე გადავაკეთეთ, რომლის გამოცდილება და შედეგები უნდა იქნეს შესწავლილი.

ჩვენი ფინანსიური ხელმოკლეობის გამო არ შეგვიძლია კურსების მოწყობა. მართალია მოწყობილი იყო ორთვიანი კურსები, მაგრამ ამას ჯერ-ჯერობით არავითარი ნაყოფი არ მოუტანია კოლექტივების ხელმძღვანელთა მომზადების საქმეში.

რაც შეეხება პარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობას გვაქვს საკმაო მიღწევები. მაგრამ საჭიროა ამ ხელმძღვანელობის გაძლიერება.

ეხლა ორიოდე სიტყვა შემდეგ მომენტზე. სხვადასხვა საზოგადოებების დაინტერესება და მათი დახმარება ცუდათაა დაყენებული. პროფკავშირთა კულტ-ფონდიდან ჩვენ უნდა მოგვეცეს ორი პროცენტი, მაგრამ კულტ-განყოფილება ამას გვერდს უვლის, გარდა ამისა აღმასკომი, საბჭო და სხვა დაწესებულებები არ აძლევენ ორგანიზაციას ფულად დახმარებას. ამიტომ, საზოგადოებრივი ყურადღება მიპყრობილ უნდა იქნეს ჩვენი ორგანიზაციისადმი და მატერიალურადაც დაგვეხმარონ. ამ გარემოებას პარტიამ და ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

პიონერთა ორგანიზაციებს ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე მშობლებმა. ისინი უნდა იყვნენ დაინტერესებულნი ჩვენი მუშაობის გაძლიერებაში.

აი უმთავრესად ის ძირითადი საკითხები, რომელზედაც მინდოდა თქვენი ყურადღების შეჩერება.

მეთერთმეტე სხდომა

კამათი

ამხ. მარიამ ორახელაშვილისა და ქ. ბუჯიაშვილის მოხსენებების გარშემო

ამხ. ზუაჩიძე
(შორაპანი)

მე აქ არ შევეხები იმ მიღწევებს, რომელიც ახასიათებს ბავშვთა შორის მუშაობას, მხოლოდ ავღნიშნავ რამოდენიმე ნაკლს, რომელნიც მომავალში გამოსწორებულ უნდა იქნეს. ეს არის ცუდი ხელმძღვანელობა პიონერ-კოლექტივებზე. ხშირად ამა თუ იმ თემში ვაარსებთ კოლექტივს, რომელიც მალე იშლება, ეს ნაკლი თავიდან აცილებულ უნდა იქნეს ხელმძღვანელობის გაძლიერებით.

კოლექტივებში უნდა ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ხასიათის პრაქტიკული წრეები. მარტო არსებული სემინარები ვერ ამოსწურავს პ. კოლექტივების ხელმძღვანელობის საკითხს. გარდა ამისა არ არის სათანადო ლიტერატურა, საჭიროა გაზეთის გამოშვება, სადაც გაშუქებული იქნება პიონერ კოლექტივების ყოველგვარი მტკივნეული მხარეები. ფინანსიური მხრით მაზრები არ არის უზრუნველყოფილი რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. ხუციშვილი
(გორი)

მოზარდი თაობის აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით ჩვენი მთავარი ამოცანაა. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ძველ ზნე-ჩვეულებათა აღმოფხვრა და ახლის შეთვისება. ეს პირველად დიდ სიძნელეებს წარმოადგენს. ამ სიძნელეების დაძლევა შესაძლებელი იქნება კომკავშირის სწორი ხელმძღვანელობის გატარებით, პიონერ-კოლექტივების ხელმძღვანელთა მომზადებით, მატერიალური ბაზის გაძლიერებით, პედაგოგიურ პერსონალის შერჩევით და სხვა.

ამხ. ხონელია

მე მინდა რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა პიონერ მეთაურებზე. ამ მეთაურების მუშაობა იყოფა ორ ნაწილად. მეთაურთა ერთი ნაწილი დატვირთულია კომკავშირული და საზოგადოებრივი მუშაობით. კონფერენციებზე მიღებული რეზოლიუციები ხშირად განუხორციელებელი რჩება. რასაც მომავალში უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ხშირად კომკავშირის უჯრედები პიონერ-სამუშაოზე აყენებენ მოუმზადებელ ამხანაგებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პიონერ-კოლექტივებს, ხელმძღვანელობა კომკავშირის მიერ ჯერ კიდევ მოისუსტებს. ცუდათაა დაყენებული ოქტომბრელთა შორის მუშაობა. ოქტომბრელთა შორის სამუშაოდ წამოყენებული უნდა იქნენ ქალები.

ამხ. ჯიოევი
(სამხრეთ-ოსეთი)

საქართველოს კომკავშირის მეორე კონფერენციის შემდეგ პიონერთა შორის მუშაობაში გვაქვს დიდი მიღწევები, რომელიც უნდა ჩაითვალოს მუშაობის ახალ ფორმებზე გადასვლის შედეგად. მხოლოდ ჩვენ არა გვაქვს ერთგვარი სისტემა, პიონერმა უნდა იცოდეს თუ რას მიიღებს ის ორგანიზაციიდან. დიდი ნაკლებობაა ნაციონალურ უმცირესობათა ენაზე საბავშო ლიტერატურის. ოსეთში ჩვენ გვაქვს ერთი გაზეთი, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს ბავშთა მოთხოვნილებას, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს და ყრილობამ ამაზე თავისი სიტყვა უნდა თქვას.

ამხ. ტოგონიძე
(ქუთაისი)

ამხანაგებო! მე აქ უნდა შევეხო ჩვენი ორგანიზაციის მტკივნეულ მხარეებს, რომელიც ემჩნევა პიონერ-ორგანიზაციას. საქ. ა. კ. მეორე კონფერენციამ შეიმუშავა პიონერთა მუშაობის ახალი მეთოდები, რომელმაც პ.-ორგანიზაციაში ჰპოვა სათანადო გამოძახილი. მომავალ მუშაობის გაძლიერებისათვის საჭიროა ხელმძღვანელ კადრების მომზადება, რის გამოსწორება არც ისე ძნელი საქმეა.

მუშაობას აფერხებს აგრეთვე ზოგიერთი მასწავლებლები, რომლებიც კიდეც უკრძალავენ ბავშვებს ორგანიზაციაში მუშაობას.

ამხ. გოგუა

აღნიშნავს ხელმძღვანელების მოუმზადებლობას, კავშირის სუსტ ხელმძღვანელობას, საბავშვო ლიტერატურის უქონლობას, ოქტომბრელთა შორის მუშაობას და დასძენს, რომ ფიზიკური აღზრდა მოისუსტებს, მუშაობაში არ არიან ჩაბმული ადგილობრივი კულტურული მუშაკები, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პიონერების გადარიცხვას კომკავშირში. საჭიროა ცენტრ. ბიუროს და ადგილებს შორის ცოცხალი კავშირის გაძლიერება. კოლექტივებს არა აქვთ შესაფერი ბინები, რაც აფერხებს ნორმალურ მუშაობას.

ამხ. ფირსაკოვი
(თბილისი)

ამხანაგებო! მე არ შევჩერდები პიონერ-ორგანიზაციის მტკივნეულ მხარეებზე და იმ სიძნელეებზე, რომელიც ორგანიზაციას წინ ეღობებოდა. კამათში გამოსულ ამხანაგებმა ეს საკმაოდ გააშუქეს. პირველ ყოვლისა მე შევჩერდები ხელმძღვანელობის საკითხზე ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

კომკავშირის ზოგიერთი უჯრედები პიონერ ორგანიზაციას უყურებენ, როგორც გარეშე დამოუკიდებელ ორგანიზაციას. კოლექტივის მეთაურები პოლიტიკურად მოუმზადებელნი არიან, რაც აბრკოლებს ორგანიზაციის მუშაობას. ჩვენ გვინდა ისეთი მეთაურები, რომლებიც შესაფერისად იქნებიან მომზადებულნი გამონახულ უნდა იქნეს ისეთი საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას.

ამხ. გაბუნია

ეხება უპარტიო ბავშვთა შორის მუშაობას ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხს, გასამხედროებას და სხვა.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა და აღზრდა ვერ არის დაყენებული თავის სიმაღლეზე გასამხედროების დარგში საკმაო მიღწევები გვაქვს, მაგრამ საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ გაძლიერება.

ამხ. ალანია
(ზუგდიდი)

მთელ რიგ დამაბრკოლებელ მიზეზების გამო, ჩვენ ვერ შევძელით მოცემულ დირექტივების განხორციელება, ფიზკულტურის ხელმძღვანელები ბავშებს ცუდათ ასწავლიან. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" და ჟურნ. „ახ. ბოლშევიკში" ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული პიონერთა შორის მუშაობის ძირითადი საკითხები.

ამხ. ჩარექიშვილი
(თელავი)

თემკომების ხელმძღვანელობა პიონერ-ორგანიზაციაზე მოისუსტებს. კოლექტივის ხელმძღვანელები დაინტერესებულნი არ არიან მუშაობის გამოცოცხლებით, მიღებულ ინსტრუქციების გატარება ცხოვრებაში არ შეუძლიათ. კომკავშირის ბირთვის ზრდას ბავშვთა ორგანიზაციაში უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ამით დამთავრდა კამათი. კამათის დასრულების შემდეგ, საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ქ. ბუჯიაშვილი.

ამხ. ბუჯიაშვილის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! თქვენს ყურადღებას დიდხანს არ შევაჩერებ. ჩემს თანამოხსენებაში მე უკვე ვსთქვი, რომ ხელმძღვანელობის შემადგენლობა ძალზე სუსტი გვყავს. ხელმძღვანელობის მხრივ კოლექტივები უზრუნველყოფილი არ არიან. ყრილობაზე ხელმძღვანელობის საკითხი მწვავედ დაისვა, რაც უსათუოდ გამოსწორებულ უნდა იქნეს. წელიწადზე მეტია, უკანასკნელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ასეთი მდგომარეობა გამოსწორდა, მაგრამ ნაკლი ჯერ კიდევ არსებობს, რასაც სათანადო ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

საბავშვო ლიტერატურის გაძლიერებისათვის არა გვაქვს ფინანსები. კოლექტივების ხელმძღვანელობის კვალიფიკაცია უნდა ავსწიოთ, რის შემდეგ მუშაობა უსათუოდ გაუმჯობესდება.

პიონერები თავს იმიტომ ანებებენ კოლექტივებს, რომ, პიონერი, რომელიც კომკავშირში არის გადარიცხული, გამოყენებული არ არის ისე, როგორც საჭიროა. კოლექტივების მუშაობაში უნდა გამოვიყენოთ პიონერ-აქტივი.

აი, მოკლედ ის, რაც მინდოდა მეთქვა ყრილობისათვის.

ამხ. ქ. ბუჯიაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია 16 კაცის შემადგენლობით, რეზოლიუციის შესამუშავებლად ბავშვთა შორის მუშაობის მოხსენების გარშემო.

* * *

ამხ. ბ. ძნელაძის ძეგლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად გორის ორგანიზაციის დელეგატებიდან შეგროვილ იქნა 80 მან.

დასასრულ, თბილისის მეორე რაიონის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის მოწაფეთა სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ჯაყელი და შილაკაძე.

ამით დამთავრდა ყრილობის მე-11 სხდომა.

მეთორმეტე სხდომა

ყრილობის უკანასკნელი სხდომა შესდგა კვირას, საღამოს 7 საათზე. თავმჯდომარე ამხ. ჯავახიძე აცხადებს, რომ ამხ. ბ. ძნელაძის ძეგლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად თბილისის დელეგატებიდან შეგროვილ იქნა 120 მან. სულ ძეგლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემოვიდა 590 მანეთი.

ამის შემდეგ ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. კანანოვის მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენება

ყრილობას დაესწრო გადამწყვეტი ხმის უფლებით 392 დელეგატი, ხოლო სათათბირო ხმით 51 დელეგატი. წარსულ მე-8 ყრილობას კი დაესწრო გადამწყვეტი ხმით—233 დელეგატი, ხოლო სათათბირო ხმით—58 დელეგატი. ამნაირად მე-9 ყრილობის დელეგატების რიცხვი გაიზარდა 100 კაცით.

ყრილობაზე მამაკაცების რიცხვი იყო—362, რაც შეადგენს 92,3 პროც. და 30 ქალი—7,7 პროც. სოციალური მდგომარეობით: მუშები—156—39,8 პროც., მოჯამაგირეები—13—3,3 პროც., ღარიბი გლეხები—124—31,6 პროცენტ., საშუალო გლეხები—8—2,1 პროც., მოხელეები—4—1 პროც. და სხვა—87 კაცი—22,2 პროც.

პარტიული მიმართულებით: ქ. პ. (ბ) წევრები—180—45,9 პროც., ქ. პ. კანდიდატები—106—27 პროც.

ნაციონალური შემადგენლობა: ქართველები—242—61,7 პროც., სომხები—46—11,7 პროც., თათრები—12—3,1 პროც., რუსები—37—9,5 პროც., ოსები—25—6,4 პროც., აფხაზები—9—2,3 პროც., აჭარლები—8—2,3 პროც., სხვები 13—3,3 პროც.

კავშირის სტაჟის მიხედვით: 1917,-18, 19—20 წლიდან—48 კაცი—12,3 პროც., 1921—22-23 წ.—225—57,4 პროც., 1924-25 წ.—109—27,8 პროც., 1926 წ. —9—2,3 და 1927 წ.—1—0,2 პროც.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუციები ცეკას მუშაობის, სოფლად მუშაობის და ბავშვთა შორის მუშაობის მოხსენებების გარშემო.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ არჩეულ იქნა ცეკას ახალი შემადგენლობა, დელეგატები ა.-კ. და საკავშირო ყრილობაზე.

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას ახალი შემადგენლობა

საქ. ახ. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაში ყრილობამ აირჩია: ამხ. კახიანი, ქართველიშვილი, მაშკევიჩი, რახმანოვი, გუმედინი, გეგეჭკორი, გობეჩია, ჯავახიძე, არუთინოვი, ნესტოროვი, ჟღენტი, ბუჯიაშვილი, კუპრაძე, ვოლსკი, ბარნაბიშვილი, ცხოვრებაშვილი, გრიგორიანი, გავრიში, მოგელაძე, მიშაკოვი, ბერგი, სილაძე, ჩაკვეტაძე, აზარაშვილი, ხინჩაკაშვილი, კერესელიძე, პერვუშინი, გიორგობიანი, ბოსხუა, ტატენაშვილი, აბაშიძე, ლეკვეიშვილი, იშხანოვი, დავიდოვი, კობახიძე, ოსიპოვი, პანიევი, ხაჩიკიანი, ბაბაიანი, კიპრიზოვი, მაისურაძე, ჭელიძე, ჩუბინიძე, პოპოვი, სტეფანოვა, ლებერეუ, ფირცხალავა, ჩახვაძე, კარსანიძე, ბოგატირევი, ვარდანია, ჩხეტია, გასიევი, ბესტაევი, მახათაძე, შატბერიშვილი, გაფრინდაშვილი, ზვიადაძე; ზვიადაძე, გელაშვილი, ნუცუბიძე, ტუროვი, აბუაშვილი, ჯინჭარაძე, ცინცაძე, წერეთელი, თოიძე, მერკვილაძე, კვანტალიანი, ლაფერაძე, თოფურია, ჩაჩიბაია, კალანდია, კვერნაძე, ერმოლინი, წიფურია, ლუარსაბოვი, ბოკერია, ბახლეიშვილი, ბერიძე, კობახიძე, ხერუმოვი, საძაგლიშვილი, გუნიავა.

კანდიდატები:

ფირსაკოვი, მიქელოვი, მგელაძე, ჯაფარიძე, კირიაკოვი, ვარლამოვი, შევცოვი, ზარგარიანი, საქურაშვილი, ახობაძე, შკოგულია, გვალია, ოლღა ჯიოევა, ხვედელიძე, ჭყონია, მარო ხუჭუა, გასანოვი, ამბარინი, გუგავა, კვარაცხელია, გვიდანი, ადაბაშიანი, სიხარულიძე, დიდიძე, ზელანსი და იზმაილოვი.

სარევიზიო კომისია

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა: კანანოვი, ჯავახიშვილი, ცქვიტინიძე, დინიბეგოვი, სპირიდონოვი, გიგოშვილი და გეტმანსკი: კანდიდატებათ: მეძმარიაშვილი, ბელიავსკი და ბიწაძე.

თავმჯდომარის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობა დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

საქ. კომკავშირის ცეკას ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი

გუშინ, შუადღის 3 საათზე შესდგა საქ. ახ. ლ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: პრეზიდიუმის წევრთა არჩევა და ცეკას პრაქტიკულ მომუშავეების გამოყოფა.

პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად აირჩია 13 ამხანაგი: ამხ. რახმანოვი, ჯავახიძე, ნესტოროვი, ჩაკვეტაძე, მახათაძე, იშხანოვი, სააკიანი, პერვუშინი, მაისურაძე, აზარაშვილი, სილაძე, ფირცხალავა და ბუჯიაშვილი.

პლენუმმა ცეკას მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. ბ. ჯავახიძე, საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ—ამხ. ტ. ნესტოროვი, სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგეთ—ამხ. ს. ჩაკვეტაძე, ეკონომიურ განყოფილების გამგეთ—ამხ. იშხანოვი, სასკოლო განყ. გამგეთ—ამხ. მახათაძე, ნ. პ. ცენტრ. ბიუროს თავმჯდომარეთ—ამხ. ქ. ბუჯიაშვილი და სამხედრო-სასპორტო-საშეფო კომისიის თავმჯდომარეთ ამხ. სააკიანი.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს პასუხისმგებელ რედაქტორად გამოყოფილ იქნა ამხ. ბ. ჯავახიძე.

ამის შემდეგ დაიხურა ცეკას პირველი პლენუმი.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი

ამხ. მარქაროვის მოხსენება

ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ

3 მარტის დილის სხდომაზე ამხ. მარქაროვმა გააკეთა მოხსენება ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ.

„ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების დირექტივა,—ამბობს მომხსენებელი — გამოწვეული იყო კაპიტალური მშენებლობის გადიდებისათვის საშუალებების გამონახვის აუცილებლობით. ამ დირექტივას ბევრი ისე უყურებდა, როგორც ქირურგიულ ოპერაციას, რომელიც დიდ შედეგებს ვერ მოგვცემდა; ნამდვილად კი საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექცია, როცა მან ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების 20 პროც. შემცირება გადასწყვიტა, ემყარებოდა მთელ რიგ კონკრეტიულ ცნობებს. ამ ციფრების რეალობის შესახებ ლაპარაკობს თუნდაც ის, რომ ბევრ ადგილას შემცირება მოხდა 30 და 50 პროცენტითაც კი. მე-15 პარტყრილობამ 20 პროც. შემცირების დირექტივა დაადასტურა.

20 პროცენტიანი შემცირების დირექტივის შესრულება მჭიდროთაა დაკავშირებული პროდუქციის თვითღირებულების დაკლებასთან და აგრეთვე 1927-28 წელში სამუშაო ხელფასის გადიდების საკითხთან.

ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების შემცირება საქართველოში უნდა გატარებულიყო თვით ორგანიზაციებს და წარმოებებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციას კი მხოლოდ უნდა შეემოწმებინა შემცირების შედეგები, მაგრამ მეტწილად მუშათა და გლეხთა ინსპექციას უხდებოდა შემცირების ხელმძღვანელობა და ხანდახან ამ საკითხის კატეგორიულ ფორმაში დასმაც.

ამჟამად ჩვენ შემცირების ასეთი სურათი გვაქვს: სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით შემცირების აბსოლიუტური ჯამი უდრის 461.823 მან. ანუ 13,4 პროც., ს. მ. უ. ს. ტრესტებში 765.905 მან. ანუ 24 პროც., სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრებში 80.325 მან. ანუ 11,8 პროც., სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში 23.444 მან. ანუ 17,6 პროც., კომუნალურ და სასოფლო - სამეურნეო ბანკებში 114.700 მან. ანუ 23,1 პროც., სახელმწიფო ვაჭრობაში (სახელმწ. ვაჭრ. სახლი ამხანაგობა და თბილისის ვაჭრობა) 82.500 მან. ანუ 24,2 პროც., სახმედვაჭრობაში 25.986 მან. ანუ 2,6 პროც., თბილისის აღმასკომში ადგილობრივი მნიშვნელობის წარმოებებთან ერთად 505.784 მან. ანუ 21,2 პროც., ავტონომიურ რესპუბლიკებში 109.335 მან. ანუ 12,6 პროც., სახალხო მამულების ტრესტში 75.939 მან. ანუ 25,5 პროც., საკურორტო სამმართველოსა და ბორჯომის მინერალურ წყლების სამმართველოში 70.095 მან. ანუ 20,7 პროც. და სახკონმრეწვში 28.350 მან. ანუ 26,8 პროც.

სულ მთელ საქართველოში ავტონომიური რესპუბლიკებით შემცირება უდრის 2.361,000 მან. ანუ 17,3 პროც.

ციფრი 2,361.000 არაა სრული, ვინაიდან ჯერ-ჯერობით არა გვაქვს ცნობები მთელ წარმოება - დაწესებულებებიდან (მაგალითად, ქვედა საფეხურის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია და სხვ.). არა საკმაო შემცირება სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ თუმცა ცენტრალურ დაწესებულებებში — კომისარიატებში შემცირება 20 პროც. აღემატება, მაგრამ კომისარიატების ხელქვეითმა დაწესებულებებმა უმნიშვნელო შემცირება მოგვცეს. სუსტი შემცირება სამომხმარებლო კოოპერაციის (ცეკავშირი, მუშკოოპი) ცენტრებში აიხსნება მნიშვნელოვანი შემცირებით (18 პროც.) 1927 წ. ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების 15 პროცენტიანი შემცირების გატარების დროს, ბრუნვის 25 პროც. გადიდებით და ზედნადებ ხარჯების მოწესრიგებით. შემცირების საშუალო პროცენტზე მთელ საქართველოში განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს მეტად უმნიშვნელო შემცირება საქ. სახმედვაჭრობაში. თუმცა სახმედვაჭრობის ცენტრალურ აპარატში გატარებულია მნიშვნელოვანი შემცირება (30 პროც.), მაგრამ სახმედვაჭრობის მთელ სისტემაში შემცირება უდრის მხოლოდ 2,6 პროც. სახ-ბა „სამშენი"-ს თითქმის არავითარი შემცირება არ მოუხდენია, მიუხედავად მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მიღებულ ზომებისა. არა საკმაო შემცირებაა ავტონომიურ რესპუბლიკებშიაც".

ამთავრებს რა ჩატარებულ შემცირების მიმოხილვას, მომხსენებელი ამბობს, რომ 20 პროცენტიანი შემცირების გატარება საქართველოში შეიძლება წარმატებით და წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს ზომები შემდგომი შემცირებისათვის, რათა ა.-წ. მარტის ბოლოს სრულად დამთავრდეს შემცირება.

ამხ. მარქაროვის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. მასხულიამ, სირაძემ, ზონტარიამ, ოსიპოვმა. თედ. სუხიშვილმა, კილაძემ, ავთანდილოვმა, ნიორაძემ, ჯეჯელავამ და როინზონმა.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

„მოისმინა რა მოხსენება 1927-28 წ. ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების შემცირების წინასწარი შედეგების შესახებ, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი ადგენს:

1. მოწონებულ იქნას ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის და მუშა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის მიერ შესრულებული მუშაობა და ჩატარებული ღონისძიებანი.

2. აღნიშნულ იქნას, რომ საერთოდ და მთლიანად წარმატებით იქნა გატარებული პარტიისა და მთავრობის დირექტივები 1927-28 საბიუჯეტო წლის ადმინისტრატიულ- სამეურნეო და სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ, რომლის შედეგად არასაწარმოო ხარჯები მთელ საქართველოში ავტონომიური რესპუბლიკებით (გაერთიანებული კომისარიატებისა და მაზრების გარდა) შემცირდა—2.361,000 მან. რაოდენობით ანუ 17,3 პროცენტით.

3. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი იღებს რა მხედველობაში იმას, რომ ადმინისტრატიულ-სამეურნეო და სამმართველო ხარჯების შემცირება ტარდება იმ მიზნით, რომ შემცირებულ იქნას არასაწარმოო ხარჯები, და ამის საშუალებით გაძლიერდეს წარმოებათა და დაწესებულებათა ოპერატიულ - საწარმოო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, და აგრეთვე იმ მიზნით, რომ განხორციელდეს საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებანი 1927-28 წ. ადმინისტრატიულ - სამეურნეო და სამმართველო ხარჯების არა ნაკლებ 20 პროც-ით შემცირების შესახებ, პლენუმი აუცილებლად სთვლის შემდეგ ღონისძიებათა გატარებას:

1) წინადადება მიეცეს ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმს და მუშა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიას მიაღწიოს ადმინისტრატიულ - სამეურნეო და სამმართველო ხარჯების შემდგომ შემცირებას სახელმწიფო ბიუჯეტის დაწესებულებებში.

2) ვინაიდან ცეკავშირი და მუშკოოპი პროტესტს აცხადებენ ხარჯების შემდგომი შემცირების წინააღმდეგ, წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციას მოახდინოს ცეკავშირისა და მუშკოოპის გამოკვლევა.

3) წინადადება მიეცეს ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას მიაღწიოს ადმინისტრატიულ - სამეურნეო და სამმართველო ხარჯების შემცირებას სასოფლო - სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა საფეხურის მთელ პერიფერიებში.

4) პლენუმი სცნობს, რომ სახმედვაჭრობამ საკმაოდ არ შეასრულა დირექტივა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ და „სამშენმა" არავითარი შემცირება არ ჩაატარა იმ მოტივით, რომ ხარჯების შემცირება ზიანს მიაყენებს მის მუშაობას, წინადადებას აძლევს ცენტრ. საკონტ. კომისიის პრეზიდიუმს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიას მოახდინოს ორივე ორგანიზაციის დეტალური გამოკვლევა და იმ შემთხვევაში, თუ გამოირკვა მათი მოტივების უსაფუძვლობა, მკაცრ პასუხისგებაში იქნან მიცემული ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელნი.

5) წინადადება მიეცეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიას მიიღოს ზეგავლენის ყველა ზომები, თვით პარტიულ-სამოსამართლო პასუხისგებაშიაც კი მისცეს წარმოებათა და დაწესებულებათა ის ხელმძღვანელნი, რომელნიც ამა თუ იმ მოტივით გვერდს აუხვევენ ადმინისტრატიულ-სამეურნეო და სამმართველო ხარჯების შემცირებას და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც ხარჯებს გაადიდებენ შემცირების ჩატარების შემდეგ.

6) პლენუმი სცნობს, რომ ხარჯების შემცირება ავტონომიურ რესპუბლიკებში საკმაოდ არ იქნა ჩატარებული, და წინადადებას აძლევს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულთ უახლოეს ხანში ჩაატარონ ხარჯების შემდგომი შემცირება.

7) გაძლიერდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საინფორმაციო მუშაობა იმ მხრივ, რომ პრესაში გაშუქებულ იქნას საკითხები, რომელნიც დაკავშირებული არიან ადმინისტრატიულ-სამეურნეო და სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირებასთან, ამასთანავე გამომჟღავნებულ იქნას როგორც კონკრეტული მიღწევანი აპარატის გამარტივების და გაიაფების დარგში, ისე აპარატის მხრივ წინააღმდეგობის გაწევისა და დირექტივებისათვის გვერდის ახვევის ცალკე ფაქტები.

8) დაევალოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიას, რომ ადმინისტრატიულ-სამეურნეო და სამმართველო ხარჯების მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ფაქტიური შემცირების შემოწმების შემდეგ ცენტრ. საკონტ. კომისიის შემდეგი პლენუმისათვის წარმოადგინოს მოხსენება შემოწმების შედეგების შესახებ".

3 მარტის საღამოს სხდომა

3 მარტის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ცენტრ. საკონტრ. კომისიის რწმუნებულის (ქუთაისის მაზრაში) ამხ. კაკაბაძის საინფორმაციო ცნობა პარტსამეულის მუშაობის შესახებ და ამხ. შამბაზიძის ცნობა პარტსამეულების მიერ ადგილობრივ ჩატარებული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კილაძემ, დოლიძემ, ნასარიძემ და სირაძემ. მოხსენების გამო მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

„აღნიშნულ იქნა მნიშვნელოვანი მიღწევანი პარტსამეულის მუშაობაში წარსულ პერიოდთან შედარებით, ამავე დროს აღნიშნულ იქნას ზოგიერთი დეფექტები მის მუშაობაში. დაევალოს ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმს არსებული მასალებისა და კამათის მიხედვით შეიმუშაოს ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის".

შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის 1927—28 წელში მუშაობის გეგმის შესახებ.

რეზოლიუცია

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გეგმის შესახებ

1. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის მეორე პლენუმი, სავსებით და მთლიანად ემყარება რა მე-15 პარტყრილობის დადგენილებებს ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ, აუცილებლად სთვლის მათ სავსებით გატარებას ცხოვრებაში და ავალებს საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას მტკიცედ გაატარონ ეს დადგენილებანი ცხოვრებაში, კერძოდ დადგენილება ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა, სახელმწიფო აპარატის გამარტივებისა და გაიაფებისა და ამ საქმეში მუშათა და გლეხთა მასების ჩაბმის შესახებ.

2. პლენუმი სავსებით და მთლიანად იწონებს რა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გეგმას 1927—28 წლისათვის, რომელიც მთლიანად არის აგებული მე-15 პარტყრილობის და საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-5 ყრილობის იმ დადგენილებათა საფუძველზე, რომელნიც შეეხება ჩვენი სახელმწიფო აპარატის გამარტივებას, გაიაფებას და გაუმჯობესებას, პლენუმი ცენტრ. საკონტრ. კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას ავალებს, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის 1927—28 წელში მუშაობის გეგმის თავის დროზე და წარმატებით შესრულებისათვის მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუშათა და გლეხთა მასების ფართო მონაწილეობა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მასიური ორგანიზაციების—პროფორგანიზაციების, საწარმოო თათბირების, წარმოებებთან არსებული საკონტროლო კომისიების, ფაბ-ქარხკომების, ადგილკომების, ეკონომკომისიების, საბჭოთა სექციების, ქალთა სადელეგატო კრებების და სხ. ჩაბმის საშუალებით.

3. უფრო მნიშვნელოვანი გამოკვლევანი, რომელთაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ, ჩატარებულ იქნან მშრომელთა ფართო მასების (მუშათა, მუშა-ქალთა, გლეხთა, მოსამსახურეთა, კომკავშირელთა და სხ.) ჩაბმით, რომელთაც ირჩევს საერთო კრება, ან გამოჰყოფენ ქალაქის და სხ. საბჭოების სათანადო სექციები. ასეთ გამოკვლევათა პროცესში სავსებით უნდა განხორციელდეს როგორც მომავალი მუშაობის წინასწარ გეგმათა, ისე გამოკვლევის შედეგების ყველა მასალების განხილვა მუშათა და სხვა კრებებზე.

4. ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრები ფართოდ იქნან ჩაბმულნი მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკონტროლო კომისიის მუშაობაში.

5. ქალაქის საბჭოებთან, რაც შეიძლება მალე მოეწყოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია და მჭიდრო კავშირი გააბას მასთან.

6. მშრომელთა საჩივრების განხილველად მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროსთან დაარსდეს მუშა-მსაჯულთა ინსტიტუტი. დამახასიათებელი საქმის გარჩევა ხდებოდეს საწარმოო დაწესებულებებში და გლეხთა ყრილობებზე.

7. სასურველად იქნას ცნობილი საჩივართა ბიუროების დაარსება ავტონომიურ რესპუბლიკებში საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულებთან.

8. გაძლიერდეს საქართველოს მთავრობის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებათა განხორციელების შემმოწმებელი მუშაობა; ამ მიზნისათვის გამოყენებულ იქნას უმნიშვნელოვანესი ჩატარებული გამოკვლევანი და შემოწმდეს, თუ რამდენად განხორციელებულია მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებანი ამ საკითხებზე. აღნუსხულ იქნას საქართველოს მთავრობის ორგანოების დავალებანი და შემოწმდეს, თუ რამდენად დროიანად და შესაფერად განახორციელეს ეს დადგენილებანი სათანადო საბჭოთა ორგანოებმა.

9. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელების შემოწმებას კაპიტალური მშენებლობის დარგში, აგრეთვე სახელმწიფო, სამეურნეო და საკოოპერაციო ორგანოების მიერ რაციონალიზაციის ჩატარებისა და საადმინისტრაციო სამეურნეო ხარჯების შემოკლების საქმეში.

10. პლენუმი აღნიშნავს იმ ამოცანების სირთულეს, რომლებიც დაკისრებული აქვს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, როგორც გეგმის მიხედვით, ისე გეგმის გარეშე, და ავალებს ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმს გააძლიეროს მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატის მუშაკთა კადრი.

11. პლენუმი ავალებს მუშათა და გლეხთა ინსპექციას ფართოდ გამოიყენოს სხვა დაწესებულებათა სპეციალისტები იმ გამოკვლევების დროს, რომლებსაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია აწარმოებს.

12. პლენუმი ავალებს ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიას შეისწავლონ გადასახლება-გადმოსახლების საქმის მდგომარეობა.

13. პლენუმი ავალებს ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმს ყურადღება მიაქციოს სოფლის ფენებად დანაწილების საკითხის შესწავლას.

პარტკოლეგიის თავმჯდომარის ამხ. გ. სტურუას მოხსენების გარშემო ერთხმად იქნა მიღებული კომისიის მიერ შემუშავებული შემდეგი

რეზოლიუცია

„მოწონებულ იქნას პარტკოლეგიის მუშაობა ოპოზიციასთან ბრძოლის დარგში, რასაც მოითხოვდა მე-15 პარტიული ყრილობის დადგენილებათა განხორციელება. დამტკიცებულ იქნას პარტკოლეგიის მუშაობის საერთო გეგმა და დებულება პარტკოლეგიის შესახებ. წინადადება მიეცეს ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმს დაამუშაოს პარტკოლეგიის მუშაობის კალენდარული გეგმა".

ამხ. ქირვალიძის წინადადებით ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმში შეყვანილია ამხ. ს. მასხულია.

მისასალმებელი დეპეშა აფხაზეთის საოლქო კომიტეტს და სახ. კომისართა საბჭოს

პლენუმმა აფხაზეთის საოლქო კომიტეტსა და სახ. კომისართა საბჭოს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშა აფხაზეთის გასაბჭოებიდან შვიდი წლის შესრულების გამო: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტრ. კომისიის მეორე პლენუმი მოძმე აფხაზეთსა და მის ხელმძღვანელებს მხურვალე სალამს უთვლის მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარების მეშვიდე წლის თავზე, უსურვებს მას სრულ გამარჯვებას სოციალისტური მშენებლობის საქმეში და ძმურ კავშირს საბჭოთა აფხაზეთში მოსახლე ყველა ერს შორის".

პლენუმი დაიხურა 3 მარტს, საღამოს 9 ნახევარ საათზე. (ადს).

თბილისის საბჭოს სექციები

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს სექციების მორიგი სხდომა.

ადგილობრივ მრეწველობის ახალშენებათა მდგომარეობა

საფინანსო-სამრეწველო სექციის ერთ-ერთ წინა სხდომაზე გამოყოფილ იქნა კომისია ადგილობრივ მრეწველობის ახალ შენებათა მდგომარეობის გამოსარკვევად. გუშინ საღამოს ამ კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დოლიძემ. თბილისის ადგილობრივ მრეწველობის ახალ შენებათა ხარჯთაღრიცხვა მთლიანად უდრის 4.526.000 მანეთს. ამ თანხიდან მიმდინარე წელს ახალ შენებაზე უნდა დაიხარჯოს 1 703.000 მანეთი, აქედან ხის დასამუშავებელ ქარხნის აგებაზე 521.000 მანეთი, ლუდის ახალ ქარხანაზე—566.000 მანეთი, საამშენებლო მასალის მექანიკურ დამუშავებაზე—91.000 მანეთი, ალგეთის ქვის მექანიკურ ამოღებაზე 101.000 მანეთი. და აგურის ქარხ. რეკონსტრ. 429.000 მან. ამ შენებათა ფინანსიურ უზრუნველყოფის წყაროებს წარმოადგენს თბილისის აღმასკომის 1926—27 წლის ბიუჯეტით გაღებული—150.000 მანეთი, აღმასკომის მიმდინარე წლის ბიუჯეტით გადადებული 700 ათასი მანეთი, სამრეწველო ბანკის მიერ ახალ აგურის ქარხნებისათვის გაღებული მიზნობრივი კრედიტი—300.000 მანეთი და თბილისის კომუნალური ბანკის მოკლევადიანი კრედიტი—403.000 მანეთი. ამ თანხებიდან ტეხნიკურ მოწყობილობათა გამოწერას უნდა მოხმარდეს წელს 258.000 მანეთი. როცა კომისია გამოკვლევას შეუდგა, იმ დროისთვის უკვე დაწყებული იყო მუშაობა ხის დასამუშავებელი ფაბრიკის და ლუდის ქარხნის ასაგებად. პირველი მათგანისათვის უკვე აგებული იყო ორი კაპიტალური ფარდული, გაყვანილი იყო რკინის გზის შტო, მოტანილი იყო 600 ათასი ცალი აგური და სხვა საამშენებლო მასალა და აგებული იყო ერთი სამ ოთახიანი სახლი. ყველა ამ სამუშაოების შესრულებაზე დახარჯულია 141.000 მანეთი, მაგრამ ამ დროისათვის მშენებლობა უკვე შეჩერებული იქნა იმ მიზეზის გამო, რომ საკავშირო ს.მ.უ. საბჭომ არ დაამტკიცა ფაბრიკის პროექტი და ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას მოსთხოვა ფაბრიკის აგების საჭიროების ეკონომიური დასაბუთება. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ახალი ლუდის ქარხნის აგების საქმეში. მუშაობა იქ სწარმოებს 1927 წლის ზაფხულიდან, თუმცა ძალიან ნელი ტემპით. აგებულია მხოლოდ ერთი ფარდული. აქ საამშენებლო მუშაობა დააგვიანა იმ გარემოებამ, რომ მოწვეულმა სპეციალისტმა არ მოიწონა წინანდელი პროექტი და წარმოადგინა ქარხნის აგების პროექტის ახალი ვარიანტი. საამშენებლო სამუშაოთა ასეთი მდგომარეობის გამო, კომისიას საჭიროდ მიაჩნია შემცირებულ იქნეს შტატი, მიღებულ იქნეს ზომები პროექტების დამტკიცების დასაჩქარებლად და არჩეულ იქნეს ლუდის ქარხნის პროექტის ერთ-ერთი ვარიანტი იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს მუშაობა და გამოყენებულ იქნეს ამ საქმისათვის გაღებული მიზნობრივი კრედიტი.

კოოპერატიული ქსელი ლენინის რაიონში.

სავაჭრო-კოოპერატიულმა სექციამ გუშინდელ სხდომაზე მოისმინა ამხ. ლავრენტიევის მოხსენება კოოპერატიული ქსელის მდგომარეობის შესახებ ლენინის რაიონში. ვინაიდან გამოირკვა, რომ სავაჭრო ქსელი ამ რაიონს ვერ აკმაყოფილებს, სექციამ საჭიროდ სცნო ლენინის რაიონის ზოგიერთ ქუჩებზე აშენდეს ახალი დარაბები კოოპერატივებისათვის და ალაგ-ალაგ მოეწყოს პატარა სავაჭრო ფარდულები. სექცია მიაქცევს აგრეთვე მუშკოოპისა და სატრანსპორტო კოოპერაციის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ მათ მაღაზიებში საქონლის ასორტიმენტი არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროა რაიონისათვის პირველი საჭიროების პროდუქტების და პირველი მოხმარების საქონლის მიწოდება. სექცია საჭიროდ სცნობს აგრეთვე, რომ მოხდეს ერთგვარი შეთანხმება სატრანსპორტო კოოპერაციისა და მუშკოოპის შორის ლენინის რაიონში კოოპერატიული ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ. მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე ამ ორგანიზაციებმა ამ რაიონის უზრუნველყოფას პურით, ხორცით და სხვა სურსათ-სანოვაგით.

შრომის სკოლების მდგომარეობა.

განათლების სექციამ გუშინდელ სხდომაზე მოისმინა მე-2 და მე-94 შრომის სკოლებზე მიმაგრებულ წევრების მოხსენება ამ სკოლების მდგომარეობის შესახებ. მოხსენების მიხედვით სექციამ დაადგინა: მიღებულ იქნეს ზომები მეორე შრომის სკოლის შენობის განსათავისუფლებლად დაწესებულებისაგან, გაუკეთდეს კაპიტალური რემონტი ამავე სკოლის ცენტრალურ გათბობას, შეკეთდეს სამასწავლებლო ოთახი, შემოკავდეს ეზო და შემცირდეს ჯგუფები. 94 სკოლაში სექცია საჭიროდ სცნობს ეზოს შემოკავებას—მიწის სივრცის გადიდებით, ზაჰესის ენერგიის გაყვანას რამოდენიმე წერტილზე, სკოლის შენობის მდგმურებიდან განთავისუფლებას და შენობის წვრილმან რემონტს.

სასწრაფო დახმარება.

ჯანმრთელობის სექციის სხდომამ განიხილა სასწრაფო დახმარების საექიმო სადგურის ეტლის გამოწვევის სავალდებულო დადგენილების პროექტი და უცვლელად დაამტკიცა იგი. პროექტი ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც შეიძლება სწრაფი დახმარების საექიმო სადგურის ეტლის გამოწვევა. ასეთი შემთხვევებია—სხეულის რომელიმე ნაწილის უეცარი დაზიანება, მოწამვლა და სხვა. სხვა არა საპატიო გამოწვევისათვის დაწესებულია ჯარიმა. ეს ღონისძიება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არააუცილებელ საჭიროებების გამო სწრაფ დახმარების გამოძახების შემთხვევა 45 პროცენტს აღემატება.

ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგება.

ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგების შესახებ გუშინ კომუნალურ სექციის მოხსენება გააკეთა ამხ. მარიამიძემ, რომელმაც სექციის წევრებს გააცნო ტრამვაის დირექციის მიერ გამომუშავებული მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები. ეს ღონისძიებები უმთავრესად მიზნად ისახავენ ტრამვაის ვაგონების მიმოსვლის დაჩქარებას. თბილისში ტრამვაი ყოველ საათში გადის მხოლოდ რვა კილომეტრს, მაშინ, როცა მოსკოვსა და ლენინგრადში ტრამვაის სიჩქარე აღწევს საათში 14 კილომეტრს. ტრამვაის მოძრაობას თბილისის ქუჩებში აბრკოლებს გასაჩერებელი პუნქტების სიმრავლე და მგზავრების მრავალრიცხოვნობა. ტრამვაის დირექციას საჭიროდ მიაჩნია გასაჩერებელ პუნქტების შემცირება და მგზავრების რიცხვის განსაზღვრა. დირექციას განზრახული აქვს აკრძალოს მგზავრების დგომა ვაგონის შუა ადგილებზე, წინა სადგომზე ნებადართული იქნება ოთხი კაცის, უკანაზე ათი კაცის დგომა, ხოლო მოსკოვის ვაგონებზე წინ ხუთი, უკან 12. მოსკოვის ვაგონებში შეიძლება დგომის ნება დაერთოს შუა ნაწილებშიდაც. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე კონტროლიორების რიცხვის გადიდება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სექციამ აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგების საკითხის დამუშავება ტრამვაის დირექციასა და აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასთან ერთად.

პროფკავშირთა საკლუბო თათბირი

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს პროფკავშირთა პირველი საკლუბო თათბირი.

თათბირმა დამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: კულტურული რევოლიუცია და პროფკავშირთა კულტმუშაობის ამოცანები, მუშათა კლუბების მუშაობის შედეგები და ამოცანები, სამხატვრო მუშაობა კლუბებში, საზაფხულო კულტმუშაობა, მუშაობა ახალგაზრდობასა და ქალებს შორის, ფიზკულტურა და გასამხედროება.

მუშათა კლუბების მუშაობის შედეგები და ამოცანები

ამხ. ალ. ფირალიშვილის მოხსენება

პირველ სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. ალ. ფირალიშვილის მოხსენება მუშათა კლუბების მუშაობის შედეგებისა და ამოცანების შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამჟამად საქართველოში ითვლება 73 მუშათა კლუბი. 1927 წლის პირველ იანვრისათვის კლუბები აერთიანებდა 25.825 წევრს. 1-ლ ივლისისათვის წევრების რიცხვი გაიზარდა 31,000-დე, ე. ი. 21 პროცენტით. თვითეულ კლუბზე მოდის საშუალოდ 5 ნახევარი წრე. ამ წრეების მუშაობა ძალზე მოისუსტებს. სტატისტიკური ცნობები ამტკიცებენ, რომ საკლუბო მუშაობაში ყველაზე მეტი ყურადღება ექცევა კინოს. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ იმ სურათებს, რომლებსაც მუშათა კლუბებში აჩვენებენ, დავინახავთ, რომ იქ კომერციული სურათები სჭარბობენ. კომერციული გადახრა განსაკუთრებით თვალსაჩინოა პროვინციალურ კლუბებში, სადაც ხშირად შესასვლელ ფასად დაწესებულია 40-50 კაპ.

ასეთივე მდგომარეობა წარმოდგენების მხრივ. კლუბებში ხშირად იდგმება სრულიად უვარგისი პიესები. უმჯობესია სულ არ დადგან წარმოდგენები, ვიდრე ასეთი პიესებით გაუმასპინძლდნენ მუშა - მაყურებელს. საჭიროა რეპერტუარის გაუმჯობესებაში ჩაბმულ იქნენ ახალგაზრდა პროლეტარული მწერლები.

განსაკუთრებით სუსტადაა დაყენებული საოჯახო საღამოების გამართვის საქმე. ამაში თვით კლუბებია დამნაშავე. ლენინგრადში საოჯახო საღამოებისათვის გამოყოფილია სპეციალური დღე, ჩვენში კი სრულებით არ ზრუნავენ იმაზე, რომ მუშას საშუალება მისცენ თავისი ოჯახის წევრებით მივიდეს კლუბში.

ასეთივე დეფექტებს აქვს ადგილი საკლუბო მუშაობის სხვა დარგებშიაც. საწევრო გადასახადები მხოლოდ 8,4 პროც. შეადგენენ კლუბების საერთო შემოსავალში; კლუბების აპარატის შენახვაზე იხარჯება საერთო შემოსავლის 27,1 პროც. ანუ 187.000 მანეთი წელიწადში. უმეტეს შემთხვევაში კლუბები უგეგმოთ მუშაობენ.

დასასრულ, აღსანიშნავია მუშათა კლუბების შენობების უვარგისობა. აუცილებელია ახალი მშენებლობა გეგმაშეწონილად სწარმოებდეს. ადგილებმა აღმშენებლობა უნდა აწარმოონ კულტგანყოფილების მიერ დამტკიცებულ პროექტების მიხედვით.

კამათი

ამხ. ალ. ფირალიშვილის მოხსენების გარშემო გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. მონიავამ, გიგრაძემ, ბადაიანმა, არველაძემ და სხვებმა.

ორატორები უმთავრესად ეხებოდნენ კლუბების შენობების უვარგისობას და ცოცხალი კავშირის და ხელმძღვანელობის გაძლიერების აუცილებლობას.

სრ. საქ. მწერალთა მეორე ყრილობისათვის

ყრილობის დელეგატთა სია

საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციიდან

1. ამაღლობელი სერგო, 2. ასლამაზაშვილი ნიკო, 3. აბულაძე სერგო, 4. ანაზარდი (ქუთაისი), 5. ახალკაცი პეტრე, 6. აკოპ-აკოპიანი, 7. ბაჯიაშვილი, 8. ბუაჩიძე ბენიტო, 9. ბობოხიძე ქ., 10. გედევანიშვილი, 11. ვართანიანი ა., 12. დოლიძე სოლომონ, 13. დუდუჩავა შ., 14. ერთაწმინდელი ქ., 15. თოდრია ს., 16. კალაძე რაჟდენ, 17. კალაძე ქ., 18. ვოლსკი დავით, 19. ეული სანდრო, 20. ფაკელი იონა, 21. ზომლეთელი ნოე, 22. რურუა ოდიშელი (ბათომი), 23. კახიანი მიხ., 24. კარსანიძე შალვა, 25. ლორთქიფანიძე კონსტანტ., 26. ლალიშვილი (ქუთაისი), 27. ლუარსამიძე ვალ., 28. მაშაშვილი ალიო, 29 მამულია სამსონ, 30. მამულაიშვილი ალ., 31. უმბრიევი არმენაკ, 32. მაჭავარიანი ვოვა, 33. ნავთლუღელი შაქრო, 34. ნარიმანაშვილი მელიტონ, 35. არაზი, 36. პოლუმორდვინოვი ე., 37. რადიანი შ., 38. რონდელი დ., 39. სამსონიძე პ., 40. სულავა ალ., 41. ნაროუშვილი ფრ., 42. ფეოდოსიშვილი ქ., 43. ბუხნიკაშვილი გ., 44. შინატეხელი გ., 45. ჩხიკვაძე პანტ., 46. წვერავა ს., 47. ხეჩუაშვილი გ., 48. ხიდისთაველი ს., 49. ხეთაგური, 50. ხოშტარია ალ., 51. სუტირინი ვლ., 52. კრეიტანი გ., 53. მარტინი, 54. მამედოვი, 55. ჩანბა (სოხუმი).

ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაციის დელეგატები:

1. აბაშელი ალ., 2. აბრამიშვილი მიხ., 3. აგლაძე ილია, 4. ბარინოვი ვასილ, 5. გამსახურდია კონსტანტინე, 6. გარდელი არჩილ (ჯაჯანაშვილი), 7. გარიყული მარიამ, 8. გუნია ვალერიან, 9. გრიშაშვილი ი., 10. გორგაძე ს., 11. ეკალაძე ია, 12. ელეფთერიძე ილია, 13 ვარდოშვილი ხარიტონ, 14. თავაძე სოლომონ, 15. ინგოროყვა პავლე, 16. კლდიაშვილი დავით, 17. კოტეტიშვილი ვახტანგ, 18. მაროჯან, 19. მღვიმელი შიო, 20. მჭედლიშვილი ი., 21. მეგრელი დუტუ, 22. ვართაგავა იპოლიტე, 23. იახამანი, 24. ნაკაშიძე ნინო, 25. რუხაძე ვარლამ, 26. რაჭველიშვილი ქრ., 27. სახოკია თედო, 28. სონღული ირ., 29. საყვარელიძე პავლე, 30. ტუქსიშვილი გ., 31. ფაშალიშვილი ს., 32. შარაშიძე შალვა, 33. ცქვიტი, 34. წერეთელი ალ., 35. ჭანტურიშვილი სიო, 36. ჭუმბაძე არისტო.

„ცისფერ ყანწების" კორპორაციიდან:

1. აბხაიძე შალვა, 2. გაფრინდაშვილი ვალერიან, 3. გვეტაძე რაჟდენ, 4. იაშვილი პაოლო, 5. კლდიაშვილი სერგო, 6. ლეონიძე გიორგი, 7. მიწიშვილი ნიკოლოზ, 8. ნადირაძე კოლაუ, 9. რობაქიძე გრიგოლ, 10. ტაბიძე ტიციან, 11. ჯაფარიძე ლელი, 12. ყიფიანი ივანე.

არიფიონის კორპორაციიდან

1) გორგაძე ვ.; 2) დადიანი შ.; 3) კაპანელი ქ.; 4) მეტრეველი ლ.; 5) მოსაშვილი ი.; 6) სულიაშვილი დ.; 7) ტატიშვილი ი.; 8) ქიაჩელი ლ., 9) ქიქოძე გ.; 10) შანშიაშვილი ს.; 11) ჭიჭინაძე ქ.; 12) ჯავახიშვილი მ.

მემარცხენე მწერლობის (ფუტურისტების) კორპორაცია

1) აბულაძე ბიძინა; 2) ალხაზიშვილი შალვა; 3) ბელიაშვილი აკაკი; 4) გაწერელია აკაკი; 5) დოლიძე სიმონ; 6) კასრაძე სტეფანე; 7) ჟღენტი ბესარიონ; 8) შენგელაია დემნა; 9) შენგელაია ნიკოლოზ; 10) ჩიჩავა ნიკოლოზ; 11) ჩიქოვანი სიმონ; 12) ესაკია ლეო.

დაჯგუფებათა გარეშე მყოფ მწერლების დელეგატები

1) არტ. ახნაზაროვი; 2) ვ. გაბესკირია; 3) ლ. გეგეჭკორი; 4) ივ. გომართელი; 5) ბენო გორდეზიანი; 6) ნინო თარიშვილი; 7) ი. იმედაშვილი, 8) ნიკო ლორთქიფანიძე; 9) ვ. მალაქიაშვილი; 10) ალ. მიქაბერიძე; 11) ა. ქუთათელი; 12) გ. ქუჩიშვილი; 13) დია ჩიანელი; 14) გრიგოლ ცეცხლაძე; 15) [illegible] ჭიჭინაძე; 16) როდ. ქორქია; 17) ავ. [illegible]; 18) ჰერცელ ბააზოვი.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

გრძელდება თბ. საბჭოს სექციების მუშაობის შეფასება

თბილისის მშრომელი მოსახლეობა დიდ აქტივობას იჩენს სექციების საანგარიშო კამპანიაში

რა გაკეთდა დღემდის და კიდევ რა არის გასაკეთებელი

რაზე მიუთითებენ ამომრჩევლები

რა უნდა გააკეთონ მომავალში თბ. საბჭოს სექციებმა

მიმდინარე საკონკურსო კამპანია სექციების მუშაობის გასაჯანსაღებლად ტარდება. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მიუთითოთ სექციებს, თუ რა პრაქტიკული მუშაობა უნდა აწარმოონ მომავალში მშრომელთა საკეთილდღეოდ. ყველა სექციების მთავარი ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მის ირგვლივ ფართო აქტივის შემოკრება და მათ შორის მუშაობის რაციონალურად განაწილება.

დღემდის სექციების მუშაობას თუ თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ 1927 წ. საბჭოს დეპუტატთა მიერ ამომრჩევლებზე ანგარიშის ჩაბარების შემდეგ მათ მიერ მითითებულ პრაქტიკულ დავალებათა 40-50 პროც. არ არის შესრულებული. შემდეგისათვის რომ უფრო ნაყოფიერი იქნეს მუშაობა, საჭიროა სექციების მიერ შემდეგი ღონისძიებების მიღება:

კომუნალური სექცია: სექციამ 25-30 პროც. მაინც უნდა გაადიდოს ბიუჯეტი კეთილმოწყობის საქმისათვის. ამ ბიუჯეტის 60-70 პროც. აუცილებლად უნდა მოახმაროს ლენინის უბნის, ჩუღურეთის, საბურთალოს, ავლაბრის და ხარფუხის რაიონების კეთილმოწყობას. ვინაიდან კომუნალური სექცია ყველაზე დიდი სექციაა და მას სხვა სექციებთან შედარებით დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევს, საჭიროა ბიუროს თავმჯდომარე განთავისუფლებულ იქნეს სხვა სამუშაოდან. მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ბაღების გაშენებას და არსებულის მოვლა-პატრონობას. სათანადოთ უნდა მოუაროს ქუჩებში არსებულ ხეებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხუდადოვის ბაღის კეთილმოწყობას. დაჩქარებით არის საჭირო ტრამვაის ხაზის გაყვანა ორთა-ჭალისა და დიდუბეში მაუდის ქარხნამდე. მეტი ყურადღება ესაჭიროება აგრეთვე მუშათა ბინების აღმშენებლობის საკითხს. სექციამ სავსებით უნდა გაატაროს ცხოვრებაში 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა თბილისის აღმშენებლობის დარგში.

ჯანმრთელობის სექცია: სექციამ უნდა გააფართოვოს რესპუბლიკის ხელოვნურ კბილის სამკურნალო პოლი-კლინიკის შენობა, გააჯანსაღოს ტრამვაის ამბულატორიის საქმიანობა. ლენინის უბანში აუცილებლად უნდა გახსნას ახალი საავადმყოფო; უნდა გამოაცოცხლოს სანიტკომისიების მუშაობა; არსებული ინსტრუქცია ანტი-სანიტარული მდგომარეობის შესახებ, რომლის ძალით სისუფთავის დაუცველობისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა, ცხოვრებაში უნდა გატარდეს. სექციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ზაფხულობით თბილისის მტვრიანი ქუჩების მორწყვას. სექციამ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს, როგორც სახელმწიფო, ისე რკინის გზის წარმოება-დაწესებულებისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის გამოკვლევა. სექციამ უნდა დააჩქაროს ჭლექის დისპანსერის აგება.

დასასრულ, სექციის პირდაპირი მოვალეობაა შემოიღოს მუშაობის ახალი ფორმა. ამ მიზნით გამოკვლევებთან ერთად საჭიროა წარმოებებში ხშირად გაკეთდეს საინსტრუქციო მოხსენება ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. გამოშვებულ იქნეს ჯანმრთელობის ხასიათის კინო-ფილმები და სექციამ ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა გამონახოს რაიმე ახალი საშუალებანი.

განათლების სექცია: განათლების სექცია დღემდე სათანადო ყურადღებას არ აქცევდა მასიურ მუშაობის გაცხოველებას. სექციას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მუშკორთა ორგანიზაციებთან,—რომელთაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სექციისათვის განათლების დარგში. სექციამ უნდა ასწიოს საშუალო სკოლებში სწავლა-განათლების მიღების ხარისხი, გააფართოვოს სასკოლო ქსელი თბილისის მაზრაში, უკეთ უნდა შეარჩიოს მასწავლებელთა კადრი სკოლებისათვის.

სავაჭრო-კოოპერატიული სექცია: სავაჭრო-კოოპერატიულ სექციამ უნდა გააძლიეროს კონტროლი კოოპერაციაზე. ამ მიზნით სასურველია კოოპერატიულ მაღაზიებისა და სავაჭროების ხელახალი გამოკვლევა. სექციამ უნდა მიუთითოს მუშკოოპის გამგეობას კოოპერატიული სავაჭროები მეტი რაოდენობით გახსნას განაპირა უბნებში და შეებრძოლონ კერძო ვაჭრობას. ამას გარდა საჭიროა სექციამ მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს კოოპერაციის წევრთა უპირატესობის მისაცემად.

ამომრჩეველი.

ჩემი მითითებანი

კოოპერაციის გაჯანსაღების საქმეში თბ. საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულ სექციამ ბევრი რამ გააკეთა. სამწუხაროდ, მუშკოოპის ზოგიერთ მაღაზიების გამგეებს კოოპერატივებზე კონტროლის მოხდენა დიდ საქმეთ არ მიაჩნიათ. მაგ. მე ამორჩეული ვარ მუშკოოპის რწმუნებულად რ. ლიუქსემბურგის ქარხნის მუშკოოპის წევრების მიერ. მუშკოოპის ზოგიერთ მაღაზიების საჩივრის ყუთების გასაღებები მე მაქვს. როცა ვაგზლის ქ. მდებარე მუშკოოპის მაღაზიას (№ 16) საჩივრის ყუთიდან საჩივრის წერილები ამოვიღე, აღნიშნულ მაღაზიის გამგემ მითხრა: „სად მოგაქვს საჩივრის წერილები, ჯერ მე ვნახავ და მერე წაიღე, ან რა უფლება გაქვს, რომ უჩემოდ საჩივრის ყუთს აღებო".

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაღაზიის ზოგიერთი ნოქრებიც უდიერად ეპყრობიან მომხმარებლებს. ეს ალბად, იმით აიხსნება, რომ სავაჭრო-კოოპერატიული სექცია საჭირო ხელმძღვანელობას ვერ უწევს მუშკოოპის მაღაზიებს.

გარდა ამისა მე უნდა შევეხო ჯანმრთელობისა და კომუნალურ სექციასაც. ქ. აბანოებში ამ ორი თვის წინად, მექისის დაქირავება ღირდა 50 კაპ., ამჟამად კი ღირს 60 კაპ. რატომ მოხდა ფასის გადიდება.

კომუნალურ სექციამ დიდი ხანია განიზრახა საბურთალოში ხიდის აგება, მაგრამ ამ საკითხის მოწესრიგებას საშველი არ დაადგა. გარდა ამისა შესაკეთებელია ფუნიკულიორის დაბლა არსებული ქუჩები.

ამას ყურადღება უნდა მიაქციონ სექციებმა და ეს დეფექტები მომავალში გამოასწორონ.

№ პირველი თუთუნის ქარხნის მუშა
ვანო ჭაბუკიძე.

წარმოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება

ამხ. ბერიძე

(რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს ორთქლმავალთა საამქროს მუშა, კომუნალურ სექციის წევრი)

კომუნალურ სექციის ბიურომ დამავალა მუშათა უბნებში უყურადღებოდ მიტოვებულ საქმეების მოწესრიგება.

შეძლებისდაგვარად პირნათლად შევასრულე ჩემი მოვალეობა. აღვნიშნე მუშათა უბნების ყოველი ნაკლი და წერილობით ვაცნობე აღმასკომს. უკანასკნელმა ყურადღება მიაქცია ჩემს განცხადებას და უბნებში არსებული ნაკლი გამოასწორა.

მაგრამ ეს არ კმარა; საჭიროა წარმოების ადგილობრივი ნაკლიც გამოსწორდეს. ორთქლმავალთა საამქროში მოეწყო ელდენის მძიმე ასაწევი მანქანა, რომელიც უნდა დამთავრებულიყო გასული წლის დეკემბერს, მაგრამ დღესაც უყურადღებოდ არის მიტოვებული. ამის გამო წარმოება ფერხდება. ადმინისტრაციას მრავალჯერ მიეცა წინადადება, რომ დაწყებული საქმე დროზე დაემთავრებინა.

სექციის ბიუროებშიც დავსვი ეს საკითხი, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს.

ასეთი ზომებია საჭირო

(სავაჭრო-კოოპერატიული სექციის საყურადღებოდ)

ცხადია, რომ კოოპერატივს დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაში. მაგრამ კოოპერატივის ზოგიერთი მოუგნებელი წევრი ბოროტად იყენებს კოოპერატივის წევრობის უფლებებს და სესხის ორდერს ჰყიდის კერძო პირზე: ვაჭარზე და ან სხვაზე, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს კოოპერატივთან. სავაჭრო კოოპერატიული სექცია ამ საკითხს ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს. საჭიროა კია, რაც შეიძლება სასტიკად ვებრძოლოთ ასეთ მოვლენებს.

როდესაც მუშა შედის რომელიმე კოოპერატივში სავაჭროდ, ნოქარი მას სთხოვს მხოლოდ საწევრო წიგნაკს, რის შემდეგ აძლევს ყველა დასახელებულ საქონელს. ბოროტმოქმედების წინააღმდეგ არ კმარა მარტო ასეთი ზომები. საჭიროა უფრო მკაცრი და სასტიკი ზომების მიღება იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ორდერებისა და წიგნაკების ყიდვის შემთხვევები.

ნოქარმა ყველა მყიდველს უნდა მოსთხოვოს წიგნაკთან ერთად პირადობის მოწმობაც. ამ შემთხვევაში ორდერის მყიდველს არა ექნება საშუალება დააღწიოს თავი პასუხისმგებლობას, თუ პირადობის მოწმობა არ აღმოაჩნდა ზედ, ნოქარმა აუცილებლივ უნდა ჩამოართვას წიგნაკიც და ორდერიც.

კოოპერატივებში ვაჭრობის ასეთი სისტემა მოსპობს ყოველგვარ ბოროტმოქმედებებს კოოპერატივის ზოგიერთ წევრების მხრივ და თვით კოოპერატიული სავაჭროებსაც უზრუნველყოფს საჭირო საქონლით.

სავაჭრო კოოპერატიულმა სექციამ უნდა გადადგას ამ მხრივ სათანადო ნაბიჯი.

მუშა ვ. ხალუქაძე.

განათლების სექციავ სას. სამეურნეო ტექნიკუმშიც შეიხედე

როგორც ვიცით, თბილისის საბჭოს განათლების სექციამ მოახდინა თბილისის სკოლებისა და ტექნიკუმების გამოკვლევა, მაგრამ რატომღაც სექციას არც კი შეუხედავს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც მოთავსებულია მუშტაიდის ქუჩ. № 4-ში. აღნიშნულ სკოლაში თითქმის 2 წლის განმავლობაში მეცადინეობა არ სწარმოებდა, ვითომდა სკოლის შენობის უვარგისობის გამო; სინამდვილეში კი აქ გულგრილობასა და დაუდევრობას ჰქონდა ადგილი.

ტექნიკუმს ჰყავდა დარაჯი, რომელიც ცხოვრობდა ქუჩის პირად აგებულ პატარა ფარდულში. ეს დარაჯი ტექნიკუმის გამგემ, გოგიჩაიშვილმა გადაიყვანა ყოვლად უვარგის ბინაში, ხოლო ფარდული გამგემ საფუძვლიანად შეაკეთა, გამოიყვანა ელექტრონის სინათლე; შეღება კედლები, იატაკი და ჩაასახლა თავისი ძმა, მიხეილ გოგიჩაიშვილი. ფორმალურად მ. გოგიჩაიშვილი აქ დარაჯად ითვლება, ფაქტიურად კი არაფერს აკეთებს: ზის ძმის კაბინეტში—კითხულობს გაზეთებს, თამაშობს ჭადრაკს და სხვ.

ძველი შტატი გოგიჩაიშვილმა „გაცხრილა", სხვაგან გადაიყვანა ისინი, ხოლო მათ მაგიერ მოიყვანა თავისი „ძმა-ბიჭები" სამსონ ურუშაძე, ნოზაძე და სხვ. გოგიჩაიშვილი ალბად, ურუშაძის მხრივ „ხაპურმარილევი" კაცაა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ მე-32 შრ. სკოლაში უკანასკნელი ბ. გოგიჩაიშვილმა თანაშემწედ დაინიშნა.

ტექნიკუმში უმთავრესად სოფლიდან ჩამოსული ღარიბი გლეხები სწავლობენ. მოწაფეებს ეძლეოდათ უფასო სადილი. რამოდენიმე ხნის შემდეგ გოგიჩაიშვილმა თავის ამხსონებთან ერთად სახლში დაიწყო უფასო სადილის ზიდვა. როცა გოგიჩაიშვილისათვის „არასასურველ" მასწავლებლებმა და დარაჯებმა მიმართეს მას, რათა მათაც ესარგებლად უფასო სადილით, ისინი ცივ უარით გამოისტუმრა. ამის შესახებ ეცნობა აღმასკომის განათლების განყოფილებას, რომელმაც „საქმის გამოსარკვევად" გამოგზავნა ინსტრუქტორი, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო.

ფულადი ანგარიშ-წარმოება არეულია, შემოსული თანხები წიგნში არ ტარდება, რის გამო შესაძლებელია აქ ფულის „გამოსავალს" ექნეს ადგილი.

ერთ დღეს ბ. გოგიჩაიშვილმა დაიბარა რამოდენიმე მოწაფე და უთხრა: „დასწერეთ გაზეთებში წერილები იმის შესახებ, რომ ტექნიკუმი სათანადოდ მოეწყო და ესა და ეს დაწესებით მხარეები გვაქვსო". ვინაიდან მის მიერ მიცემული მასალები სიმართლეს არ შეეფერებოდა, ამიტომ კომკავშირის უჯრედმა ამის წინააღმდეგ გაილაშქრა.

სეზონობით ამ ტექნიკუმიდან იყიდება წვალი. რომლის შემოსავლის ანგარიშიანობა, როგორცაა დაყენებული „ალახმა"-ც არ იცის. აქაც შესაძლებელია, ადგილი ქონდეს ბოროტმოქმედებას. გარდა ამისა, ადგილობრივ მომუშავე, ხერხეულიძემ საკუთარი ფულით შეაკეთა საცხოვრებელი ბინა, (მხოლოდ 15 მან. დაეხმარენ). ეს იმ დროს, როცა გოგიჩაიშვილი „ძმა-ნათესავებისათვის" გულუხვია.

იქ, სადაც ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი, განათლების სექციას აზრადაც არ მოსვლია ამ ტექნიკუმის დათვალიერება.

საჭიროა განათლების სექციამ ამ ტექნიკუმის საქმიანობა პირველ რიგში გამოიკვლიოს და აღნიშნულ ტექნიკუმში სწავლის საქმე სასურველ დონეზე დააყენოს.

განათლების კავშირელი.

პირნათლად ასრულებენ ამომრჩეველთა დავალებას

რკინის გზის თბილისის უბნის წარმოებებიდან პროცენტულად საკმაო რაოდენობით არის არჩეული საბჭოს წევრები. ამათში დიდი უმრავლესობა დაზგის მუშები არიან. აღსანიშნავია, რომ დაზგის მუშები, შედარებით გასულ წელთან თვალსაჩინო აქტივობას იჩენდენ საბჭოს მუშაობაში. თითქმის ყველა ადგილკომებში ჩატარებულია მოხსენებები საბჭოს მუშაობის შესახებ, მუშების მოხსენების დროს იძლეოდენ საქმიან შეკითხვებს. წარმოების ადგილკომებსაც მჭიდრო კავშირი ქონდათ საბჭოს წევრებთან.

ყველაზე მეტი აქტიური მომუშავეები საბჭოს წევრებში, არიან მთავარ სახელოსნოდან და დეპოდან. დაზგის მუშები საბჭოს წევრები მნიშვნელოვან საკითხებს აყენებდნენ საბჭოში. მათი ნაყოფიერი მუშაობით კმაყოფილნი არიან ამომრჩევლები.

მომავალში ადგილკომების საშუალებით მეტად უნდა დავაინტერესოთ ეს ხალხი საბჭოს მუშაობით. ქალაქის საბჭო დიდ ყურადღებას აქცევდა რკინის გზის მუშების მოთხოვნილებას, მაგრამ იყო შემთხვევები უყურადღებობისაც. ხშირად მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ მათი განცხადებების დაკარგვის, ან უყურადღებოდ დატოვების გამო. დიდი ნაყოფი გამოიღო წარმოებებში სადეპუტატო მაგიდების მოწყობამ. მომავალში მაგიდის რიცხვი უნდა გამრავლდეს. ეს ხელს შეუწყობს საბჭოს მუშაობაში ფართო მასსის ჩაბმას.

კოტე გოგიბერიძე.

საქ. ცაკში

დახმარებები

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით: გასული საანგარიშო წლის უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში ოზურგეთის მაზრაში მომუშავე გლეხკომებმა დახმარების სახით მისცეს: ინვალიდებს, ქვრივ-ობლებს და წითელარმიელების ოჯახებს 860 მანეთი და 26 კაპ., მეურნეობაში მოსახმარად სესხად მისცეს ღარიბ გლეხებს—1.886 მან და 88 კაპ. კოოპერატივში ჩაწერეს წევრებათ თავის ხარჯზე 30 ღარიბი გლეხი, გამოიყვანეს სამუშაოდ 62 გლეხი და უფასოდ მოხნეს და დაუთესეს მიწები წითელ-არმიელების 18 ოჯახს. ლანჩხუთის გლეხკომმა შეიძინა ტრაქტორი, რომლითაც უფასოდ ამუშავებს—ინვალიდების, ქვრივ-ობლების და წითელ-არმიელების ოჯახების მიწებს.

— პენსიები. საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ოფიციალური ცნობით: — აფხაზეთის ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე საბიუჯეტო საანგარიშო წლის პირველ კვარტალში (სამი თვეში) შრომის ინვალიდებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს დაურიგა პენსიები—774 მანეთის რაოდენობით.

— რამდენი კაცია სულ ქალაქ თბილისში და მის მაზრაში აყვანილი სოც. უზრუნველყოფაზე. საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების თბილისის საპენსიო ნაწილში პირველ მარტისათვის აღრიცხული და აყვანილი იყო სოციალურ უზრუნველყოფაზე (ქალაქ თბილისში და მის მაზრაში) 774 ომის ინვალიდი, 215 შრომის ინვალიდი, 1270 ნივთიერად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი პირი, ომში მოკლულების და უგზო-უკვლოთ დაკარგული პირების 27 ოჯახი, სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილი გარდაცვლილ ინვალიდების 7 ოჯახი, გარდაცვლილი შრომის ინვალიდის 2 ოჯახი, და წითელ-ჯარში გაწვეულ 59 პირის ისეთი ოჯახები, რომელთაც სამსახურში გაწვევის შემდეგ სახლში არ დარჩენიათ მარჩენალი ხელი.

საქ. სახკომსაბჭოში

ჯაგრის დამზადების წესი

სახკომსაბჭოს გამწესრიგებელმა სხდომამ მიიღო ა. კ. სახკომსაბჭოს პროექტი დადგენილებისა ჯაგრის დამზადების წესის შესახებ შემდეგი რედაქციით: უფლება მიეცეს ა. კ. სახ. ვაჭრობის სამმართველოს დასდოს კოოპერატიულ ქსელში შემავალ ერთეულებთან ისეთი ტიპის ხელშეკრულება, როგორიც სათანადო კოოპერატიულ ცენტრთან აქვს დადებული.

კონიუნქტურის შეცვლის გამო ანდა სახელმწიფო ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ა. კ. სახ. ვაჭრობის სამმართველოსა და კოოპერაციის შორის წამოჭრილ უთანხმოებათა გადაწყვეტა დაეკისროს ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულ შემთანხმებელ კომისიებს.

რადგანაც ა. კ. სახ. ვაჭრობის სამმართველოს და სოფლის კავშირის შორის არსებობს გენერალური ხელშეკრულება საქართველოს ტერიტორიაზე (აჭარისტანისა და აფხაზეთის გამოკლებით), ა. კ. სახკომსაბჭოს აღნიშნული დადგენილების გავრცელება შესაძლებლად იქნეს ცნობილი მხოლოდ აჭარისტანის სსრ და აფხაზეთის სსრ ტერიტორიაზე, სადაც ჯაგრის დამზადების საქმე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის მთლად არ არის გადაცემული.

აბჰესის საამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის შეცვლა

ამხ. ს. მამულია განთავისუფლებულ იქნა აბჰესის საამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ხსენებულ კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. დ. ქურულთრია.

გლეხთა ამბულატორიის შენობის აგება დ. გალში. (აფხაზეთი)

სახკომსაბჭოს გამწესრიგებელმა სხდომამ საჭიროდ სცნო გაღებულ იქნეს და გალში (აფხაზეთი) გლეხთა ამბულატორიის შენობის ასაგებათ საჭირო თანხის 50 პროცენტის დასაფარავად 5.800 მან. ხოლო დანარჩენი 50 პროც. აფხაზეთის სსრ სახკომსაბჭოს სახსრებიდან.

საგეგმო კომისიაში

ახალი საბინაო ტარიფის შესახებ

ახალი საბინაო ტარიფის საკითხი დაუბრუნდა საბიუჯეტო-საფინანსო სექციის იმ პირობით, რომ შეიმუშაოს ერთი კვირის განმავლობაში სათანადო უწყებებთან ერთად ახალი საბინაო ტარიფის საერთო გადიდებასთან დაკავშირებით.

მასთან პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო გამორკვეული იქნეს ჩვენი ქალაქებ. სახლების მდგომარეობა.

სექციების თავმჯდომარეთა მოადგილეების დანიშვნა

საქართველოს საგეგმო კომისიის სექციებას თავმჯდომარეთა მოადგილეებათ დაინიშნენ: ინჟ. ვოლოხი (სამრეწველო-საამშენებლო სექციაში), პროფ. გოგიჩაიშვილი (საბ. საფ.-სექციაში), გ. ოქრობირიძე (სასოფლო-სამეურნეო სექციაში), გ. კონიაშვილი, (სოც. კულტ. სექციაში) და ლ. კარბელაშვილი, (ეკ. სტატისტიკურ სექციაში).

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ, დღის 12 საათზე ამხ. მ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

მესამე საავადმყოფოს შენობა

სხდომაზე მესამე საავადმყოფოს მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამავე საავადმყოფოს გამგემ პროფ. [illegible].

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქის მესამე საავადმყოფო უმთავრესად ემსახურება ვენერიულ და კანის სენებთან ბრძოლის საქმეს.

ამჟამად საავადმყოფოს აქვს 65 საწოლი, აქედან 50 საწოლი გამოყოფილია დაზღვეულებისათვის.

საწოლების ეს საერთო რაოდენობა ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, ვინაიდან მსოფლიო და სამოქალაქო ომების შემდეგ, როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საბჭოთა კავშირში მთლიანად და კერძოდ საქართველოში ვენერიულ და კანის სნეულებებით დაავადების შემთხვევები საგრძნობლად გაიზარდა.

ამის გამო საჭიროა აღნიშნულ სენებთან სასტიკი ბრძოლა და მუშაობის გაფართოება.

ვინაიდან მესამე საავადმყოფო თითქმის ერთად ერთი მთავარი დაწესებულებაა რომელიც უშუალოდ მოწოდებულია ებრძოლოს ამ საშინელ მტრებს—ვენერიულ და კანის სენებს, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია გაფართოებული იქნეს აღნიშნული საავადმყოფო და გადიდებული იქნეს საწოლების რიცხვი 300-მდე. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ საწოლების სიმცირის გამო საავადმყოფო იძულებულია ყოველ წლიურად უარით გაისტუმროს 1500—2000 ავადმყოფი.

ვენერიულ სენით შეპყრობილთა შორის უმრავლესობა სიფილისითაა დაავადებული და მათი საავადმყოფოს გარეთ დარჩენა საშიშროებას წარმოადგენს ჯანმრთელ მოქალაქეთათვის.

კანის სენით დაავადებულთა შორის კი უფრო საშიშროებას წარმოადგენს კეთრით შეპყრობილები, რომლებიც აგრეთვე სპეციალურ იზოლიატორის უქონლობის გამო, დატოვებულნი არიან თავიანთ ბინებზე საავადმყოფოს მეთვალყურეობის ქვეშ. ცხადია ასეთ პირობებში საავადმყოფოს არ შეუძლია აიძულოს ისინი კავშირი არ იქონიონ ჯანმრთელ მოქალაქეებთან და მით უფრო თავიანთ ოჯახის წევრებთან, რაც ქმნის მისი გავრცელების საშიშროებას.

დასასრულ, განაცხადა მომხსენებელმა, უნდა აღინიშნოს, რომ საავადმყოფომ უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში ამბულატორიული დახმარება აღმოუჩინა 20.000 ავადმყოფს, რომლებმაც სრული ექიმობისათვის ამავე ხნის განმავლობაში საავადმყოფოში გაიარეს 224.000-ჯერ.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, რის შემდეგაც სხდომამ დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები აღნიშნულ საავადმყოფოს გასაფართოებლად და საწოლების რიცხვის გასადიდებლად.

შემდეგ სხდომამ განიხილა საკითხები რაციონალიზაციის ჩატარებისა და სარაიონო ინჟინერ-ტექნიკოსების გეგმიან მუშაობის შესახებ და გამოიტანა შესაფერი დადგენილება.

რემედასის კონფერენცია

რემედასის თბილისის კომიტეტის მუშაობა

კონფერენციის დილის სხდომაზე რემედასის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ბელიაევმა, რის შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. პიხკოხას მოხსენება.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ გასულ წელთან შედარებით მიმდინარე საანგარიშო წელიწადში მუშაობა გამოცოცხლდა, რასაც ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, რომ 1926 წელში წევრთა რაოდენობა უდრიდა 20.936 კაცს, ხოლო 1927 წელში — 21.883 კაცს.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომიტეტმა ჩაუტარებია სულ 14 სხვადასხვა კამპანია, მათ შორის რემედასის 6 გაერთიანებული დღე. 1926 წელში კომიტეტის შემოსავალი უდრიდა 12.563 მან. (აქედან საწევრო გადასახადი 5.129 მან.), 1927 წელში კი 16.122 მანეთი (აქედან 7.604 მანეთი საწევრო გადასახადი). რემედასის თბილისის კომიტეტს საანგარიშო წლის განმავლობაში გამოუცია რამდენიმე წიგნი კაპიტალისტური თეთრი ტერორის შესახებ და გარდა ამისა სცემდა ყოველ თვიურ ჟურნალ „რემედასს". ადგილებზე მუშაობა წინა წლებთან შედარებით გამოცოცხლებულია, მაგრამ არის ისეთი რაიონები, სადაც მუშაობა ვერ აქვთ სათანადოდ დაყენებული. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ ვერ არის მოგვარებული კავშირი ზოგიერთ სარაიონო კომიტეტებსა და თბილისის კომიტეტს შორის, რაც საგრძნობლათ აფერხებს კომიტეტის მუშაობას. მომხსენებლები საჭიროდ სთვლიან გაძლიერებულ იქნას მუშაობა გლეხობას შორის, რადგან გლეხობა ამჟამად შეადგენს რემედასის წევრების საერთო რიცხვის მხოლოდ 2 პროცენტს. გარდა ამისა საჭიროა, რემედასის მუშაობაში ჩაბმული იქნან დიასახლისები.

კამათი

საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი მოხსენებების ირგვლივ. ორატორები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა ადგილობრივ ენებზე იქმნებოდეს უფრო მეტი ლიტერატურა; კომიტეტის ანგარიშები იბეჭდებოდეს სხვადასხვა ენებზე, რომ წევრებს საშუალება ჰქონდეთ გაეცნონ ამ ანგარიშებს; ორატორები საჭიროთ სთვლიან, რომ დემობილიზაციაქმნილ წითელ-არმიელებს — რემედასის წევრებს მიეცეს სპეციალური დავალებები სოფლად მუშაობის შესახებ; სხვადასხვა კამპანიების ჩატარების დროს გარდა მატერიალურისა, სათანადო ყურადღება მიექცეს იდეურ მხარესაც; გაძლიერებული იქნეს უჯრედების მდივნების ინსტრუქტაჟი რემედასის საქმიანობაში გამოყენებული იქნეს ახალგაზრდათა და პიონერთა ორგანიზაციები.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია.

შემდეგ უჯრედების მომავალი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ტუმასმა.

დასასრულ არჩეულ იქნა რემედასის თბილისის კომიტეტი 39 კაცის შემადგენლობით და დელეგატები რემედასის მომავალი სრულიად საქართველოს ყრილობაზე.

ნაოსნობა მდ. რიონზე

ფოთიდან თბილისში დაბრუნდა ა. კ. შინა წყლებზე მიმოსვლის და ნავთსადგურების სამმართველოს უფროსი ტ. ს. სპრინკველი, რომელმაც სამტრედია-ფოთს შუა დაათვალიერა მდ. რიონის კალაპოტი, რომლებიც არჩეულია გემების მისადგომების ასაშენებლად.

მდინარის დათვალიერება,—სთქვა ამხ. სპრინკველმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში,—მოვახდინეთ გემით. მდინარის სიგანე სამტრედიიდან-ფოთამდე მერყეობს 225-დან—500 მეტრის ფარგლებში და მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობის დროს მდინარის დონე მეტად დაბალი იყო, წყლის სიღრმე მაინც უდრიდა 60 სანტიმეტრს, რაც სავსებით საკმარისია ნაოსნობისათვის.

მთელ ამ მანძილზე მდინარეს ერთის მხრივ აკრავს მთები, ხოლო მეორე მხრიდან ტყიანი დაბლობები.

ეს პირობები უთუოდ ხელსაყრელი და ხელშემწყობია რიონზე ნაოსნობის განვითარებისათვის.

გემების მისადგომების ასაგები ადგილები კარგად არის შერჩეული. მისადგომები უნდა მოეწყოს: სოფ. პატარა-ფოთთან (ქ. ფოთიდან 12 კილომეტრის მანძილზე), სოფ. საჭოლიოსთან (41 კილომეტრზე), სოფ. საკოჩაკიძეოსთან (47 კილომეტრზე), კეთილასთან (86 კილომეტრზე), ოპირთან სამტრედიიდან—7 კილომეტრზე და სამტრედიაში—აგურის ქარხანასთან, სადამდესაც მიდის ვიწრო რკინის გზა, რომლესაც სამტრედიის აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს მგზავრების გადაყვანის მოწყობა.

მისადგომების მოსაწყობათ არჩეული ეს ადგილები მოწონებულია და ამ დღეებში მათი სია დასამტკიცებლად გადაეცემა საქართველოს სახკომსაბჭოს და გზათა კომისარიატის ა. კ. რწმუნებულს.

მართალია მისადგომი ადგილები უკვე ამორჩეულია, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, გემები გაჩერდება ყოველ სოფელთან, მგზავრების მოთხოვნილების მიხედვით.

მდინარის კალაპოტი იძლევა სრულ შესაძლებლობას, რომ გემი ყოველ ადგილას იქნეს მიყვანილი ნაპირთან.

მდინარის დათვალიერებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რიონზე ნაოსნობის მოწყობას. კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ საქმის არა მარტო სარგებლიანობა, არამედ აუცილებლობაც.

გზადაგზა, მიუხედავად საშინელი ამინდისა, ჩვენ გვხვდებოდენ გლეხები, რომლებიც კმაყოფილებას გამოსთქვამდენ ამ საქმის დაწყების გამო და მოითხოვდენ მისადგომების მალე მოწყობას. მოსახლეობა, იმ მიზნით რათა მალე გადაიჭრას გემების მისადგომების აშენების საკითხი, უკვე შეუდგა მისასვლელ გზების გაყვანას არჩეულ ადგილებიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნაოსნობას უკვე მიღებული აქვს დაკვეთა 4.000 კუბიკური საჟენი შეშის გადაზიდვაზე.

მდინარე რიონზე ნაოსნობის მოწყობის გამო ახლო ხანში დაიწყება საჯევახოში საამშენებლო ქვის დამზადება, რასაც წინად უგზოობა აბრკოლებდა.

ამჟამად რიონზე ფოთ-სამტრედიას შუა მუშაობს სამი ხომალდი. დონ-ყუბანის სანაოსნო საზოგადოების ცნობით, როგორც კი ამინდი დაწყნარდება, რიონისათვის გადმოგზავნილი იქნება კიდევ ორი ხომალდი.

რიონზე ნაოსნობის მოწყობამ მიიქცია ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ყურადღებაც, რომელსაც სამტრედია-ფოთს შუა მდინარის გასწვრივ გაჰყავს ტელეფონის ხაზი.

ბამბის დამზადება

1927 წლის ბამბის მოსავალი გეგმით ნავარაუდევი იყო 1.883 ტონა. ნამდვილად კი საქართველოში დამზადებული იქნა 2.000 ტონაზე მეტი. ბამბის ყველაზე მეტი მოსავალი იყო ბორჩალოს მაზრაში, სადაც დამზადებული იქნა 400.000 მანეთის ბამბა. ბამბის დამზადების ძირითადი გეგმა მიმდინარე წელში უკვე შესრულებულია 117 პროცენტით. ნედლი ბამბის საშუალო ფასი გამოიხატა 312 მან. 42 კაპ. ტონაზე, დასავლეთ საქართველოში კი—245 მან.

კოოპერაციამ საქართველოს მებამბეობის კომიტეტთან დადებული ხელშეკრულებით ბამბის დათესვის შესახებ შეასრულა საერთოდ 94 პროც.

ბორჩალოს და ყარაიას რაიონებში კარგი მოსავლის გამო ბამბა მიღებული იქნა ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი, კახეთში და დასავლეთ საქართველოში კი, პირიქით, ხელშეკრულებებში აღნიშნულ რაოდენობაზე ნაკლები, რაც გამოწვეული იყო ცუდი მოსავლით.

საქართველოს მებამბეობის კომიტეტმა ბამბის მეურნეთ დაურიგა 617 ტონა ხორბალი და 53.362 მეტრი მანუფაქტურა. სულ ბამბის დამზადების კამპანიის განმავლობაში საქართველოს მებამბეობის კომიტეტმა მიიღო 800 ტონა ხორბალი და 448.000 მეტრი მანუფაქტურა; მანუფაქტურიდან უკვე განაწილებულია 350.000 მეტრი.

მიმდინარე სეზონში საქართველოში მუშაობს ორი ბამბის საწმენდი ქარხანა: შულავერში და ქუთაისში. ყარაიას ქარხანა გადაკეთებულია დამამზადებელ პუნქტად.

პოლიტგანათლების მუშაკთა კონფერენცია

მესამე დღე

მესამე დღის დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. იმედაძის მოხსენება საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის ძირითადი ამოცანების შესახებ მე-15-ე პარტყრილობის დადგენილებათა მიხედვით.

საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის ძირითადი ამოცანები

(მომხსენებელი ამხ. იმედაძე)

მიუხედავად უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მრავალრიცხოვან დადგენილებებისა,—ამბობს მომხსენებელი,—საპოლიტგანმანათლებლო მუშაობას პარტიულ საბჭოთა ორგანიზაციების მხრით არ ჰქონია სათანადო ხელმძღვანელობა, კულტურულ რევოლიუციაზე, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე აღებული კურსი, გვავალებს პირველ რიგში დავხვათ საპოლიტგანმანათლებლო მუშაობა: საპოლიტგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა დაეხმარონ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ზემო დასახელებულ დიდი პროცესის პრაქტიკულად გატარებაში. პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, მეტი იქნება ლაპარაკი კულტ. რევოლიუციაზე, თუ უფრო სწრაფი ტემპით არ შევუდექით წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას. 1928—29 წლისათვის ჩვენში სულ აღრიცხულია 272 ათასი წერა კითხვის უცოდინარი. უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში უნდა გამრავლდეს არა მარტო წ. კ. უ. სალიკვიდაციო პუნქტების რიცხვი, არამედ უნდა გაუმჯობესდეს ლიკ. პუნქტებში მეცადინეობის მეთოდიკა, სახელმძღვანელო წიგნების და სასწავლო ნივთების მიწოდებაში, გაძლიერდეს ხელმძღვანელობა, გახშირდეს ლიკსკოლას მასწავლებელთა თათბირები, მოეწყოს მათი გადასამზადებელი კურსები და სხვა.

დღემდე მეტად მძიმე ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფებიან საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის ერთი მთავარი დასაყრდენობი სოფლად—სასოფლო-სამკითხველოები და ბიბლიოთეკები, რომელნიც მოკლებული არიან მომზადებულ გამგეებს, საკმაო ლიტერატურას და პერიოდულ გამოცემებს. გარდა იმისა, რომ უნდა გადიდდეს სამკითხველოების სამეურნეო ხარჯები, საჭიროა სამკითხველოების მუშაკთა მოსამზადებლად მოწყობილი იქნეს კურსები და გაძლიერდეს მათი ინსტრუქტაჟი და ხელმძღვანელობა. სრულიად მივიწყებულია აგრეთვე მხატვრული მუშაობა სოფლად. ამ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს და საქ. კ. პ ცკკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილების თანახმად სასცენო საჩვენებელი მიზნით უნდა მოეწყოს მოძრავი დასი კლუბების სამხატვრო წრეებისათვის. ამავე დროს ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილ უნდა იქნეს თანხები ყოველი მაზრის მსხვილ თემებში რიგიანი სცენის მოსაწყობად. სასოფლო დრამწრეების სათანადო რეპერტუარით უზრუნველსაყოფად სახელგამმა უნდა იკისროს თანამედროვე პიესების გამოცემა. ძალიან ჩამორჩა საქართველოს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს სოფლის კინოფიკაციის მხრივ. მოძრავი კინოების რიცხვი ჩვენში 12-ს არ აღემატება. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს და ცკკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილების თანახმად არ უნდა დარჩეს არც ერთი მაზრა, რომელსაც ერთი მოძრავი კინო არ ექნება. გარდა ამისა, აუცილებელია სახკინმრეწვმა შეამციროს ფასები კინოფილმებზე და გამოუშვას სასოფლო ფილმები—სამეცნიერო პოპულიარული, აგრონომიული, ანტირელიგიური, საექიმო-სანიტარული და სხვა. კინოზე უფრო გავრცელებულია რადიო, მაგრამ მის მუშაობას აფერხებს აპარატურის ცუდი ხარისხი, ინსტრუქტორების სიმცირე, ბატარეების უქონლობა და სხვა. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მთავრობის დოტაციიდან უნდა გადასდონ ცოტაოდენი თანხა რადიო აპარატის შესაკეთებლად, ინსტრუქტორების მოსამზადებლად და ბატარეების შესაძენად.

შემდეგ მომხსენებელი ეხება რა საპოლიტგანმანათლებლო ორგანიზაციების მთავარ ამოცანებს ამ უახლოეს წლებისათვის, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათი მუშაობა უმთავრესად უნდა დაეკისროს მოსახლეობის თვითმოქმედებას და თაოსნობას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს სოფლის სამკითხველოების მოსაწყობად, ასაგებად, ბიბლიოთეკების შესაკეთებლად, სამხატვრო წრეების დასაარსებლად და სხვა ხასიათის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად. ამავე დროს საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაში უფრო უნდა გაძლიერდეს პასუხისმგებლობა ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე. სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს საანგარიშო მოხსენებებით გამოსვლა სასოფლო საბჭოებში, პარტიის და კომკავშირის უჯრედებში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთავარი საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაში არის საზოგადოებრივი თაოსნობა სრულ ნებაყოფლობაზე დაფუძნებული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საპოლიტგანმანათლებლო მუშაობა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების ყურადღების გარეშე დარჩეს. პირველ ყოვლისა, აუცილებლად გადიდებულ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვა ამ მუშაობისათვის, რომელმაც სახ. განათლების ბიუჯეტში 17 პროცენტი მაინც უნდა დაიჭიროს. მხოლოდ ამ პირობებში გახდება შესაძლებელი სამკითხველოების გამგეების ხელფასის გადიდება და ამ საპოლიტგანმანათლებლო მუშაობისათვის შესაფერ კვალიფიციურ მუშაკთა მომზადება. რაც შეეხება საპოლიტგანმანათლებლო ორგანიზაციების მუშაობის ხასიათს ამ უახლოეს წლებისათვის, მათი მამოძრავებელი ღერძი უნდა იქნეს ის ძირითადი ამოცანა რომელთა გადაჭრასაც მიზნად ისახავს პარტია და ხელისუფლება. ეს ამოცანაა —სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და აქედან გამომდინარე ყოველდღიური კამპანიების გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხი, თესვითი კამპანია და სხვა. ამ საკითხებს უნდა შეუფარდონ თავის საქმიანობა საპოლიტგანმანათლებლო ორგანოებმა, რომლებმაც წინდაწინ გეგმით უნდა გაითვალისწინონ პარტიისა და მთავრობის მიერ წამოყენებულ კამპანიისათვის ხელის შეწყობა და დახმარება. მხოლოდ ასეთ მტკიცე გეგმაზე აგებულ მუშაობას შეუძლია მოგვცეს ის ნაყოფი, რომელიც დააჩქარებს ჩვენი მშრომელი მოსახლეობის კულტურული განვითარების ტემპს და მეურნეობის უმაღლეს ფორმებზე, გადასვლას.

კამათი

ამხ. იმედაძის მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა გამოცვლა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ავტ. რესპუბლიკების და ყველა მაზრების პოლიტგანებმა ორატორთა უმრავლესობა, მოითხოვდა რა მთავრობის და პარტიას მეტ ყურადღებას საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის საკითხებისადმი, საჭიროდ სცნობდა აგრეთვე საზოგადოებრივი თვითმოქმედების და ინიციატივის გაძლიერებას. შეეხნენ რა მხატვრული მუშაობის მდგომარეობას,—ორატორებმა აღნიშნეს, რომ მთავლიტი ადგილებს ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას იმ მხრივ, რომ არ აძლევს, დროზე ინსტრუქციებს, თუ რა არის დასაშვები მხატვრული მუშაობის დარგში და რა უარსაყოფი. მთავლიტის გამგე ამხ. ეული უპასუხებს ორატორებს. საჭიროდ სცნობს რომ ადგილებმა სიფრთხილით და მეტი ყურადღებით გაუწიონ ზედამხედველობა და კონტროლი მხატვრულ მუშაობას. ხშირად ცენტრში დაწუნებული და უარყოფილი ნაწარმოები იბეჭდება ადგილებზე—ან იდგმება სცენაზე, რაც პოლიტიკური მოსაზრებით ყოვლად შეუწყნარებელია.

ამხ. ს. მამულიას სიტყვა

(კონფერენციის უკანასკნელი სხდომა)

მესამე დღის საღამოს სხდომაზე საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის ძირითად ამოცანების შესახებ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ამხ. ს. მამულიამ, რომელმაც დაწვრილებით გააშუქა და განმარტა საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის პრაქტიკული საკითხები. კულტურული რევოლიუციის პრობლემა, რომლის გადაჭრა პოლიტგანათლების მთავარ ამოცანას შეადგენს, დღის წესრიგში დაყენებულია თვით ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებით. შეუძლებელია მეურნეობის უმაღლეს ფორმებზე გადასვლა, თუ მშრომელმა მოსახლეობამ კარგად არ შეიგნო ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის მნიშვნელობა. ჩვენი მეურნეობის 5 წლიანი გეგმა კი ამ ორი დიდი პრობლემის გადაჭრას ითვალისწინებს, რასაც უნდა შეუთანხმდეს და შეუფარდდეს კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობა. არ კმარა მარტო წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია, გამოუსადეგარი „ნასწავლი" ხალხის გამრავლება, საჭიროა ისეთი მუშაკების მომზადება, რომელსაც ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება საჭიროებს, კულტურულ მუშაობის წინანდელი ფორმები ეხლა უვარგისია. რადიო, კინო, მხატვრული წრეები მიზნად ხალხის გართობას კი არ უნდა ისახავდენ, არამედ უნდა ეხმარებოდენ მთავრობას იმ კამპანიების ჩატარებაში, რომლებიც ჩვენი ძირითად ამოცანებთან არიან დაკავშირებული. სოფლის სამკითხველოების მუშაობის გეგმაც უნდა ითვალისწინებდეს ხელის შეწყობას პარტიის და მთავრობის ძირითად ამოცანების განხორციელებისათვის. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა, თესვის კამპანია, საბჭოების არჩევნები—აი ის საკითხები, რომლებითაც სოფლის სამკითხველოებმა, კინო თეატრებმა და სოფლად მომუშავე მხატვრულმა წრეებმა უნდა დააინტერესონ გლეხობა იმ დროს, როდესაც მიმდინარეობს კამპანია ამ საკითხების გარშემო. მათ უნდა შესძლონ საჭიროების დროს თავისი მუშაობისათვის სათანადო განხრის მიცემა. რასაკვირველია, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპოლიტგანმანათლებლო ორგანიზაციებს მომზადებული ხელმძღვანელები ეყოლება. სოფლად მუშაობისათვის დღეს ძველი პროპაგანდისტი არ გამოდგება. დღევანდელი პროპაგანდისტი აღჭურვილი უნდა იყოს რაიმე პრაქტიკული ცოდნით (სამეურნეო, ტეხნიკური, კოოპერატიული და ა. შ.) პროპაგანდისტის სიტყვას თან უნდა სდევდეს საქმე წინააღმდეგ შემთხვევაში პროპაგანდა უნაყოფოა. სწორედ ასეთი მუშაკების მომზადებას მოითხოვს ჩვენგან ის დიდი ძირითადი ამოცანა, რომლის გადაჭრაც ჩვენი მეურნეობის სწრაფი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

—

ამხ. მამულიას შემდეგ ილაპარაკა კიდევ რამდენიმე ამხანაგმა. კამათი დამთავრდა მომხსენებლის ამხ. იმედაძის სიტყვით, რომელმაც დასკვნა გაუკეთა აზრთა გაცვლა-გამოცვლას.

დასასრულ ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის შესახებ გაკეთებულ ყველა მოხსენებათა მიხედვით.

ამით დამთავრდა კონფერენციის უკანასკნელი სხდომა.

მაუდის ფაბრიკა

მაუდის საქსოვ ფაბრიკის ასაგებათ დაწყებული მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ფაბრიკის შენობის აგება სავსებით დამთავრდება მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის და ამავე ხნიდან დაიწყება ფაბრიკაში საჭირო მანქანების დადგმა და მოწყობა.

ფაბრიკისათვის საჭირო ყველა მანქანები და მოწყობილობა უკვე მიღებულია ადგილობრივ. მანქანები შეძენილია უცხოეთში და საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში. სულ შეძენილია 1.500.000 მანეთის მანქანები და დაზგები.

ფაბრიკა წლიურად დაამზადებს 657.000 მეტრ კამვოლის ქსოვილს, 403.000 მეტრ მაუდს და 80.000 კილოგრამ ხალიჩის ნართს. ფაბრიკის მოწყობა სულ დაჯდება ოთხი მილიონი მანეთი.

ვინაიდან ფაბრიკისათვის კვალიფიციური მუშა ხელი ადგილობრივ თითქმის არ მოიპოვება, ამიტომ ს. მ. უ. ს. ჯერ კიდევ გასულ წელს შეუდგა საჭირო კვალიფიციურ მუშების მომზადების საქმეს.

ამ მიზნით მუშების რამოდენიმე ჯგუფი გაგზავნილი იქნა საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში მაუდის დიდ წარმოებებში პრაქტიკულ და კვალიფიციურ ცოდნის მისაღებად.

კვალიფიციურ მუშების კადრის მოსამზადებლად გადადებულია 150.000 მან.

ფაბრიკა ამუშავებული იქნება 1929 წლიდან. ქარხანაში იმუშავებს 850 მუშა და 70 მოსამსახურე.

საბინაო მშენებლობა

ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობამ ცენტრალურ კომუნალურ ბანკს წარუდგინა მოთხოვნილება 4.060.000 მანეთზე, რომელიც საჭიროა საბინაო მშენებლობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ამიერ-კავკასიაში. ამ თანხიდან, ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, 47 პროცენტი გამოყოფილია აზერბეიჯანისათვის, 30 პროცენტი საქართველოსათვის და 23 პროც. სომხეთისათვის.

აღნიშნულ თანხაში არ შედის 1.300.000 მანეთი, რომელიც სპეციალურად გამოყოფილია ქ. ბაქოსათვის. ამ თანხიდან ერთი მილიონი მანეთი მოხმარდება საკავშირო მნიშვნელობის მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა ბინების აგებას, 300.000 მანეთი კი ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა ბინების აგებას (200.000 რკინისგზელებს და 100.000 მანეთი წყალზე მომუშავეებს).

ამხ. გოგიტა წერეთლის ხსოვნას

21 თებერვალს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აგარაკ აბასთუმანში გარდაიცვალა სახ. უნ. პოლიტეხნიკური ფაკულტეტის სამთო დარგის უკანასკნელი კურსის სტუდენტი ამხ. გოგიტა წერეთელი.

მას, ვისაც ამხ. გოგიტასთან ერთად რამოდენიმე დღე მაინც გაუტარებია, ვინც გაცნობია მის ბუნებას, ენერგიას, საქმის სიყვარულს, ყველასათვის ცხადია ის დიდი დანაკლისი, რომელიც ამხ. გოგიტას დაკარგვით განიცადა არა მარტო ახლად აღორძინებულმა ჩვენმა პოლიტეხნიკურმა ფაკულტეტმა, არამედ მომავალში, ჩვენმა მშრომელმა საზოგადოებამაც.

ამხ. გოგიტა მუდმივი თანამშრომელი იყო სტუდენთა თითქმის ყველა ორგანიზაციებში; ტეხნიკურ წრეში, საზაფხულო პრაქტიკის მომწყობ კომისიაში, პროფსექციათა აღმასბიუროში და ფაკულტეტის საბჭოში. დაუშრეტელი ენერგია და არაჩვეულებრივი სიყვარული და მუყაითობა საქმისადმი, —ასეთი იყო ამხ. გოგიტა.

კიდევ რამოდენიმე თვეები იყო საჭირო, რომ ამხ. გოგიტა უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი ერთად შესდგომოდა ჩვენი ქვეყნის უხვ ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებაში მონაწილეობის მიღებას. მაგრამ ასე არ ფიქრობდა მხოლოდ ულმობელობა: ის გოგიტას ორი წლის ავადმყოფობის შემდეგ, ხელიდან გვტაცებს.

პოლიტეხნიკური ფაკულტეტი ამხ. გოგიტას გარდაცვალებით კარგავს საუკეთესო სტუდენტს, რომლითაც ის მომავალში იამაყებდა უახლოესი მეგობრები კი საუკეთესო ამხანაგს და თავდადებულ მუშაკს.

მშვიდობით ყველასათვის სამაგალითო, ძლიერ მცირე ცხოვრების მქონევ — ამხანაგო და მეგობარო გოგიტა.

ამხანაგების დავალებით: შ. ხვიჩია.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

საქ. შრომის სახალხო კომისარიატის ცირკულიარი № 14

ქალთა საერთაშორისო დღისათვის მისაღებ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი მოქმედ შრომის კანონმდებლობის საფუძველზე განვლილ წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ახორციელებდა და ახორციელებს ქალთა შრომის პირობების გარშემო მთელ რიგ ღონისძიებებს, როგორიცაა მაგალითად:

ა) უმუშევარ ქალთათვის დახმარების აღმოჩენა, ბ) ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით მათი შრომის საკითხის შესწავლა, გ) მრეწველობის ზოგიერთ წარმოებებში ქალთა შევიწროების ტენდენციასთან ბრძოლა, სადაც კი მას ექნება ადგილი, დ) წარმოებების ხასიათის შესწავლა, სადაც კი ქალთა შრომა არ არის, მაგრამ სათანადო გამოკვლევის შემდეგ მათი დაშვება შესაძლებელია და სხვ.

ზემოაღნიშნულის ირგვლივ შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობა საანგარიშო წლის განმავლობაში შედარებით წინა წლებთან ნაყოფიერი იყო, რასაც მოწმობს მთელი რიგი მიღწევანი ამ დარგში.

ქალთა შორის უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში შრომის სახალხო კომისარიატის მხრივ მიღებულია მთელი რიგი ზომები და მნიშვნელოვანი მიღწევებიცაა მოპოებული. მაგალითად რესპუბლიკის მასშტაბით 1926—27 საბ. წლის განმავლობაში უმუშევართა კოლექტივებში ჩაბმულ უმუშევარ ქალთა რიცხვი მამაკაცებთან შედარებით საშუალოდ უდრის 18 პროცენტს, ამავე ხნის განვლობაში მკერავთა კოლექტივებში ჩაბმულ იქნა 180 უმუშევარი მუშა-ქალი.

გასულ 1926—27 საბ. წლის განმავლობაში რესპუბლიკის მასშტაბით სამუშაოზე გაგზავნილ ქალთა რიცხვი, სამუშაოზე გაგზავნილ უმუშევართა საერთო რიცხვთან შედარებით —24 პროცენტს უდრის, რაც 1925—26 წელში სამუშაოზე გაგზავნილ უმუშევარ ქალთა რიცხვს 6,5 პროცენტით აღემატება.

ზემოაღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით და ქალთა შორის უმუშევრობასთან ბრძოლის და ამ დარგში მუშაობის ჯეროვნად წარმართვის მიზნით, საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს თავის ქვემდებარე ორგანოებს გაატარონ ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გაღრმავებული იქნეს იმ წარმოებების და სასოფლო - სამეურნეო ორგანოების მუშაობის ხასიათის შესწავლა, სადაც არ არის გამოყენებული ქალთა შრომა, უკანასკნელთა სამუშაოზე ჩაბმის მიზნით;

ბ) წინადადება მიეცეს შრომის დაცვის განყოფილებას მოაწყოს შრომის მუზეუმში ექსკურსიები ა. წ. 1-ან 14 მარტამდე, სადაც წაკითხულ იქნეს ლექციები ქალთა შრომის პირობების შესახებ.

გ) დაევალოს მასვე ა. წ. 10 მარტისათვის ჩაატაროს ქალთა შრომის პირობების გამოკვლევა იმ მსხვილ სამრეწველო წარმოებებში, სადაც კი ადგილი აქვს ქალთა შრომის გამოყენებას: (თამბაქოს საფეიქრო, სამკერვალო სამრეწვ. და სხვ.) და მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები აღმოჩენილ ნაკლულევანებათა აღმოსაფხვრელად.

დ) დაევალოს მასვე გააძლიეროს მუშაობა სასოფლო - სამეურნეო და სეზონურ სამუშაოებზე ჩაბმულ მუშა-ქალთა (მოჯამაგირეობა) შრომის დაცვის დარგში.

ე) გაძლიერებულ იქნეს უმუშევარ ქალთა სამუშაოზე გაგზავნა საშუამავლო ორგანოების, მათ შორის უმუშევრობის პროცენტების მიხედვით.

ვ) გაგზავნილ იქნენ უმუშევარი-ქალები არსებულ კოლექტივებში სათანადო პროცენტიული შეფარდებით და დაარსებულ იქნეს უმუშევარ ქალთათვის სპეციალური შრომის კოლექტივები.

ზ) შრომის კოლექტივებში მომუშავე ქალთათვის მუშაობის ვადა გაგრძელებულ იქნეს 1928 წ. 1-ლ მარტიდან ვიდრე 1-ლ მაისამდე.

საქართველოს შრომის სახ. კომ. მოადგ.: **ჭელიძე.**

შრომის დაცვის განყ. გამ. მოადგილე: **სოსანაშვილი.**

შრომის ბაზრის განყოფილების გამგე: **არჩვაძე.**

მუშათა კლუბი და 8 მარტი

მუშათა ახალი კლუბი

მუშათა ახალი კლუბი შეუდგა გაცხოველებულ მუშაობას ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩასატარებლად.

კლუბთან დაარსებულია ქალთა კომისია, ქალის შემადგენლობით კლუბის წევრ-ქალებს შორის შესაფერისი მუშაობის ჩასატარებლად.

კლუბთან აგრეთვე დაარსებული იქნა ჭრა-კერვის, ხელსაქმის და პირველ დახმარების წრები.

8 მარტს კლუბში გაიმართება შესაფერი საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენის წინ წაკითხული იქნება მოხსენება ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ.

ამას გარდა კლუბში გაიმართება ქალთა თვითმოქმედებისა და შემოქმედების გამოფენა საღამო და სხ.

ტრამვაის მუშათა კლუბში

8 მარტის ჩასატარებლად დაარსებული იქნა კომისია აგრეთვე ტრამვაის მუშათა კლუბთან. ამ დღეს კლუბში გაიმართება საღამო-წარმოდგენა ტრამვაის მუშათა ოჯახებისათვის.

ამავე დღეს კლუბთან გაიხსნება ჭრა-კერვის წრე და ქალთა კუთხე.

მკერავთა კავშირში

მკერავთა კავშირის ცენტრ. გამგეობამ ქალთა საერთაშორისო დღის ჩასატარებლად დაარსა ცალკე კომისია. კომისიას დავალებული აქვს მუშათა ერთ-ერთ კლუბში თავის წევრ-ქალებისათვის გამართოს დიდი საღამო-წარმოდგენა და ჩაატაროს მათ შორის წინასწარი ახსნა-განმარტება 8 მარტის მნიშვნელობის შესახებ.

ქალთა შორის

თავდაცვა-ავიაქიმის საქართველოს საზ-ბა 11 მარტს თბილისში აწყობს ქალთა შეჯიბრებას სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ქალები. საუკეთესო მსროლელებს დაურიგდებათ ჯილდოები.

კონკურსი საუკეთესო მუშა-ქალზე

ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ დაავალა ს. მ. უ. საბჭოსთან გამოყოფილ სპეციალურ კომისიას მოაწყოს კონკურსი საუკეთესო მუშა-ქალზე. კონკურსის ჩასატარებლათ გამომუშავებულია შემდეგი წესი: თამბაქოს ტრესტის, აბრეშუმის ტრესტის, საპონ-ზეთის და ტყავ-ტრესტის ყველა წარმოებებთან გამოყოფილი იქნება ადგილობრივი კომისიები, რომლებიც მათ წარმოებაში მომუშავე მუშა-ქალებზე შეკრებენ ყოველგვარ ცნობებს და ამ ცნობების დამუშავების შემდეგ გამოარკვევენ, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს საუკეთესო მუშა-ქალათ.

შეკრებილი ცნობებიდან უნდა გამოირკვეს: როგორი კვალიფიკაციისა წარმოებაში ჩაბმული მუშა-ქალი, ან რა ღირსების პროდუქციას ამზადებს, ჰქონდა თუ არა ადგილი მის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევას, როგორ მონაწილეობას ღებულობს ესა თუ ის მუშა-ქალი საზოგადოებრივ მუშაობაში და სხ. პრემიები მიეცემათ თვითეული წარმოების ორ საუკეთესოდ ცნობილ მუშა-ქალს. 1-ლ პრემიად დაწესებულია 30 მან., მეორე—20 მან.

კონკურსი ჩატარდება, როგორც თბილისის წარმოებებში, ისე პროვინციაში.

ქრონიკა

ამხ. კ. ე. ივანოვის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან ლენინგრადში გაემგზავრა გზათა კომისარიატის ყოფილი რწმუნებული ა.-კ. რკინიგზებზე და გზების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კ. ე. ივანოვი.

ამხ ივანოვი ამავე თანამდებობაზე დანიშნულია ჩრდილოეთ-დასავლეთის რკ. გზებზე.

100.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი

საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან ერთად, საბოლოოდ მოაგვარა აბრეშუმის თესლის ადგილობრივ დამზადების საქმე.

მიმდინარე—1928 წლისათვის საჭირო თესლი მთლიანად დამზადებული იქნება საქართველოში.

გაზაფხულისათვის აბრეშუმის ტრესტი დაარიგებს ადგილობრივ დამზადებულ 100.000 კოლოფ თესლს საუკეთესო ხარისხისას.

სოფლის ნაწარმოების გადასამუშავებელი ქარხნები

მიმდინარე წელში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ამუშავებული იქნება სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გადასამუშავებელი რამოდენიმე ახალი ქარხანა.

ქარხნები ამუშავებული იქნება შემდეგ რაიონებში: რძის ნაწარმოების დამამზადებელი ქარხნები ახალქალაქის და დუშეთის მაზრებში. ახალქალაქის რაიონში ქარხანა შენდება სოფ. ბეჟანოში. ქარხანა წლიურად გადაამუშავებს 50.000 ფუთ რძეს, მისი მოწყობა დაჯდება—80.000 მანეთი.

დუშეთის რაიონში ქარხანა შენდება სოფ. სიონში. ქარხანა გადაამუშავებს 50.000 ფუთ რძეს.

ხილის სახმობი ქარხნები შენდება სოფ. შინდისში და მეჯვრისხევში (ორივე გორის მაზრაშია) და ახალციხეში. პირველი ორი ქარხანა წლიურად დაამუშავებს 220.000 ფუთ ხილს, მათი მოწყობა დაჯდება 277.000 მანეთი. ახალციხის ქარხნის აგება დაჯდება 110.000 მანეთი. ქარხანა წლიურად გადაამუშავებს 100.000 ფ. ხილს.

ლითონის ქარხანა

ლითონის მრეწველობის გასაერთიანებლად განზრახულია თბილისში აგებული იქნეს ლითონის ნაწარმოების დამამზადებელი ერთი დიდი ქარხანა, რომელშიც გაერთიანებული იქნება საქართველოში არსებული ლითონის ყველა ქარხნები, ქარხნის აგების დაწყება განზრახულია მიმდინარე წელს.

მუშათა ახალი სახლები

საქართველოს სამთო მრეწველობის ტრესტმა გადასწყვიტა წელს ტყიბულის მაღაროების მუშებისათვის ტყიბულში ააგოს რამდენიმე ახალი სახლი.

ჩაის საცდელი მეურნეობა

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით შემდგარმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდა საქართველოს და აჭარისტანის მიწათმოქმედების კომისარიატებისა და სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს წარმომადგენლები, განიხილა საკითხი ჩაქვის მამულში ჩაის საცდელ მეურნეობის საქმის გადაცემის შესახებ ბათომის ბოტანიკურ ბაღისათვის და დაადგინა, რომ ჩაქვის სახალხო მამულში ჩაის საცდელი მეურნეობის საქმე მთლიანად გადაეცეს ბათომის ბოტანიკურ ბაღს.

მიწისძვრა

3 თებერვალს, დილით საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს შორეული მიწისძვრა, რომლის კერა თბილისიდან დაშორებულია 110 კილომეტრით.

თბილისის აღმასკომში

◆ დახმარება. თბ. აღმასკომმა სოფ. ჯანდარის სოფლის საჭიროებისათვის გადასდო 1000 მანეთი.

◆ ტრამვაის ახალი ხაზი. ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა მამუკას სოფლის მიმართულებით გაიყვანოს ტრამვაის ხაზი.

◆ სკოლების შეკეთება. განათლების განყოფილებას სკოლების შესაკეთებლად გადაეცა 10 ათასი მანეთი.

პოლიტგანათლების მთავარ მმართველობაში

◆ სკოლის გარეშე განათლების სახლთან პოლიტგანათლების მმართველობამ გახსნა მეთოდიური ბიურო.

◆ თვითგანვითარება. პოლიტგანათ. მთავარ მმართველობასთან დაარსდა სპეციალური კომისია მუშა-მოსამსახურეთა შორის თვითგანვითარების საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

◆ ბიბლიოთეკართა გამოცდა. ახლო ხანში თბილისში შესდგება ბიბლიოთეკართა გამომცდელთა რესპუბლიკანური სესია.

სას.-სამ. ბანკში

◆ მატყლის დამზადება. სას.-სამ. ბანკმა გაზაფხულის მატყლის დასამზადებლად „სოფლის კავშირს" გადასცა 148.000 მანეთი.

◆ ჩაის მეურნეობის გასაფართოებლად „საქართველოს ჩაი"-ს სას.-სამ. ბანკმა სესხის სახით მისცა 100.000 მან.

შრ. სახ. კომისარიატში

◆ ფარმაცევტების გადასამზადებელ კურსებს შრომის სახ. კომისარიატმა დახმარების სახით გადასცა 3.000 მანეთი.

◆ გამოკვლევა. შრომის დაცვის განყოფილება შეუდგა ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანაში შრომის პირობების გამოკვლევას.

პროფსაბჭოში

◆ შრომის გმირები. კომ. მეურნეობის მუშაკთა კავშირმა პროფსაბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ძველი ენერგიული მუშების რაევის, ჭინჭარაულის და ვიგორიანის შრომის გმირების სახელწოდებით დაჯილდოების შესახებ.

◆ საოჯახო საღამოები. კულტგანყოფილებამ შეიმუშავა მუშათა კლუბებში საოჯახო საღამოების მოწყობის გეგმა.

სხვადასხვა

◆ უმუშევართა კრება. ხვალ პროფკავშირთა საბჭო ახალ დარბაზში დანიშნულია მედსანშრომის კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება.

შეცდომის გასწორება.

ა. წ. 4 მარტის №- 53-ში დაბეჭდილია წერილი „შრომის კონფლიქტების გაჭიანურების შესახებ" შემდეგი შეცდომებით: მე-11 აბზაცი იწყება სიტყვებით „მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩვენ აგრეთვე კასაციის უფლების საჩივრის ვადასთან დაკავშირება" უნდა იყოს მიზან შეუწონლად"; ამავე აბზაცში დაბეჭდილია „გარდა ამისა ეს საზომი ბევრს კასაციის უფლების მოსპობის საშვალებას მისცემდა საჩივრის ვადის განგებ გადიდებით", უნდა იყოს „გარდა ამისა ეს საზომი კასაციის უფლების მოსპობის.....".

შემთხვევები

ბავშვის გვამის პოვნა

გუშინწინ, დღისით, მე-3 სახალხო სასამართლოს მახლობლად იპოვნეს ახლად-დაბადებულ მამრობითი სქესის ბავშვის გვამი.

გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

ქურდობა ზოოლოგიურ ბაღში

უკანასკნელ ხანებში ზოოლოგიურ ბაღიდან სისტემატიურად იკარგებოდა კარები და ფანჯრის ჩარჩოები. ამის შესახებ აცნობეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ ქურდობას ეწეოდა ვიღაც იაკობ სიმონის ძე გომიკაძე. ქურდი დაპატიმრებულია.

ქურდობა

გუშინწინ ღამით, გაქურდეს სოფიო კატიევას ბინა (პლეხანოვის პროსპექტი № 71); წაიღეს 150 მანეთის ტანთსაცმელი. გაქურდეს არ. ვასკანიანის ბინა (კამოს ქ. № 72); წაიღეს 193 მანეთის ნივთები.

გუშინ, დღისით ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს მინ. ქუჩულორიას ბინა (ძნელაძის ქ., № 3); წაიღეს 200 მანეთის საოჯახო ნივთები. გაქურდეს ისაკი ისკევიჩის ბინა (რიყის ქ., № 71); წაიღეს 250 მანეთის ნივთები.

აფერისტები

სისხლის სამართლის მილიციის ცნობით, უკანასკნელ ხანებში ქალაქში თარეშობს აფერისტთა ჯგუფი, რომლის წევრები დაიარებიან ბინებზე და მდგმურებს ეცნობიან, როგორც ინჟინერ - ტეხნიკოსები.

აფერისტები მოქალაქეთა თვალწინ გახსნიან პორტფელებს, ამოიღებენ სხვადასხვა ხელსაწყობას და იწყებენ „მუშაობას". როცა მდგმურები მარტოთ სტოვებენ მათ, აფერისტები იტაცებენ ძვირფას ნივთებს და გარბიან.

ქალაქში შემჩნეულია აგრეთვე აფერისტთა მეორე ჯგუფი, რომლის წევრები აღჭურვილია საქართველოს მწერალთა კავშირის ყალბი მოწმობებით. აფერისტები „თბილისის ცნობარი"-სათვის ჰკრეფენ განცხადებებს და აღებულ ფულს ითვისებენ. გარდა ამისა, ისინი არწმუნებენ მოქალაქეებს, რომ მათ დავალებული აქვთ მდგმურების აღწერა და ამ მიზნით თვითეულ მდგმურისაგან იღებენ 30 კაპ.

რამდენიმე აფერისტი დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

ბარიტონ ვალერიან ქაშაკაშვილის პირველი გამოსვლა

ოპ. „რიგოლეტო“, მუს. ვერდისა

ვალერიან ქაშაკაშვილმა, რომელიც უღარიბეს გლეხთა წრიდან წარმოსდგება, მძიმე ნივთიერ პირობებში დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. ქაშაკაშვილის პირველი გამოსვლა ჩვენი ოპერის სცენაზე სამი თუ ოთხი წლის წინათ ვალენტინის როლში (ოპ. „ფაუსტი“), შეფასებული იყო მის მიერ, როგორც მხატვრულად სუსტი, მიუხედავად იმისა, რომ მან მსმენელებზე დასტოვა სასიამოვნო შთაბეჭდილება. ის უფულოდ, საშუალებებს მოკლებული, მიემგზავრება იტალიაში მუსიკალურ განვითარების მისაღებად. ქაშაკაშვილის პირველმა გამოსვლამ, იტალიიდან მისი დაბრუნების შემდეგ, გვიჩვენა, რომ მას იტალიაში ერთი წუთიც კი არ დაუკარგავს უნაყოფოდ; გამგზავრებული საზღვარგარედ სცენიურად მკრთალი და უხერხული, ვოკალურად კი ძრიად განუცდელი მოწაფე,—დაგვიბრუნდა ნამდვილ მსახიობად, რომელიც გაჟღენთილია მხატვრულ კულტურით და ვოკალურ ტექნიკის ცოდნით.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს საუკეთესო სცენიური მომზადება, მშვენიერი გრიმი, მიზანსცენების ყველა დეტალების დამუშავება, დრამატიულ მომენტების სრული შეგნება და განხორციელება. ვოკალურად ქაშაკაშვილი სტოვებს დიდ შთაბეჭდილებას, ვინაიდან თავისი ხმის სრული და აზროვანი პატრონია, საუცხოვოდ აქვს შესწავლილი ეგრედ წოდებული „ბელ-კანტოს“ გამოყენების საიდუმლოება (ხმის სასიამოვნოდ, სასიმღერო ენერგიის დაუხარჯავად გამოყენება); ამ „ბელ-კანტოს“ მომღერალი დიდი ხერხით და დამოცდილებით უპირდაპირებს საჭირო ადგილებში ხმის გადაშლას და დინამიურ განვითარებას. ხმის ზემო ფენები აქვს იმოდენად თავისუფალი და ფართო, რომ არ ეშინია რიგოლეტოს როლი დაამთავროს ბარიტონებისათვის საერთო მიუწვდომელ ბგერად მეორე [illegible] ტონალობით (ლია-ნატურალი); და ეს ბგერა იყო სრულიად სუფთა და მას არ ეტყობოდა არავითარი ძალდატანებითი ხასიათი. ქაშაკაშვილის ხმის ელფერი საერთოთ სასიამოვნოა, მაგრამ მას, იმ შემთხვევაშიაც, თუ სასიამოვნო არ იქნებოდა, უსათუოდ გაალამაზებდა ხმის ოსტატური მოხმარება, კილო მშვენიერი ინტონაცია და კარგი მეტყველება ქაშაკაშვილის მიერ.

ქაშაკაშვილს დეფექტებიდან უნდა აღინიშნოს ორი, რომელთაგან ერთი ბუნებრივია და [illegible] მომღერალს ბრალი არ უდევს—ეს არის ხმის ქვემო ოქტავის სისუსტე და მკრთალი ხასიათი. მეორე დეფექტი კი ეხება ქაშაკაშვილის პირად შემოქმედებას და უნდა იყოს მის მიერ გასწორებული: ეს არის დაუშვებელი მოქცევა სარეჩიტატივო ადგილებში სასიმღერო ფრაზებთან, მისი გარდაქმნა მელოდეკლამაციად, ან და უბრალოდ, აღელვებულ კილოთი ლაპარაკად და სხვ. თუ კომპოზიტორის მიერ ამგვარი შესრულება გათვალისწინებული იქნებოდა, ის ამ ადგილებში სასიმღერო მუსიკას არ დასწერდა; ამ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ადგილებს აღნიშნავდა ტერმინებით „ცეკკო“ ან „პარლანტე“—ეს ნიშნავს, რომ ამ ადგილებში მომღერალი არ შეიზღუდება რიტმით, მაგრამ ბგერითი მოხაზულობა კი ვალდებულია დაიცვას. ამისთანა სასიმღერო კულტურის მატარებელი, როგორიც სჩანს ქაშაკაშვილი, ვალდებულია დაიცვას თავისი შესრულების აკადემიური ხასიათი და სასტიკად მისდიოს ამ ხაზს.

შესანიშნავ შთაბეჭდილებას ქმნის [illegible] ჯილდას როლში და ამტკიცებს, რომ როგორც საერთო კულტურით, ისე სცენიურად და ვოკალურად იგი ჩაითვლება პირველხარისხოვან მსახიობად. ბადრიძის მეორე გამოსვლამ ჯილდას როლში ვოკალობის მხრივ დასტოვა მშვენიერი შთაბეჭდილება, რაც უფრო გაძლიერდა ჯილდასთან დუეტის დროს, ე. ი. სწორედ იმ ადგილში, სადაც ბადრიძეს პირველი გამოსვლის დროს ემჩნეოდა სისუსტე და ეს მაჩვენებელია წინსვლისა. სცენიურ თავისუფლებისათვის, ჩვენის აზრით, მეტადრე ახალგაზრდა მსახიობისათვის საჭიროა გამოსვლა გაძლიერებული გრიმით, რომელიც ხელს უწყობს სახის გამომეტყველებას და ფარავს ბუნებრივ აღელვებას.

საუკეთესოდ ლოტბარობდა ნიჭიერი ა. მელიქ-ფაშაევი, ისე, რომ ამ საღამოს ვერ ვიცანით ვერც საერთო შემოქმედება (ანსამბლი) და ვერც საოპერო გუნდი, რომელსაც, როგორც სჩანს, შეუძლია, თუ აქვს სერიოზული და ყავს მაგარი ხელმძღვანელი, იმღეროს ისე კარგად, როგორც იმღერა ამ საღამოს.

კოტე [illegible].

ხელოვნების ქრონიკა

— **რუსთაველის თეატრში.** დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

— **„აიდა“.** ოპერის თეატრში მუხტაროვას საგასტროლო დღეს წარმოდგენილი იქნება: „აიდა“. მთავარ პარტიებში — მუხტაროვა, სლავინსკაია, ქუმსიაშვილი, ქარცივაძე, შარაშიძე და სხ.

— **მუშათა თეატრში.** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

— **თამარა წერეთლის გამოსათხოვარი კონცერტი** გაიმართება დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

— **პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოს** კოლექტივის მიერ 9 მარტს წითელარმიელთათვის წარმოდგენილი იქნება ა. სავანელის კომედია „ტიპ-ტოპ“. დადგმა **დ. კობახიძის.** დეკორაციები **დ. კაკაბაძის.**

— **სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობა.** დღეს, საღამოს 7 ს., ხელოვანთა სასახლეში გაიხსნება სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობა.

— **ლიპკოვსკაიას პირველი კონცერტი** გაიმართება 8 მარტს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ვიოლონჩელისტი **შაფრანოვი.**

— **სამხედრო აკადემიის გერბის გამომუშავება** გამგეობის დადგენილებით დავალებული აქვს **პროფ. ლადო გუდიაშვილს.**

◆ პროლეტარულ დრამატიული სახელოსნოს მიერ 9 მარტს წითელარმიელთა სახლში წარმოდგენილი იქნება ა. სავანელის პიესა: „ტიპ-ტოპ“. დადგმა დ. კობახიძის, მხატვარი —დ. კაკაბაძე.

სასამართლო

ბამბის „გმირები“

მთავარი ბრალდებულია მოქ. ალი ახმედოვი.

ვინ იყო ახმედოვი?

რაღაც გაუგებრობით ალი ახმედოვი მოევლინა დასავლეთ საქართველოს მებამბეობის კომიტეტის რწმუნებულად 1925 წლიდან.

წელიწადზე მეტი „იმუშავა“ ახმედოვმა ამ ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და მისი „ღვაწლის“ შესაფასებლად ჩვენ გაგვაჩნია მხოლოდ საგამომძიებლო ორგანოების მასალა.

როგორც წინად ვსწერდით, ახმედოვის ხელში „ჩხრიალებდა“ საქართველოს ბამბა, მთელი ერთი წლის განმავლობაში და ეს „ჩხრიალი“ პირველად გაიგეს სამტრედიის ზოგიერთმა „მგრძნობიარე“ მანდილოსნებმა, რომელთაც ახმედოვისაგან საჩუქრად ახსოვთ „კოვერკოტები“, „კოტი“, „ლორიგანი“, „ვიქტორია“ და სხვ.

ბამბის „ჩხრიალმა“ ახმედოვის ხელში საგამომძიებლო ორგანოებს დაურღვია მყუდროება და უკანასკნელნიც კარს მიადგნენ მას „ამბის გამოსარკვევად“.

სარევიზიო კომისიის წევრებმა ღრმა მწუხარებით აუწყეს საქართველოს მებამბეობის კომიტეტს, რომ ალი ახმედოვს **16.262 მანეთი** ისე დაუხარჯავს, რომ არც ერთ ნაჭერ ქაღალდზე არ დარჩენილა ამ თანხის კვალი.

ამ ამბავს დაერთო კიდევ მეორე სამწუხარო ამბავი.

მებამბეობის კომიტეტს ალი ახმედოვისათვის დაუვალებია სიმინდის შესყიდვა აზერბეიჯანელ მებამბეებისათვის.

სარევიზიო კომისიის წევრებმა სიმინდის ოპერაციების გამოკვლევის შემდეგ აუწყეს მებამბეობის კომიტეტს, რომ ალი ახმედოვს 800 ფუთი სიმინდი „ხელს გადაჰყოლია“ და სამუდამოდ დაღუპულად უნდა ჩაითვალოს.

სულ ახმედოვს მებამბეობის საქმეში უნახავს სარგებელი (რასაკვირველია, პირადათ მას') 17.782 მანეთის რაოდენობით.

ძნელი გამოსარკვევია, რამდენი დახარჯა ახმედოვს ამ თანხიდან ქალების კოსტიუმებზე, „ჩულქებზე“, „დუხებზე“ და პუდრზე, ან ქეიფში და დროს ტარებაში.

ახმედოვი მებამბეობის საქმეში სპეცი ყოფილა თავის დროზე. მაგრამ არა ნაკლები „სპეცობა“ გამოუჩენია მას ყალბი თამასუქების შედგენაში. უხვად ადგენდა „ნახარჯის გასასწორებლად“ 2.000, 3.000 მანეთიან ყალბ თამასუქებს.

ახმედოვთან ერთად პასუხისგებაში არიან მიცემული მოქ. ბარნაბ ქართველიშვილი (ახმედოვის მეგობარი), რომელიც ახმედოვის მარჯვენა ხელი იყო კომბინაციების საქმეში, და აგრეთვე იაკობ ქორხმაზოვი, რომელსაც საკმაოდ გასვრილი აქვს ხელი სიმინდის „ოპერაციებში“.

საქმეს არჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლო ამხ. ლაუხის თავმჯდომარეობით.

მოწმეების დაკითხვა დამთავრდა. საქმის განხილვა გადაიდო ოთხშაბათამდე. ოთხშაბათს სასამართლო მოისმენს ექსპერტების პასუხს მიცემულ შეკითხვებზე და დაიწყება მხარეების კამათი.

ბერ.

ინჟ. ყორღულიანის საქმე

ქუთაისი, 5 მარტი. დაიწყო ინჟენერ ყორღულიანის საქმის გარჩევა. ყორღულიანს ბრალად ედება მექრთამეობა ბარიტის ქარხნის გამგედ ყოფნის დროს. ინჟ. ყორღულიანმა 17.000 მან. მიიღო ქრთამად ასათიანისა და წერეთლისაგან; რომელთაც ბარიტი მოქონდათ ამოღების ადგილიდან ქარხანაში.

ყორღულიანის გარდა საბრალმდებლო სკამზე სხედან ასათიანი, წერეთელი და სხვა (ადს).

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

თითქმის მთელ ამიერ-კავკასიაში მშრალი და მოწმენდილი დარები დგება. ზოგიერთ ადგილებში ქრის სუსტი და საშუალო სიძლიერის ქარი.

მდგომარეობა რკინისგზებზე

ხომხეთის ხაზზე. 4 მარტს, დღის 1 საათისათვის თოვლისმწმენდმა—70 მუშის დახმარებით შესძლო ნამქერებით ავსილ ადგილების გაწმენდა ყუმის—სოღანლუღის შორის. ამ ადგილებში ნამქერით დაფარული იყო ხაზი 4 კილომეტრი მანძილზე. თოვლის სისქე აღწევდა 2 ნახევარ მეტრს.

შესაძლებელი გახდა [illegible] ლენინაკან-ორთაჭალის გადასარბენის გაწმენდა.

ჯაჯურის უღელტეხილზე 4 მარტს კარგი ამინდი იდგა.

ამ ადგილის გაწმენდა გუშინ დილის 5 საათისათვის დამთავრებული არ იყო. მუშაობას ხელი შეუშალა თოვლისმწმენდის ჩავარდნამ.

ორთაჭალა-ჯაჯურის შუა თოვლში ჩაფლული ყველა მატარებელი განთავისუფლებულია. გადასარბენის თოვლის ნამქერისაგან საბოლოოდ განთავისუფლებლად გაიგზავნა თოვლისმწმენდი. გუშინ ნაშუადღევის ორ საათზე სომხეთის გზა სავსებით გაწმინდეს. მატარებლების მიმოსვლა აღდგენილია.

კახეთის ხაზზე. კახეთის ხაზის გაწმენდაზე მუშაობა ენერგიულად მიმდინარეობდა. მუშაობა სწარმოებდა ორი მხრიდან: ნავთლუღიდან და ვაზიანიდან. მუშაობა განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობდა იორი-ვაზიანის გადასარბენზე, სადაც თოვლის სისქე აღწევდა 2 მეტრს.

ხაზის გაწმენდასთან ერთად სწარმოებდა თოვლში ჩაფლულ თოვლ-ფარების ამოთხრა, რომლებიც ხელახლა დადგეს.

დასავლეთის ხაზზე. გუშინ, დილის 11 საათისათვის ტელეგრაფის ხაზი სამტრედია-ბათომის შორის აღდგენილი იყო სავსებით.

ბაკურიანის შტოზე 4 მარტს თოვლში ჩაეფლო მატარებელი. დასახმარებლად გაგზავნილმა ორი ორთქლმავალმა მატარებლამდე ვერ მიაღწია. ხაზი გაწმინდა თოვლისმწმენდმა.

ჭიათურის შტო ნამქერებისაგან გაწმენდილია. სალიეთ-რკვიის შუა ადგილი ქონდა მიწის ზვავის ჩამოწოლას. ზვავისაგან ხაზი გაწმინდეს ორ საათში.

ზამთარი კახეთში

თელავი, 4 მარტი. ძლიერი ქარბუქის გამო კახეთი სრულიად მოწყვეტილია ცენტრიდან. ხუთი დღეა თბილისიდან მატარებელი აღარ ჩამოსულა. მთელ კახეთში დიდი თოვლი ძევს. საქონელი განიცდის საკვების მწვავე ნაკლებობას. საკვების ნაკლებობა განსაკუთრებით საგრძნობია პანკისის ხეობაში და ალაზანს გაღმა.

თოვლის ნამქერი თბილის-მანგლისის გზაზე

თოვლის ნამქერებს ადგილი აქვს გზატკეცილზედაც. ნამქერების გამო შეწყვეტილია მიმოსვლა თბილის-მანგლისის გზატკეცილზე. ამ გზაზე დიდის გაჭირვებით შეიძლება მგზავრობა კოჯორამდე.

გზის გაწმენდის მუშაობა სწარმოებს მანგლისის მხრიდან; მუშაობს წითელარმიელთა პოლკი. გზა გუშინ გაწმენდილი იყო სოფ. პრიუტამდე.

წითელარმიელების დასახმარებლად გამოვიდნენ მანგლის-კოჯორის შორის მცხოვრები გლეხები.

გზის გაწმენდის სამუშაოებს ხელმძღვანელობს საქართველოს გზატკეცილების სამმართველო, რომელმაც მუშაობის ადგილზე გაგზავნა საჭირო ნიჩბები.

ავიაქიმში

ქალთა სექციები

ა. კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმმა, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დაუგზავნა ცირკულიარი ყველა რესპუბლიკანურ ავიაქიმებს, სადაც ნათქვამია, რომ ავიაქიმის საბჭოებთან აუცილებლად დარსებულ უნდა იქნეს ქალთა სექციები, რომლების საშუალებითაც იწარმოებს მუშაობა ქალთა ჩასაბმელად ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

სანიტარული წრეების შეჯიბრი

ქალთა საერთაშორისო დღეს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები ჩაატარებენ შეჯიბრს საუკეთესო სანიტარულ წრეებსა და სანიტარ-ქალთა შორის. კარგათ მომუშავე სანიტარული წრე და სანიტარი-ქალი დაჯილდოებული იქნებიან საჩუქრებით.

ავიაქიმის თბილისის ორგანიზაციის ყრილობა

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭოს ცნობით, ავიაქიმის თბილისის ორგანიზაციის ყრილობა მოწვეული იქნება მიმდინარე წლის მარტის შუა რიცხვებში.

ფიზკულტურა

ქალოსანთა შეჯიბრი

საქარ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებულ ფიზკულტურის ბიუროს ინიციატივით, 10, 11 და 12 მარტს, თბილისში ჩატარდება საპროფკავშირთაშორისო ქალოსანთა შეჯიბრი.

ბიუროს მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმად, შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროფკავშირების ფიზკულტურის წრეების ყველა იმ წევრთ, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა შეჯიბრში ამიერ-კავკასიის პირველობაზე. თითოეულ კავშირს უფლება აქვს გაგზავნოს შეჯიბრზე 3 მონაწილე.

პირველობის მინიჭება ხდება აღებულ ერთეულთა რაოდენობის მიხედვით. პირველი ადგილის დაკავებისათვის საჭიროა—5 ერთეულის აღება, მეორე ადგილისათვის—4 ერთეულის, მესამე ადგილისათვის—3 ერთეულის, მეოთხე ადგილისათვის—2 ერთეულის, ხოლო მეხუთე ადგილის დაკავებისათვის—ერთი ერთეულის აღება.

შეჯიბრისათვის ტექნიკური ხელმძღვანელობის გაწევა დავალებული აქვს მსაჯთა კოლეგიას, რომელშიაც შედიან: მთავარი მსაჯი—ამხ. ყანჩელი, მდივანი—ზაუთაშვილი, მსაჯები—შარიაპოვი, გილჩერი, ბებეჭკოვი და აკოპოვი.

შეჯიბრში მონაწილეთა სიები კავშირებმა უნდა წარადგინონ საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებულ ფიზკულტურის ბიუროში არა უგვიანეს 8 მარტისა.

ჭადრაკი

მოჭადრაკეთა მასიური ტურნირი

საქარ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებული საჭადრაკო სექცია ამ ახლო ხანში აწყობს მოჭადრაკეთა მასიურ ტურნირს. ტურნირი შესდგება მუშათა სასახლის დიდ დარბაზში. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირის წევრები. ჯერ-ჯერობით ჩაწერილია 86 კაცი.

ჩაწერა გრძელდება ყოველდღე 12-2 საათამდე და 4-6 საათამდე საქ. პროფსაბჭოს შენობაში (ოთახი № 21).

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 6 მარტი

დღეს, 6 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

ქალთა საერთაშორისო დღის ამოცანები—ქართულ ენაზე.

მოხსენება:: ქალი და საბჭოთა კავშირის თავდაცვა—რუსულ ენაზე.

მოხსენება: გრიპის ეპიდემია და მასთან ბრძოლა—რუსულ ენაზე.

მოხსენება: კულტურული რევოლიუცია და ყოფა-ცხოვრების საკითხები—ქართულ და თურქულ ენებზე.

წითელარმიელთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე.

გაზეთი „პროლეტარი“—სომხურ ენაზე.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

ოპერა „აიდა“-ს ტრანსლიაცია.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ტექნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშთა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

კრედიტები

სასოფლო-მეურნეობისათვის

100.000 მანეთი მანქანების შესაძენათ

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა საკრედიტო გეგმას მეორე კვარტალის ანგარიშში რესპუბლიკანურ სასოფ.-სამ. ბანკებს სასოფლო მეურნეობისათვის იარაღ-მანქანების მისაწოდებლად გაუხსნა 400.000 მანეთის კრედიტი.

მატყლის დასამზადებლად

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა საქართველოს სახ.-სამ. ბანკს გაუხსნა—148.000 მანეთის კრედიტი. ეს თანხა მან უნდა მიაწოდოს „სოფლის კავშირს“ საქართველოში მატყლის დამზადებისათვის ფინანსების მისაწოდებლად.

საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკს ამასთანავე მიცემული აქვს წინადადება საკუთარ თანხებიდან ამავე ოპერაციებისათვის გამოჰყოს—25.000 მანეთი.

108.000 მანეთი ჩაის საქმისათვის

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა საქართველოს სას.-სამ. ბანკს გაუხსნა—108.000 მანეთის კრედიტი ჩაის მეურნეობის საჭიროებისათვის.

რკინის გზებზე

რკინის გზა თელავ-ახმეტას შუა

ა.-კ. რკ. გზების გამგეობამ მოახდინა თელავ-ახმეტის რკინისგზის შტოს კვლევა-ძიება და გამოიანგარიშა ამ შტოს გაყვანის ღირებულება.

შტოს სიგრძე უდრის—28 კილომეტრს და მისი გაყვანა დაჯდება — 1.350.000 მანეთი.

ახმეტის რაიონის დეტალურმა ეკონომიურმა გამოკვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა სად. თელავთან მისი რკინისგზის ხაზით შეერთების ხელსაყრელობა.

ახმეტის რაიონი განთქმულია თავის მდიდარი ტყეებით. ამ ტყეების დამუშავება გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს აქ არსებულ ძვირფას, საექსპორტო ხე-ტყის დამზადებას, ამასთანავე დიდად დაეხმარება ა.-კ. რკინის გზას, რომელსაც საშუალება მიეცემა ფართოდ დააკმაყოფილოს მოთხოვნილება ხე-ტყის მასალაზე.

პირველ რიგში რკინისგზას განზრახული აქვს იქ შპალების და შეშის სამეურნეო წესით დამზადება.

ახმეტის რაიონის განვითარება არ ამოიწურება, იქ მხოლოდ რკინისგზის შტოს გაყვანით. როგორც ეკონომიურ გამოკვლევის დასკვნიდან სჩანს, რკინისგზის შტოს გაყვანასთან ერთად იწარმოებს მისავალ გზების გაყვანა, ხე-ტყის ქარხნების აშენება და სხვა.

ამ რაიონის განვითარებით დაინტერესებული არის რკინისგზის გარდა, მთელი საქართველოს მრეწველობა და პირველ რიგში ხე-ტყის მრეწველობა, რომელიც შესძლებს ხე-ტყის ექსპორტის მოწესრიგებას.

ამის გამო, ა.-კ. რკ. გზების გამგეობამ საქართველოს სამრეწველო ორგანოებში შეიტანა წინადადება განსაკუთრებულ კომბინატის დაარსების შესახებ, რომელშიაც რკ. გზა შევა მეპაით.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, სამშაბათს, 6 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ალექსანდრე სარქისოვი.

მეძუძეებიდან: ალექსანდრა დევკინა და მარიამ კაკაურიძე.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: დავით ტერ-აკოფოვი, გენადი სოკოლოვი, ვაგარშაკ პეტროსიანცი მიხეილ მიქაელიანცი, კონსტანტინე ლიძკე, დავით მთვარაძე, ნინა წერალოვა, ნინა გრუშეცკაია, არშაკ ხალათოვი, ნიკოლოზ პაევსკი, მიხეილ ნოსენკო, მიხეილ სარმენკო, პავლე კალატოზიშვილი, დავით გამრეკელი, სონა გიაზიმ-ოღლი, პავლე ბასიაშვილი.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1928 წ. მარტის 6-დან ივნისის 1-მდე მდ. მტკვარში ორაგულის დაჭერის აკრძალვის შესახებ

ორაგულის ხელოვნურად მოშენებისათვის საჭირო ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა მოქალაქეს და ორგანიზაციას, აზერბეიჯანის სსრ მიწათმოქმედების ბაქოს იხტიოლოგიური ლაბორატორიის გარდა, 1928 წლის მარტის პირველიდან ივნისის 1-მდე მდინარე მტკვარში, აზერბეიჯანის სსრ საზღვრიდან დაწყებული ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის საგუბარამდე, ორაგულის ჭერა.

2. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 102/4 მუხლისამებრ (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. თებერვლის 7-ს დადგენილების რედაქციით—კან. კრ. მე-3 №-რი, მუხ. 42).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. პ. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალ. აღმასრ **ს. სტეფანოვი.**

5 მარტის 1928 წ.
თბილისი, სასახლე.

იურიდიული დახმარება

ნატანები. დიმიტრი შავიშვილს.

კითხვა:

ვართ თუ არა თავისუფალნი ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადისაგან, როდესაც არავითარი წყარო შემოსავლისა არა გვაქვს და გარდა ამისა შრომის უნარმოკლებული ვართ.

პასუხი:

გადასახადის გადახდის ვალდებულებისათვის შრომის უნარიანობას არა აქვს მნიშვნელობა. თქვენ თავისუფალი ხართ გადასახადისაგან, თუ შემოსავლის წყარო არა გაქვთ. მაგრამ თუ თქვენ სასოფლო-მეურნეობისათვის გაქვთ მიწა და ამის გამო კომლს შეადგენთ, მოვალე ხართ გადაიხადოთ სასოფლო სამეურნეო გადასახადი.

განათლების მუშაკთა კავშირის წევრს (წიგ. 2668).

კითხვა:

ჰქონდა თუ არა უფლება მამიდას დაპატრონებოდა იმ ქონებას, რომელიც დარჩა 1919 წელში გარდაცვლილ მამას, როდესაც მე ვყოფილვარ მცირეწლოვანი.

პასუხი:

ასეთი უფლება თქვენ მამიდას არ ჰქონდა, მაგრამ რადგანაც ეს დაუფლება მოხდა გასაბჭოებამდე, თქვენ არ შეგიძლიათ მოითხოვოთ სასამართლოს წესით [illegible] წილი თანახმად ცაკის 1923 წლის 18 აგვისტოს თარიღით და 51 №-ით დადგენილების 2 მუხლისა. სასამართლოს არ შეუძლიან გაარჩიოს ასეთი დავა.

თედო გოდერძიშვილს

კითხვა:

უფლება აქვს თუ არა საბუხჰალტერო კურსების გამგეს დაგვიკავოს სწავლისათვის შეტანილი ფული, იმიტომ, რომ შესაძლებლობა არ გვქონდა სწავლისათვის თბილისში გადმოვსულიყავით უბინობის გამო.

პასუხი:

თუ ფულის დაბრუნებისათვის დაბრკოლება კურსების წესდებაში არ მოიპოვება, ფული თქვენთვის უნდა დაებრუნებიათ. ამ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სახალხო სასამართლოს.

ამხ. გოგიბერიძეს.

კითხვა:

გვაქვს თუ არა უფლება დედინაცვალს მოვთხოვოთ წილი იმ ქონებიდან, რომელიც დარჩა მამის გარდაცვალების შემდეგ.

პასუხი:

თქვენ და თქვენი დედინაცვალი ითვლებით კანონიერ მემკვიდრეთ თანახმად სამოქ. სამ. კოდექსის 418 მუხლისა და შეგიძლიათ მოსთხოვოთ მას წილი სასამართლოს წესით სამი წ. განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. (სამ. სამ. კოდ. 428 მუხ. მე-2 შენ.).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 6 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედთა გაერთიანებული ბიურო კოლექტივის მორიგი სხდომა. წევრ-კანდიდატთა გარდა უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

* * *

სახ. უნივერსიტეტში დღეს, 6 მარტს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის წევრ-სტუდენტთა გაერთიანებული კრება.

* * *

სახ. უნივ. სოც. ეკონ. ფაკ. მესამე და მეოთხე კურსის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის კრება შესდგება დღეს, 6 მარტს, საღამოს 7 საათზე. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

* * *

დღეს, 6 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგება სოც.-ეკ. ფაკ. პირველი და მეორე კურსთან არსებული ახ. ლ. კ. კ. უჯრედის კრება, დასწრება უჯრედის წევრ-კანდიდატთათვის სავალდებულოა.

* * *

სახ. უნ. სამკ. ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 6 მარტს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის დახურული კრება.

დღესვე, საღამოს 5 საათზე შესდგება ბიუროს სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. ამასთანავე უნდა გამოცხადდნენ პარტიაში გადასარიცხავი და ა. ლ. კ. კ მისალები ამხანაგები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არხრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 6 მარტს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება კ. პ. (ბ) არხრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

* * *

სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პარტ-კოლექტივის უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 6 მარტს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია პარტ-კოლექტივის და ა. ლ. კ. კ. უჯრედების გაერთიანებული კრება.

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

* * *

სამკურნალო ფაკულტეტის პარტკოლექტივის (კომუჯრედის) ბიურო იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 7 მარტს და პარასკევს, 9 მარტს პარტიის ბიურო-კოლექტივის ოთახში დღის 1 საათიდან 3 საათამდე იწარმოებს სამკურნალო ფაკულტეტის კომპარტიის წევრ და კანდიდატ სტუდენტთა ხელახალი აღრიცხვა, იმის და მიუხედავად თუ რომელ კომუჯრედში ირიცხებიან.

სამკურნალო ფაკულტეტის პარტიის წევრ და კანდიდატ სტუდენტთა აღრიცხვაზე გამოცხადება ყოველ მიზეზს გარეშე, სავალდებულოა. აღრიცხვას აწარმოებს პარტკოლექტივის ტექნიკური მდივანი.

* * *

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედის ბიურო კოლექტივი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 7 მარტს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია კომუჯრედის საერთო დახურული კრება. დასწრება სავალდებულოა.

მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემული შვილები: ალფეზ და ასლან ქაიხოსროს-ძე ლანდიები, რძლები: მარიამ იოსების ასული გიორგობიანი და დაფინ, შვილისშვილები: ქეთო, შოთა გოგა ლანდიები, და დესპინე ლანდიასი თავის ქმარშვილით, მძახალი ლალო გიორგობიანი ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 4 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პელაგია ფარსადანის ასული ჯაფარიძე-ლანდიასი

რომლის დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, ა. წ 7 მარტს, კუკიის სასაფლაოზე ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს ნაშუადღევის 6 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ანტონოვის ქ. № 45. 1666

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარო ტრიფონის ასული, დედა [illegible] შვილები: შურა, კორა, თამარა; რძალი [illegible] ძმა ნიკოლოზ თავის მეუღლით, რძლის დედ-მამა ივანე ძიძიგური მეუღლე ასპიროთი, ბიძაშვილები: სამსონ, დიომიდე, ვასო ბალიშვილები თავისი მეუღლეებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ სამსახურის მოვალეობის ასრულებისას სადგ. ჩაქვში მატარებლის დაჯახების დროს მიღებულ ჭრილობებისაგან ქ. ბათომში ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

სოლომონ ნანეს-ძე ბალიშვილი

დაკრძალვა 8 მარტს, საათის 3 ზე. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათიდან. გამოსვენება მოხდება ორჯონიკიძის ქუჩა № 78, ქ. თბილისში. 1671

ღრმად დამწუხრებული სიდედრ-სიმამრი მაგდანა ოქროპირის ასული, ტიტე გიორგის-ძე სიხარულიძეები; ცოლისძმები: ბიჭიკო, ვალოდია და ნიკოლოზ თავის მეუღლეებითურთ მინადორა და დარიკო სიხარულიძეები. ქვისლი ანდრო ტაბაყუა თავის მეუღლით თეოლინათი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს მათთვის დაუვიწყარი

სოლომონ ნანეს-ძე ბალიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას ქ. ბათომში, სადგ. ჩაქვში. სამსახურის ასრულების დროს მატარებლის დაჯახების გამო მიღებულ ჭრილობებისაგან. გამოსვენება საქ. ბინ. ორჯონიკიძის (ყოფ. ანდრეევის) ქუჩა № 78. ქ. თბილისში. ხუთშაბათს, 8 მარტს დღის 3 საათზე. სამოქ. პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. 1671

ღრმად დამწუხრებული შვილები: მილოსი, ლიპა, ელოპიანა, ჰეკე და ჰოლა, რძალი ტატუშა, შვილიშვილები: ეთერი, ჯიმშეთი, თინიკო და ნიტო, სიძე აბესალომ მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 3 მარტს დ. ჩოხატაურში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის სამუდამოთ დაუვიწყარი

თეოფილე ეგნატეს-ძე ჩხიკვიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება ა. წ. 8 მარტს სოფ. გუთურში (ჩოხატაური). 1667

მწუხარებით გულშოკლულნი: მეუღლე ტასო, შვილები: იოსები, მარიამი და ნატო; რძალი ნინო, სიძეები: ალექსანდრე დემეტრაშვილი და პეტრე მაისურაძე; შვილიშვილები: შალვა, ილია, დავითი და ზურაბი იოსების-ძენი ჩიტოშვილები, მარო სესიაშვილი, შაქრო, თამარი და დავით მაისურაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფელ ვეჯინში მოულოდნელად გარდაიცვალა მათი საყვარელი

ილია თორამის-ძე ჩიტოშვილი

დაკრძალვა სოფ. ვეჯინში, ოთხშაბათს, 7 მარტს. 1670

ღრმად დამწუხრებულნი დედინაცვალი ეფროსინე და მამა გიორგი; დაი ოლია, ძმები: ელიზბარი, ლონგინოზი და ალექსანდრე არჩვაძეები, და ნინო, სიძე ვალოდია ლომიძე და დეიდაშვილები: სარა, თამარა, ნინო ბრეგვაძეები, სიძე ვარლამ კოხრეიძე ამით აუწყებენ ყველა ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გამოეცალა ხელიდან 4 მარტს, ღამის 11 საათზე და 45 წუთზე

ვასილი (ვასიკო) გიორგის-ძე არჩვაძე

გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან, საბურთალო საქ. სამხედრო გზა, ოთხშაბათს, 7 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, საბურთალოს სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს საღამოს 5 საათზე. 736

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ელისაბედი შვილებით ელენა, ვლადიმერი, ლიდა და გრიშა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 4 მარტს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე და მამა

ეგნატე გლახუას-ძე ნიკურაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ა წ. 8 მარტს, 3½ საათზე ქ. სამტრედიაში, ქუთაისის ქუჩა № 36. 1675

ღრმად დამწუხრებული ძმები: სოლომონი, ნიკოლოზი, დავითი, და ბაბო, რძლები: მარიამი, ელისაბედი და მარიამი აუწყებენ ნათესავს, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 5 მარტს, გარდაიცვალა მათი ძვირფასი უმფროსი ძმა

ალექსანდრე მიხეილის ძე კაკანაძე

სამოქალაქო პანაშვიდი 6 მარტს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ოთხშაბათს, 7 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარი ბინიდან განჩარის ქუჩა № 21, კუკიის სასაფლაოზე. 1677

კინო აპოლო
დღეს და ყოველდღე
მსოფლიო შედევრი 27 წელს გამოშვებული სურათი
„განკიცხულნი“
6 სერიად 30 ნაწილად ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი რომანის მიხედვით
ჟან ვალჟანის როლში გაბრიელ გაბრიო, კოზეტის როლში სანდრო მილოვანოვი
ნ. 742 1 და 2 სერია ერთად. სალარო ღიაა 6 საათიდან. ფასები არ არის გადიდებული.

კინო „არფასტო“
დღეს და ყოველდღე პირველად თბილისში
უცხოეთის მხატვრული ფილმი
მღელვარე ახალგაზრდობა
მთავარ როლებში:
კარინა ბელ
და
ვინე განსონი
სიმებიანი ორკესტრი ბელხკის ხელმძღვანელობით
სალარო ღიაა 7 საათიდან

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ კვირას 11 მარტს ლომბარდის შენობაში, კეცხოველის ქ. 8, ფინსახკომისა და საფინგანის დავალიანებათა ასანაზღაურებლად დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
შეფასებიდან გაიყიდება იაგორ კაპანაკოვის და ზაქარია ზარაფოვის კუთვნილი სამ სართულიანი სახლი, მდებარე დავითაშვილის ქ. № 8 (ყოფილი ამაღლების) შეფასებული 135.850 მანეთით. საჯარო ვაჭრობის დროს დაცულ იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311, 312 მუხლები.
ნ. 743

გამოვიდა და იყიდება გუზიქოვის სახელმძღვანელო
„კბილის სამკურნალო საპროთეზო ტექნიკა“
ქართულ ენაზე, წიგნის ფასი 2 მან. 75 კაპ. წიგნის შეძენა შეიძლება სახელმწ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
13—1 პლეხანოვის პროსპ. № 126 ა. ბოჟორიშვილთან.

სია იმ პირთა, რომლებიც არ იღებენ გაზ. „კომუნისტს“ არა სწორი მისამართების გამო.

სახელი და გვარი ხელის მომწერის	ქვითარის №	ხელის მომწერის მოცემ. მისამართი
1. ლორთქიფანიძე ივანე	3788	თელავის შეს. № 18.
2. ჩავლეიშვილი გიორგი	4155	მიხეილის გამ. 77 ოთ. 65
3. ბატიაშვილი	4271	კამოს ქუჩა 105
4. ქურხული ვანო	4048	იორის ქუჩა 14
5. ჩიგოშვილი	3828	ტრამვაის ქუჩა 11
6. სამხარაძე	3847	ანდრიევის ჩიხი 4
7. სააკოვ	4048	თამარის ქუჩა 3
8. კეკელიშვილი	3887	ტიაგოვის ქუჩა 34
9. ცაგარეიშვილი	3840	ორჯონიკიძის ქუჩა 95
10. გაჩეჩილაძე ფეოდოსია	4215	კრასნოგორის ქ. 8
11. ფოცხვერაშვილი	3925	ამატუნის ქუჩა 1

ზემო აღნიშნულ ხელის-მომწერლებს სთხოვენ აცნობონ გაზ. „კომუნისტის“ ექსპედიციას თავიანთი სწორი მისამართი:
გაზ. „კომუნისტის“ ექსპედიცია.
მისამართი: კამოს (ყ. დიდი-მთავრის) ქ. 68. ტელ. 5—43.
2—1

სახელმწიფო ოპერა
სამშაბათს 6 მარტს ფატმა მუხტაროვას მე-3 გასტროლი
ე. ს. სლავინსკაიას მონაწილეობით
აიდა
ოპერა 4 მოქმედებათ, მუსიკა ვერდის
მონაწ. სლივინსკაია, მუხტაროვა, ქუმსიაშვილი, ქარცივაძე, შარაშიძე, გაეცკი, ჯანაშია
დირიჟორობს სახ. მსახ. ი. პ. ფალიაშვილი
ანონსი: ოთხშაბათს, 7 მარტს, ბარიტონ ქაშაკაშვილის მეორე გამოსვლა
ჯამბაზები და კოპელია (ბალეტი)
ნ. 738

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო	პრემიერა მხატვრული შედევრი „განკიცხულნი“ ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია ერთად
არფასტო	სეზონის ახალი სურათი მღელვარე ახალგაზრდობა კარინა მელის მონაწილეობით
სოლეი	საუკეთესო სურათი სანქტ-პეტერბურგის აღსასრული „მეჟრაბპომრუსის“-ის ნაწარმოები რეჟისორი პუდოვკინი
დარბაზი	ვილიამ დესმონდ სურათში უშიშარი ამერიკელი
ოდეონი	უკანასკნელად თბილისში გელა
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკული კინო-რომანი სპიდ 3 და 4-ე სერია ერთად

ანონსი მალე საუკ. სურათი „რომანოვების დინასტიის დამხობა“ 6—4

მიხეილ გედევანიშვილის
[illegible]
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორდანოვის ქ., № 20 25—4

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—1

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღის) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ. საღამოს 5—8 საათ.
დილის 11—1 საათ.
სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კორგსის ქუჩა (ყოფ კირკის) კუთხე. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი
ნ. ცურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს საშობიარო და ქალურ სნეულებებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელინსკის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილი მიხეილის)

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—10

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან მარჯვნივ [illegible] 1.) 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივი საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. ზატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. ვ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროს. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. გოლოვინსკის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—14

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

დაიკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი ალექსანდრე იოსების-ძე დუდუჩავას სახელზე, ჩ. გ. 1674

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 2 ნესტორ პავლეს-ძე ქითანავას სახელზე ჩ. გ. 1676

დაიკარგა: უვარგისობის მოწმობა № 913 გაცემული გორის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ ფიდო დავითის-ძე ზაუტაშვილის სახელზე ჩ. გ. 1676

დაიკარგა: მმაჩიდან გაცემული ქორწინების ამონაწერი № 15 რ. არეშიძეს სახელზე, ჩ. გ. 1669

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 196, სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 2877 და რკინისგზის ორი დუბლიკატი ბაქო-თბილისი და ბაქო-ქუთაისი გოგუაძეს სახელზე, ჩ. გ. 1668

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 27553—ირაკლი ამბაკოს-ძე ჯორბენაძეს სახელზე, ჩ. გ. 1673

დაიკარგა: სამხედრო საღრიცხვო წიგნაკი მიხეილ ლ. ჩიქობავას სახელზე, ჩ. გ 1672

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68